



საქართველოს სახალხო დამცველის სპეციალური ანგარიში

პირობით ვადამდე გათავისუფლებისა და
სასჯელის მოუხდელი ნაწილის უფრო
მსუბუქი სახის სასჯელით შეცვლის
პრაქტიკა საქართველოში

მომზადებულია „საქართველოს სახალხო დამცველის შესახებ“ საქართველოს ორგანული
კანონის 21-ე მუხლის „ზ“ ქვეპუნქტის შესაბამისად

სარჩევი

შესავალი	3
მეთოდოლოგია.....	5
საკანონმდებლო ჩარჩო	8
მექანიზმის განვითარება 2013-2014 წლებიდან დღემდე	12
სტატისტიკა, ტენდენციები და ძირითადი მიგნებები.....	15
პრაქტიკაში გამოვლენილი ხარვეზები.....	23
1. გადაწყვეტილებათა დაუსაბუთებლობა.....	23
2. გადაწყვეტილებათა არაერთგვაროვანი ხასიათი.....	30
3. დანაშაულის ბუნებისა და სასჯელის დარჩენილი მცირე ვადის გავლენა პროცესზე	33
4. დისციპლინური გადაცდომის გავლენა გადაწყვეტილებაზე.....	34
5. მსჯავრდებულთა პროფილის ანალიზი	35
6. არსებითი ხასიათის უზუსტობები.....	36
7. ზეპირი მოსმენის დანიშვნის პრაქტიკა	40
8. ზეპირი მოსმენის გავლენა საქმის შედეგებზე	41
9. ზეპირი სხდომების მონიტორინგის შედეგები	43
10.სასჯელის უფრო მსუბუქი სახის სასჯელით შეცვლის პრაქტიკა	45
სასამართლო პრაქტიკა.....	47
საკანონმდებლო ხარვეზები	52
1. შეფასების კრიტერიუმები.....	53
2. ზეპირი მოსმენა.....	54
დასკვნა	55
რეკომენდაციები.....	56

შესავალი

მსჯავრდებულის სასჯელის მოხდისაგან პირობით ვადამდე გათავისუფლებისა და სასჯელის მოუხდელი ნაწილის უფრო მსუბუქი სახის სასჯელით შეცვლის პროცესში ისევ მნიშვნელოვანი ხარვეზები ფიქსირდება.

წლების განმავლობაში მსჯავრდებულები მიმართავდნენ საქართველოს სახალხო დამცველს და მიუთითებდნენ საქართველოს სასჯელალსრულების, პრობაციისა და იურიდიული დახმარების საკითხთა სამინისტროს ადგილობრივი საბჭოების¹ (შემდგომში - ადგილობრივი საბჭო/საბჭო) მიერ მიღებულ გადაწყვეტილებათა არაერთგვაროვნებისა და დაუსაბუთებლობის პრობლემებზე. მსჯავრდებულთა გახშირებულმა მომართვიანობამ პირველად 2013-2014 წლებში დააყენა დღის წესრიგში ადგილობრივი საბჭოების საქმიანობის შესწავლის, კანონმდებლობისა და პრაქტიკის ანალიზის აუცილებლობა. ამ საკითხზე, სწორედ, 2014 წელს გამოაქვეყნა საქართველოს სახალხო დამცველმა თავისი პირველი სპეციალური ანგარიში - „სასჯელის მოხდისაგან პირობით ვადამდე გათავისუფლებისას მსჯავრდებულთა უფლებრივი მდგომარეობა“.² ანგარიშში ასახული იყო საკანონმდებლო და პრაქტიკული ხარვეზები, გაიცა რეკომენდაციები რელევანტური უწყებებისთვის.

იმავე საკითხს შეეხო საქართველოს სახალხო დამცველი თავის საპარლამენტო ანგარიშშიც 2013 წელს.³

მიუხედავად გარკვეული პროგრესისა, რომელიც ამ მექანიზმმა განიცადა 2013-2014 წლების შემდეგ, მსჯავრდებულების წუხილები კვლავ ეხება ადგილობრივი საბჭოების მუშაობის ზედაპირულობას. შესაბამისად, სახალხო დამცველის აპარატის მიერ მიღებულ იქნა გადაწყვეტილება კიდევ ერთხელ შეგვეფასებინა საბჭოების საქმიანობა, გამოგვევლინა დადებითი ტენდენციები, მოგვეხდინა გამოწვევების იდენტიფიცირება და შეგვეთავაზებინა შესაბამისი სტრუქტურებისთვის კონკრეტული რეკომენდაციები ხარვეზების აღმოფხვრისა და პრაქტიკის გაუმჯობესების მიზნით. ასევე, ჩვენი ინტერესის ფოკუსში მოექცა საბჭოს გადაწყვეტილებების სასამართლოში გასაჩივრების პრაქტიკა და სასამართლოს ხელმისაწვდომობის საკითხის შეფასება.

მიუხედავად იმისა, რომ პირობით ვადამდე გათავისუფლება ან სასჯელის მოუხდელი ნაწილის უფრო მსუბუქი სახის სასჯელით შეცვლა არ წარმოადგენს მსჯავრდებულის ძირითად კონსტიტუციურ უფლებას, იგი არის მნიშვნელოვანი კანონისმიერი შესაძლებლობა, რათა მსჯავრდებულს ჰქონდეს მოტივაცია, მსჯავრდების შემდგომ პერიოდში, სრულად იყოს

¹ ამჟამად, საქართველოს იუსტიციის სამინისტროს სისტემაში შემავალი სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულების სპეციალური პენიტენციური სამსახურის ადგილობრივი საბჭოები.

² < <https://bit.ly/2og91o5> >

³ საქართველოს სახალხო დამცველის 2013 წლის საპარლამენტო ანგარიში, <<https://bit.ly/2QzQYvz>>, გვ. 152-153.

ორიენტირებული რესოციალიზაციის პროცესზე და შედეგად ჰქონდეს ამ მექანიზმით ეფექტურად სარგებლობის იმედი.

პირობით ვადამდე გათავისუფლების მექანიზმზე, როგორც აუცილებელ და საჭირო ინსტრუმენტზე იმსჯელა ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ უვადოდ თავისუფლებადაკვეთილი პირების კონტექსტში და განმარტა, რომ სახელმწიფომ უნდა მისცეს მსჯავრდებულებს რეაბილიტაციის შესაძლებლობა და შედეგის მიღწევის შემთხვევაში - გათავისუფლების პერსპექტივა. აღნიშნული გამომდინარეობს კონვენციის სისტემიდან, რომლის ერთ-ერთი არსებითი პრინციპია ადამიანის ღირსების პატივისცემა.⁴

ევროპული სასამართლოს ამ მიდგომის წარმოჩენა ამ ანგარიშის მიზნებისთვის კონცეპტუალური მნიშვნელობის მქონედ მივიჩნით, თუმცა, აქვე სიცხადისთვის ვაზუსტებთ, რომ უვადოდ თავისუფლებადაკვეთილი პირების პირობით ვადამდე გათავისუფლების ან სასჯელის მოუხდელი ნაწილის უფრო მსუბუქი სახის სასჯელით შეცვლის პრაქტიკის შეფასება ამ ანგარიშში არ მოხდება, ვინაიდან ეს პროცესი სრულად არის გადასული სასამართლოში⁵ და ამრიგად, სცდება ადგილობრივი საბჭოების მანდატს და შესაბამისად, წინამდებარე ანგარიშის მიზნებს.

მისასაღმებელია პენიტენციური და დანაშაულის პრევენციის სისტემების განვითარების სტრატეგიასა და 2019-2020 წლების სამოქმედო გეგმაში⁶ პირობით ვადამდე გათავისუფლების მეთოდოლოგიის გაუმჯობესების, ახალი შეფასების სისტემისა და პროცედურების შემუშავების აუცილებლობის გათვალისწინება.

მიგვაჩნია, რომ წინამდებარე სპეციალური ანგარიში დაეხმარება სამინისტროს მექანიზმის რეფორმირების პროცესში. ასევე, თითოეულ მკითხველს შეუქმნის ნათელ წარმოდგენას პირობით ვადამდე გათავისუფლებისა თუ სასჯელის მოუხდელი ნაწილის უფრო მსუბუქი სახის სასჯელით შეცვლის პროცესზე.

და რაც ყველაზე მთავარია, წინამდებარე დოკუმენტი ყველაზე უფრო ღირებული იქნება თითოეული მსჯავრდებულისთვის, რომლებიც მიმართავს სახალხო დამცველს, აფიქსირებს წუხილებს და არის დარწმუნებული, რომ მისი ინტერესებისა და უფლებების დაცვის მიზნით სახალხო დამცველის აპარატი გამოიყენებს მანდატის ფარგლებში არსებულ ყველა ეფექტიან საშუალებას. სწორედ, მათი მომართვის საპასუხოდ ჩაატარა სახალხო დამცველის აპარატმა ეს მოცულობითი კვლევა და შემუშავდა კონკრეტული რეკომენდაციები ხარვეზების აღმოფხვრისა და სამომავლოდ, მსჯავრდებულების პირობით ვადამდე გათავისუფლებისა თუ

⁴ MATIOSAITIS AND OTHERS V. LITHUANIA, 23.05.2017, პარ. 181; VINTER AND OTHERS v. THE UNITED KINGDOM, 09.07.2013, პარ. 120-122.

⁵ საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსი, მუხ. 72¹ და მუხ. 73, ნაწ. 7.

⁶ საქართველოს იუსტიციის მინისტრის 2019 წლის 22 თებერვლის N385 ბრძანება „პენიტენციური და დანაშაულის პრევენციის სისტემების განვითარების სტრატეგიისა და 2019-2020 წლების სამოქმედო გეგმის დამტკიცების თაობაზე“.

სასჯელის მოუხდელი ნაწილის უფრო მსუბუქი სახის სასჯელით შეცვლის პროცესის გაჯანსაღების, სრულყოფის მიზნით.

აქვე განსაკუთრებულ მადლობას ვუხდით სპეციალურ პენიტენციურ სამსახურსა და ადგილობრივი საბჭოების სამსახურებრივი უზრუნველყოფის დეპარტამენტს ოპერატიული თანამშრომლობისთვის მოცულობითი ინფორმაციისა და დოკუმენტაციის მოწოდების პროცესში. ასევე, ექვსივე ადგილობრივი საბჭოს წევრებთან ორგანიზებული შეხვედრისათვის, რომელმაც საბჭოების საქმიანობის პრაქტიკაზე საბაზისო ორიენტირები მისცა სახალხო დამცველის აპარატს.

მეთოდოლოგია

წინამდებარე სპეციალურ ანგარიშში გაანალიზებულია პირობით ვადამდე გათავისუფლებისა და სასჯელის მოუხდელი ნაწილის უფრო მსუბუქი სახის სასჯელით შეცვლის 2018-2019 წლების პრაქტიკა. სახალხო დამცველის აპარატმა ჯამში გამოითხოვა და გაანალიზა ექვსივე ადგილობრივი საბჭოს მიერ 1 413 საქმეზე მიღებული გადაწყვეტილება⁷, კერძოდ:

- 2018 წელს მიღებული 744 გადაწყვეტილება⁸
- 2019 წელს მიღებული 669 გადაწყვეტილება⁹
- 2018 წლის 1 იანვრიდან 2019 წლის ივნისის ჩათვლით გამოტანილი გადაწყვეტილებების შესახებ სტატისტიკური ინფორმაცია, კერძოდ, პირობით ვადამდე გათავისუფლების შესახებ ადგილობრივ საბჭოებში 2018 წელს შესული 8 077 შუამდგომლობის განხილვის შედეგების შესახებ, ხოლო 2019 წელს - 3 935. ასევე, სასჯელის მოუხდელი ნაწილის უფრო მსუბუქი სახის სასჯელით შეცვლის თაობაზე ადგილობრივ საბჭოებში 2018 წელს შესულ 1 408 შუამდგომლობის

⁷ ადგილობრივი საბჭოების გადაწყვეტილებები სახალხო დამცველის აპარატში წარმოდგენილი იქნა გადაწყვეტილებების რეკვიზიტებისა და მსჯავრდებულთა პერსონალური მონაცემების დაშტრიხვით და ძირითად შემთხვევაში შეუძლებელია მათი მაიდენტიფიცირებელი მონაცემების მითითება.

⁸ სახალხო დამცველის აპარატმა 2018 წლის 3 დეკემბრის N15-3/14902 წერილით გამოითხოვა შემდეგი მონაცემები:

1. არასრულწლოვანთა საქმეების განმხილველი ადგილობრივი საბჭოს მიერ 2018 წლის იანვარში, თებერვალსა და მარტში მიღებული ყველა გადაწყვეტილების ასლი;
2. აღმოსავლეთ საქართველოს პირველი ადგილობრივი საბჭოს მიერ 2018 წლის აპრილში მიღებული ყველა გადაწყვეტილების ასლი;
3. აღმოსავლეთ საქართველოს მეორე ადგილობრივი საბჭოს მიერ 2018 წლის მაისში მიღებული ყველა გადაწყვეტილების ასლი;
4. ქალ მსჯავრდებულთა საქმეების განმხილველი ადგილობრივი საბჭოს მიერ 2018 წლის ივნისში, ივლისსა და აგვისტოში მიღებული ყველა გადაწყვეტილების ასლი.
5. აღმოსავლეთ საქართველოს მესამე ადგილობრივი საბჭოს მიერ 2018 წლის სექტემბერში მიღებული ყველა გადაწყვეტილების ასლი;
6. დასავლეთ საქართველოს ადგილობრივი საბჭოს მიერ 2018 წლის ოქტომბერში მიღებული ყველა გადაწყვეტილების ასლი.

⁹ იგულისხმება 2019 წლის აპრილის თვეში ადგილობრივ საბჭოებში შესულ შუამდგომლობებზე იმავე წლის მაისში გამოტანილი გადაწყვეტილებები.

განხილვის შედეგების შესახებ, ხოლო 2019 წელს - 903. ამრიგად, სახალხო დამცველის აპარატს მიეწოდა წელიწადნახევრის განმავლობაში ადგილობრივი საბჭოების მიერ 14 323 საქმეზე მიღებული გადაწყვეტილების შესახებ სტატისტიკური ინფორმაცია, როგორც პირობით ვადამდე გათავისუფლების ისე სასჯელის მოუხდელი ნაწილის უფრო მსუბუქი სახის სასჯელით შეცვლის თაობაზე.

სახალხო დამცველის აპარატი წინამდებარე ანგარიშში ისაუბრებს იმ რამდენიმე კონკრეტულ შემთხვევაზეც, როდესაც პატიმრებმა ინდივიდუალურად მათ საქმეში არსებული ხარვეზების შესწავლა სთხოვეს სახალხო დამცველს და საქმეთა მონიტორინგის შედეგად გამოვლინდა მნიშვნელოვანი პრობლემები.

სახალხო დამცველის წარმომადგენლები ასევე დაესწრნენ ადგილობრივი საბჭოების ზეპირ სხდომებს 2018 წლის დეკემბერში - 2019 წლის იანვრის დასაწყისში. განხორციელდა ექვსივე ადგილობრივი საბჭოს მონიტორინგი, რომლებმაც ზეპირი მოსმენით განიხილეს ჯამში 62 მსჯავრდებულის საქმე. აქედან:

- აღმოსავლეთ საქართველოს პირველმა ადგილობრივმა საბჭომ განიხილა 9 შუამდგომლობა
- აღმოსავლეთ საქართველოს მეორე ადგილობრივმა საბჭომ განიხილა 20 შუამდგომლობა
- აღმოსავლეთ საქართველოს მესამე ადგილობრივმა საბჭომ განიხილა 17 შუამდგომლობა
- დასავლეთ საქართველოს ადგილობრივმა საბჭომ განიხილა 11 შუამდგომლობა
- არასრულწლოვანთა საქმეების განმხილველმა ადგილობრივმა საბჭომ 1 შუამდგომლობა
- ქალ მსჯავრდებულთა საქმეების განმხილველმა ადგილობრივმა საბჭომ 4 შუამდგომლობა

ამასთან, სახალხო დამცველის აპარატმა, სასამართლო პრაქტიკის გაანალიზების მიზნით, მიმართა თბილისის საქალაქო სასამართლოს¹⁰ და გამოითხოვა ინფორმაცია, რომელიც ეხებოდა 2018 წლის 1 იანვრიდან 2019 წლის ივნისის ჩათვლით:

- ადგილობრივი საბჭოს რამდენი გადაწყვეტილება გასაჩივრდა, როგორც ვადამდე გათავისუფლების, ისე სასჯელის შეცვლის საკითხთან დაკავშირებით;
- რამდენ სარჩელზე დადგინდა ხარვეზი ბაჟის გადაუხდელობის გამო;
- რამდენი სარჩელი დაკმაყოფილდა;
- რამდენ შემთხვევაში ცნო ბათილად სასამართლომ საბჭოს გადაწყვეტილება და დაუბრუნა უკან განსახილველად;

¹⁰ საქართველოს სახალხო დამცველის აპარატის 2019 წლის 25 ივლისის N15-3/8362 წერილი.

- რამდენ შემთხვევაში ცნო ბათილად სასამართლომ საბჭოს გადაწყვეტილება და დაავალა პირობით ვადამდე გათავისუფლება ან სასჯელის შეცვლა.

თბილისის საქალაქო სასამართლოდან მოწოდებული ინფორმაციის თანახმად¹¹, **2018 წლის 1 იანვრიდან 2019 წლის ივნისის ჩათვლით პერიოდში განხილული იყო 288 ადმინისტრაციული საქმე.** ჩაშლილ სტატისტიკას, სამწუხაროდ, სასამართლო არ აწარმოებს, შესაბამისად, მაგალითად, ინფორმაცია იმის თაობაზე, თუ რამდენ შემთხვევაში ცნო სასამართლომ ბათილად საბჭოს გადაწყვეტილება და დაუბრუნა უკან განსახილველად ან რამდენ შემთხვევაში ცნო ბათილად სასამართლომ საბჭოს გადაწყვეტილება და დაავალა პირობით ვადამდე გათავისუფლება ან სასჯელის შეცვლა - ვერ წარმოგვიდგინა.

გარდა ამისა, სახალხო დამცველის აპარატს მიეცა შესაძლებლობა გაცნობოდა სასამართლოს მიერ მიღებული გადაწყვეტილებების ნაწილს და ქვემოთ მოცემული მსჯელობაც დაეყრდნობა ამ ფარგლებში სახალხო დამცველის აპარატის შესწავლის შედეგებს.¹² კერძოდ, **სახალხო დამცველის აპარატი თბილისის საქალაქო სასამართლოში სულ გაეცნო 56 საქმეს.**

წარმოდგენილი 56 საქმიდან არც ერთი შემთხვევა არ აღმოჩნა ისეთი, როდესაც სასამართლომ თავად მიუთითებდა საბჭოს როგორი გადაწყვეტილება უნდა მიეღო. სწორედ ამ მიზეზის გამო, სახალხო დამცველის აპარატმა მიმართა ადგილობრივი საბჭოების სამსახურებრივი უზრუნველყოფის დეპარტამენტს და მოიპოვა¹³ დამატებითი ინფორმაცია და სასამართლოს 39 გადაწყვეტილება, საიდანაც 8 გადაწყვეტილება ეხებოდა ისეთ შემთხვევებს, როცა სასამართლომ ბათილად ცნო ადგილობრივი საბჭოს გადაწყვეტილება და მოსთხოვა მსჯავრდებულის პირობით ვადამდე გათავისუფლება. ამრიგად, კვლევის პროცესში **ჯამში შესწავლილ იქნა სასამართლოს 95 გადაწყვეტილება (2018-2019 წლები).**

სახალხო დამცველის აპარატმა შეისწავლა ეროვნული კანონმდებლობაც და გამოავლინა შესაბამისი ხარვეზები.

მოცემულ ანგარიშში გაანალიზებულია 2013-2014 წლებიდან დღემდე არსებული დინამიკაც და 5 წლის ინტერვალით მექანიზმის ფუნქციონირების ეფექტურობა.

კანონმდებლობის ზოგადი მიმოხილვის, პრაქტიკაში არსებული ტენდენციების, პრაქტიკული და საკანონმდებლო პრობლემების წარმოჩენის შედეგად, სახალხო დამცველი წინამდებარე სპეციალურ ანგარიშში წარმოადგენს კონკრეტულ რეკომენდაციებს, რომელთა შესრულებაც პირობით ვადამდე გათავისუფლებისა თუ სასჯელის მოუხდელი ნაწილის უფრო მსუბუქი სახის სასჯელით შეცვლის პროცესის სრულყოფას დაეხმარება. ამასთან, ადგილობრივი

¹¹ თბილისის საქალაქო სასამართლოს 2019 წლის 31 ივლისის N20918 წერილი.

¹² სასამართლოს ზეპირსიტყვიერი განმარტებით, წარმოგვიდგინეს ის საქმეები, რომლებიც უკვე დაარქივებულია. საქმეებზე, რომლებიც ჯერ კიდევ მოსამართლესთან ინახება ან გაგზავნილია სააპელაციო სასამართლოში, წვდომა არ ჰქონდათ და ვერ მოგვაწოდეს.

¹³ 2019 წლის 19 სექტემბრის N278636/01 წერილი.

საბჭოების გადაწყვეტილებების სასამართლოში გასაჩივრების პროცესის ეფექტიანობას გაზრდის.

საკანონმდებლო ჩარჩო

პირობით ვადამდე გათავისუფლებისა და სასჯელის მოუხდელი ნაწილის უფრო მსუბუქი სახის სასჯელით შეცვლის წესსა და პირობებს, ეროვნულ დონეზე, განსაზღვრავს რამდენიმე საკანონმდებლო აქტი: საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსი¹⁴, პატიმრობის კოდექსი¹⁵ და საქართველოს იუსტიციის მინისტრის 2018 წლის 07 აგვისტოს N320 ბრძანება „საქართველოს იუსტიციის სამინისტროს სისტემაში შემავალი სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულების - სპეციალური პენიტენციური სამსახურის ადგილობრივი საბჭოების მიერ სასჯელის მოხდისაგან პირობით ვადამდე გათავისუფლების საკითხის განხილვისა და გადაწყვეტილების მიღების წესის დამტკიცების შესახებ“ (შემდეგში - „მინისტრის N320 ბრძანება“).

ამ ნორმატიული აქტებით განსაზღვრულია წინაპირობები, თუ როდის და ვის ეხება პირობით ვადამდე გათავისუფლების ან სასჯელის მოუხდელი ნაწილის უფრო მსუბუქი სახის სასჯელით შეცვლის შესაძლებლობა. ასევე, განსაზღვრულია ადგილობრივი საბჭოების ფუნქციები, მათი შემადგენლობისა და მუშაობის, მათ მიერ მიღებული გადაწყვეტილების გასაჩივრების წესები.

დამატებით, საქართველოს სასჯელაღსრულების, პრობაციისა და იურიდიული დახმარების საკითხთა მინისტრის 2011 წლის 10 მაისის N82 ბრძანებით - „ბრალდებულთა/მსჯავრდებულთა რეესტრებისა და პირადი საქმის წარმოების წესის დამტკიცების შესახებ“, დანართი N18¹⁶ - დამტკიცებულია ადგილობრივი საბჭოსთვის წარსადგენი მსჯავრდებულის დახასიათების ფორმა.

დასახელებული აქტების მიხედვით, საქართველოში დღეის მდგომარეობით, ფუნქციონირებს ექვსი ადგილობრივი საბჭო. აქედან ერთი საბჭო განიხილავს არასრულწლოვანთა საქმეებს, ერთი - ქალ მსჯავრდებულთა საქმეებს, ხოლო დანარჩენი ოთხი - მამაკაც მსჯავრდებულთა საქმეებს, რომლებიც დაყოფილია ტერიტორიული პრინციპით და საბოლოოდ შექმნილია სამი აღმოსავლეთ საქართველოს ადგილობრივი საბჭო და ერთი დასავლეთ საქართველოს ადგილობრივი საბჭო.¹⁷

¹⁴ საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსი, მუხ. 72-73.

¹⁵ საქართველოს კანონი „პატიმრობის კოდექსი“, მუხ. 40-43.

¹⁶ იხ. საქართველოს სასჯელაღსრულების, პრობაციისა და იურიდიული დახმარების საკითხთა მინისტრის 2011 წლის 10 მაისის N82 ბრძანებით „ბრალდებულთა/მსჯავრდებულთა რეესტრებისა და პირადი საქმის წარმოების წესის დამტკიცების შესახებ“, მუხ. 12, პუნქ. 12¹.

¹⁷ მინისტრის N320 ბრძანება, მუხ. 3.

თითოეული საბჭო შედგება 5 წევრისგან¹⁸ და ფუნქციონირებს 1 წლის ვადით¹⁹.

საბჭო უფლებამოსილია განიხილოს ორი საკითხი²⁰:

1. მსჯავრდებულის სასჯელის მოხდისაგან პირობით ვადამდე გათავისუფლების საკითხი
2. მსჯავრდებულისათვის სასჯელის მოუხდელი ნაწილის უფრო მსუბუქი სახის სასჯელით შეცვლის საკითხი.

ორივე შემთხვევაში გამონაკლისია საშიშროების მაღალი რისკის მქონე მსჯავრდებულები და უვადოდ თავისუფლებადაკვეთილი მსჯავრდებულები.²¹ სისხლის სამართლის კოდექსის მიხედვით გამონაკლისი მიემართება განსაკუთრებული რისკის თავისუფლების აღკვეთის დაწესებულებაში მოთავსებულ მსჯავრდებულებს²², რაც პატიმრობის კოდექსის გათვალისწინებით საშიშროების მაღალი რისკის მქონე მსჯავრდებულებს გულისხმობს.²³

საბჭო უფლებამოსილია საკითხი გადაწყვიტოს ზეპირ სხდომაზე ან ზეპირი განხილვის გარეშე.²⁴ საბჭოში მსჯავრდებულის პირობით ვადამდე გათავისუფლების საკითხის განხილვის წინაპირობაა კონკრეტული პენიტენციური დაწესებულების შუამდგომლობა²⁵, ხოლო სასჯელის მოუხდელი ნაწილის უფრო მსუბუქი სახის სასჯელით შეცვლის საკითხის განხილვის წინაპირობა მსჯავრდებულის ან/და მისი დამცველის/კანონიერი წარმომადგენლის შუამდგომლობაა²⁶.

პირობით ვადამდე გათავისუფლების შუამდგომლობის გაგზავნა წარმოადგენს პენიტენციური დაწესებულების ვალდებულებას, მსჯავრდებულის მხრიდან სასჯელის მოხდისგან გათავისუფლებისთვის კანონით დადგენილი ვადის ფაქტობრივად მოხდისას²⁷ და იგი არ წარმოადგენს დაწესებულების დისკრეციას.²⁸

თუ მოსახდელი სასჯელის ვადა 6 თვეს არ აღემატება, საბჭო მსჯავრდებულის სასჯელის მოხდისაგან პირობით ვადამდე გათავისუფლების საკითხს განიხილავს მსჯავრდებულის წერილობითი განცხადების საფუძველზე.²⁹

თუ საბჭო მიიღებს გადაწყვეტილებას მსჯავრდებულის სასჯელის მოხდისაგან პირობით ვადამდე გათავისუფლებაზე უარის თქმის შესახებ, იმავე საკითხზე შუამდგომლობის

¹⁸ პატიმრობის კოდექსი, მუხ. 41, ნაწ. 2 და მინისტრის N320 ბრძანება, მუხ. 4, პუნქ. 1-2.

¹⁹ პატიმრობის კოდექსი, მუხ. 41, ნაწ. 5 და მინისტრის N320 ბრძანება, მუხ. 4, პუნქ. 11.

²⁰ მინისტრის N320 ბრძანება, მუხ. 6, პუნქ. 1.

²¹ იქვე.

²² საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსი, მუხ. 72, ნაწ. 1.

²³ პატიმრობის კოდექსი, მუხ. 66².

²⁴ მინისტრის N320 ბრძანება, მუხ. 7.

²⁵ პატიმრობის კოდექსი, მუხ. 42, ნაწ. 1 და 7.

²⁶ პატიმრობის კოდექსი, მუხ. 43, ნაწ. 1 და 8.

²⁷ საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსი, მუხ. 72, ნაწ. 3 და 4.

²⁸ პატიმრობის კოდექსი, მუხ. 42, ნაწ. 1.

²⁹ პატიმრობის კოდექსი, მუხ. 42, ნაწ. 7.

ხელახლა განხილვა შესაძლებელია მხოლოდ 6 თვის შემდეგ, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც მოსახდელი სასჯელის ვადა 6 თვეს არ აღემატება ან/და არსებობს განსაკუთრებული გარემოება. მსჯავრდებლის სასჯელის მოხდისგან პირობით ვადამდე გათავისუფლების საკითხის განხილვა სავალდებულოა 6 თვეში ერთხელ.

საბჭო მსჯავრდებულის პირობით ვადამდე გათავისუფლებისა თუ სასჯელის მოუხდელი ნაწილის უფრო მსუბუქი სახის სასჯელით შეცვლის საკითხს განიხილავს ბრძანებით დადგენილი წესით და დებულების შესაბამისად, ხელმძღვანელობს შემდეგი ხუთი კრიტერიუმით³⁰:

- დანაშაულის ხასიათი - აღნიშნული კრიტერიუმით საქმის შეფასებისას ყურადღება უნდა მიექცეს მსჯავრდებულის მიერ ჩადენილი დანაშაულის სიმძიმეს, რა გარემოებაში და რა ვითარებაში იქნა ჩადენილი დანაშაული, ასევე, ჩადენილია თუ არა დანაშაული პირობითი მსჯავრის მოქმედების პერიოდში;
- მსჯავრდებულის ქცევა სასჯელის მოხდის პერიოდში - აღნიშნული კრიტერიუმით საქმის შეფასებისას ყურადღება უნდა მიექცეს სასჯელის მოხდის პერიოდში მსჯავრდებულის მიმართ რამდენი და რა სახის დისციპლინური, ადმინისტრაციული და წამახალისებელი ღონისძიება იქნა გამოყენებული, აგრეთვე, კონკრეტულად რა სახის ქმედების გამო იქნა ასეთი გადაწყვეტილება მიღებული; ამასთან, ყურადღება უნდა მიექცეს მსჯავრდებულის მიერ სასჯელის მოხდის პერიოდში თავისუფლების აღკვეთის დაწესებულების დებულების, დაწესებულების დღის განრიგის, საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული მოვალეობის შესრულებისა და დაწესებულების სამართლებრივი რეჟიმის დაცვის შესახებ ინფორმაციას
- მსჯავრდებულის მიერ წარსულში დანაშაულის ჩადენის ფაქტები, ნასამართლობა - აღნიშნული კრიტერიუმით საქმის შეფასებისას ყურადღება უნდა მიექცეს წარსულში რამდენჯერ, რა სიმძიმის და რა სახის დანაშაულის ჩადენის ფაქტს ჰქონდა ადგილი; ასევე იმას, თუ რა სახის, რა სიმძიმის დანაშაულებისთვის და რამდენჯერ იყო ნასამართლევნი მსჯავრდებული
- ოჯახური პირობები - აღნიშნული კრიტერიუმით საქმის შეფასებისას ყურადღება უნდა მიექცეს მსჯავრდებულის დამოკიდებულებას ოჯახის წევრებთან, ჰყავს თუ არა მცირეწლოვანი შვილები, შრომისუუნარო ოჯახის სხვა წევრები, ახლო ნათესავების მატერიალური მდგომარეობა და სხვა;
- მსჯავრდებულის პიროვნება - აღნიშნული კრიტერიუმით საქმის შეფასებისას ყურადღება უნდა მიექცეს მსჯავრდებულის დამოკიდებულებას ჩადენილ დანაშაულთან, დაწესებულების მოსამსახურებთან და სხვა მსჯავრდებულებთან, ინფორმაცია სასჯელის მოხდის პერიოდში სოციალურ აქტივობებში მიღებული მონაწილეობის შესახებ, საჭიროებს თუ არა განსაკუთრებულ ზედამხედველობას

³⁰ მინისტრის N320 ბრძანება, მუხ. 13, პუნქტი 1.

დაწესებულების ხელმძღვანელობის მხრიდან და სხვა მნიშვნელოვანი საკითხები, რაც პიროვნების შეფასების შესაძლებლობას იძლევა.

სასჯელის მოუხდელი ნაწილის უფრო მსუბუქი სახის სასჯელით შეცვლისას შესაძლებელია გამოყენებულ იქნას საზოგადოებისთვის სასარგებლო შრომა ან შინაპატიმრობა.³¹

კანონმდებლობის თანახმად, საბჭოს გადაწყვეტილება უნდა იყოს დასაბუთებული.³² ამასთან, საბჭოს გადაწყვეტილება არის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი³³, რომელზეც ცხადია, ვრცელდება საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსით დადგენილი წესები. ადმინისტრაციული სამართლის მოთხოვნებიდან გამომდინარე, წერილობითი ფორმით გამოცემული ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი უნდა შეიცავდეს წერილობით დასაბუთებას.³⁴ წერილობით დასაბუთებაში კი უნდა მიეთითოს ყველა ის ფაქტობრივი გარემოება, რომელსაც არსებითი მნიშვნელობა ჰქონდა ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემისას.³⁵

ადგილობრივი საბჭოს მიერ დისკრეციული უფლებამოსილების განხორციელებისას არ შეიძლება გამოიყენოს ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი თუ პირის კანონით დაცული უფლებებისა და ინტერესებისათვის მიყენებული ზიანი არსებითად აღემატება იმ სიკეთეს, რომლის მისაღებადაც იგი გამოიცა.³⁶ დისკრეციული უფლებამოსილება საბჭომ უნდა განახორციელოს კანონით დადგენილ ფარგლებში³⁷ და მხოლოდ იმ მიზნით, რომლის მისაღწევადაც აქვს ეს უფლებამოსილება მინიჭებული.³⁸ გამოცემული აქტით გათვალისწინებულმა ზომებმა არ შეიძლება გამოიწვიოს კანონიერი უფლებებისა და ინტერესების დაუსაბუთებელი შეზღუდვა.³⁹

საბჭოს მიერ მიღებული გადაწყვეტილების გასაჩივრება შესაძლებელია, ადმინისტრაციული წესით, სასამართლოში.⁴⁰ სასამართლოში ხსენებული საჩივრის განხილვის წესი დადგენილია საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსით.⁴¹ სასამართლო უფლებამოსილია ძალაში დატოვოს ან ბათილად ცნოს საბჭოს გადაწყვეტილება (სარჩელი დააკმაყოფილოს სრულად ან ნაწილობრივ).⁴²

³¹ პატიმრობის კოდექსი, მუხ. 43, ნაწ. 6 და მინისტრის N320 ბრძანება, მუხ. 7, პუნქტ. 7.

³² მინისტრის N320 ბრძანება, მუხ. 22, პუნქტ. 2.

³³ მინისტრის N320 ბრძანება, მუხ. 22, პუნქტ. 1.

³⁴ საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსი, მუხ. 53, ნაწ. 1.

³⁵ საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსი, მუხ. 53, ნაწ. 4.

³⁶ საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსი, მუხ. 7, ნაწ. 1.

³⁷ საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსი, მუხ. 6, ნაწ. 1.

³⁸ საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსი, მუხ. 6, ნაწ. 2.

³⁹ საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსი, მუხ. 7, ნაწ. 2.

⁴⁰ მინისტრის N320 ბრძანება, მუხ. 23.

⁴¹ საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსი, მუხ. 27¹.

⁴² იქვე.

სადავო საკითხის გადაწყვეტლად ადგილობრივი საბჭოს გადაწყვეტილების ბათილად ცნობა სასამართლოს შეუძლია მაშინ, როდესაც ის მიიჩნევს, რომ საბჭოს გადაწყვეტილება გამოცემულია საქმისათვის არსებითი მნიშვნელობის გარემოების გამოკვლევისა და შეფასების გარეშე. ასეთ შემთხვევაში, სასამართლო უფლებამოსილია დაავალოს ადგილობრივ საბჭოს ამ გარემოებათა გამოკვლევისა და შეფასების შემდეგ გამოსცეს ახალი აქტი.⁴³ იმ შემთხვევაში კი თუ სასამართლო თვლის, რომ გამოკვლეულია ყველა გარემოება, მაგრამ მიღებული გადაწყვეტილება არ გამომდინარეობს გარემოებათა ანალიზიდან და არ არის ყველაზე მისაღები/მიზანშეწონილი გადაწყვეტილება, რაც იწვევს საბჭოს მხრიდან მისი დისკრეციული უფლებამოსილების ფარგლების დარღვევას, იგი ბათილად ცნობს საბჭოს გადაწყვეტილებას და პირდაპირ ავალდებულებს საბჭოს მიიღოს მსჯავრდებულის პირობით ვადამდე გათავისუფლებისა თუ სასჯელის მოუხდელი ნაწილის უფრო მსუბუქი სახის სასჯელით შეცვლის შესახებ გადაწყვეტილების მიღებას.

მექანიზმის განვითარება 2013-2014 წლებიდან დღემდე

წინამდებარე ანგარიშის შესავალში უკვე აღვნიშნეთ, რომ საქართველოს სახალხო დამცველმა ჯერ კიდევ 2014 წელს გამოსცა სპეციალური ანგარიში „სასჯელის მოხდისაგან პირობით ვადამდე გათავისუფლებისას მსჯავრდებულთა უფლებრივი მდგომარეობა“.⁴⁴ ანგარიშში მიმოხილული იყო იმ პერიოდში გამოვლენილი ხარვეზები და გაცემული იყო შესაბამისი რეკომენდაციები.

2013-2014 წლების შემდეგ დადებით ტენდენციად უნდა აღინიშნოს მთელი რიგი პოზიტიური ცვლილებები, როგორც პრაქტიკაში, ისე საკანონმდებლო დონეზე. თუმცა, რჩება საკითხები, რომლებიც ისევ მოუგვარებელია და დღემდე ეჭვის ქვეშ აყენებს ამ მექანიზმის სრულ ეფექტიანობას.

წინამდებარე თავში წარმოგიდგენთ 2013-2014 წლებიდან დღემდე არსებულ დინამიკას, შევადარებთ 5 წლის ინტერვალით მექანიზმის ფუნქციონირების ეფექტურობას.

2014 წლის სპეციალურ ანგარიშში გაკრიტიკებულია ადგილობრივი საბჭოების საქმიანობის პროცესის სხვადასხვა ელემენტები, მათ შორის, განსაკუთრებით ხაზგასასმელია: ზეპირი მოსმენის გარეშე საქმეთა განხილვის ხშირი პრაქტიკა, საბჭოს გადაწყვეტილებათა დაუსაბუთებლობა. ასევე, კრიტიკის საგანი იყო მსჯავრდებულთა დახასიათებების არასრულყოფილი ხასიათი. სასჯელადსრულების დაწესებულების მიერ საბჭოში გაგზავნილი დახასიათებები, როგორც წესი, შეიცავდა მხოლოდ მშრალ მონაცემებს პატიმრის მსჯავრდების, დისციპლინური გადაცდომებისა და წახალისების, სასჯელის სახისა და ზომის შესახებ.

⁴³ საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსი, მუხ. 32, ნაწ. 4.

⁴⁴ < <https://bit.ly/2PhKvor> >

ასევე, 2014 წლის სპეციალურმა ანგარიშმა კრიტიკის საგანი გახადა იმჟამინდელი სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სამინისტროს მუდმივმოქმედი კომისიის საქმიანობა. ხსენებული კომისია, კანონით მკაფიოდ განსაზღვრული წინაპირობების არარსებობის ფონზე, უფლებამოსილი იყო მხოლოდ თავისი ინიციატივით გამოეთხოვა და გადაესინჯა ადგილობრივი საბჭოების მიერ მიღებული ნებისმიერი უარყოფითი გადაწყვეტილება. ერთი მხრივ შექმნილი ვითარება არ იძლეოდა იმის განჭვრეტის შესაძლებლობას, თუ რა კრიტერიუმებით მოქმედებდა კომისია გადასასინჯ საქმეთა შერჩევის დროს და რატომ იყო მისი პრაქტიკა არაერთგვაროვანი. მეორე მხრივ კი პრობლემას წარმოადგენდა კომისიის გადაწყვეტილებების დაუსაბუთებლობა, რაც ვერ გამოიციხავდა ამ ორგანოს თვითნებობის მაღალ რისკს.

2014 წლის ანგარიშში მნიშვნელოვანი ყურადღება ეთმობოდა სასამართლო განხილვის ეტაპს. გამოვლენილი იყო სასამართლო გადაწყვეტილებათა შაბლონურობისა და დაუსაბუთებლობის პრობლემა, ასევე, ბაჟის გადაუხდელობის გამო საჩივართა დახარვეზების ხშირი პრაქტიკა.

უნდა აღინიშნოს, რომ ადგილობრივი საბჭოების საქმიანობას და მსჯავრდებულთა პირობით ვადამდე გათავისუფლებისა თუ სასჯელის მოუხდელი ნაწილის უფრო მსუბუქი სახის სასჯელით შეცვლის პროცესს თავდაპირველად - 2010 წლიდან - განსაზღვრავდა საქართველოს სასჯელაღსრულების, პრობაციისა და იურიდიული დახმარების საკითხთა მინისტრის 2010 წლის 28 ოქტომბრის N151 ბრძანება „საქართველოს სასჯელაღსრულების, პრობაციისა და იურიდიული დახმარების საკითხთა სამინისტროს ადგილობრივი საბჭოების რაოდენობის, ტერიტორიული განსჯადობისა და ადგილობრივი საბჭოს ტიპური დებულების დამტკიცების შესახებ“. ხსენებული ბრძანება გაუქმდა საქართველოს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის მინისტრის 2015 წლის 19 ოქტომბრის N138 ბრძანებით, რომლითაც დამტკიცდა საქართველოს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სამინისტროს ადგილობრივი საბჭოების რაოდენობის, ტერიტორიული განსჯადობისა და ადგილობრივი საბჭოს ტიპური ახალი დებულება (საქართველოს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის მინისტრის 2015 წლის 19 ოქტომბრის N138 ბრძანება „საქართველოს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სამინისტროს ადგილობრივი საბჭოების რაოდენობის, ტერიტორიული განსჯადობისა და ადგილობრივი საბჭოს ტიპური დებულების დამტკიცების შესახებ“). 2018 წლიდან დღემდე კი მოქმედებს ახალი დებულება, რომელიც დამტკიცებულია საქართველოს იუსტიციის მინისტრის მიერ, კერძოდ, საქართველოს იუსტიციის მინისტრის 2018 წლის 7 აგვისტოს N320 ბრძანება „საქართველოს იუსტიციის სამინისტროს სისტემაში შემავალი სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულების - სპეციალური პენიტენციური სამსახურის ადგილობრივი საბჭოების მიერ სასჯელის მოხდისაგან პირობით ვადამდე გათავისუფლების საკითხის განხილვისა და გადაწყვეტილების მიღების წესის დამტკიცების შესახებ“.

ბოლო წლების პოზიტიურ შედეგად უნდა დასახელდეს ის, რომ განხორციელებული ცვლილებების შედეგად⁴⁵, დღეს, კონკრეტულ პენიტენციურ დაწესებულებას უწევს

⁴⁵ საქართველოს სასჯელაღსრულების, პრობაციისა და იურიდიული დახმარების საკითხთა მინისტრის 2011 წლის 10 მაისის N82 ბრძანებაში „ბრალდებულთა/მსჯავრდებულთა რეესტრებისა და პირადი საქმის წარმოების წესის

მსჯავრდებულის დეტალური დახასიათების მომზადება და წარდგენა ადგილობრივი საბჭოებისთვის. დახასიათებები უნდა შეიცავდეს ინფორმაციას როგორც დაწესებულებაში ყოფნისას მისი ქცევის შესახებ, ისე ოჯახური მდგომარეობისა თუ სამომავლო საცხოვრებელი პერსპექტივების შესახებ, განათლების, პროფესიის, უნარების შესახებ, მსჯავრდებულის მოტივაციის, სამომავლო გეგმების, სურვილების შესახებ, სასჯელის მოხდის პერიოდში სოციალურ აქტივობებში ჩართულობის ხარისხის შესახებ და სხვა. დახასიათების მომზადებაზე პასუხისმგებელი პირები არიან დაწესებულების დირექტორი, დაწესებულების სოციალური განყოფილების სოციალური მუშაკი, ფსიქოლოგი, სპეციალური აღრიცხვის განყოფილება, სამართლებრივ რეჟიმის განყოფილება.⁴⁶ შესაბამისად, პატიმრის დახასიათება ხდება მულტიდისციპლინური პრინციპით.

მეორე პოზიტიურ ცვლილებად უნდა შეფასდეს იმჟამინდელი სამინისტროში მუდმივმოქმედი კომისიის გაუქმება.⁴⁷ დღეისათვის არც კომისია და არც მისი უფლებამოსილების მსგავსი მანდატის მქონე სტრუქტურული ერთეული აღარ არსებობს.

დადებითად უნდა შეფასდეს ისიც, რომ გაიზარდა ადგილობრივი საბჭოების რაოდენობა, 2014 წლისთვის მხოლოდ 3 ადგილობრივი საბჭო ფუნქციონირებდა: ერთი განიხილავდა არასრულწლოვანთა საქმეებს, მეორე - დასავლეთ საქართველოს მსჯავრდებულთა, ხოლო მესამე - აღმოსავლეთ საქართველოში მყოფ მსჯავრდებულთა საქმეებს. გარდა საბჭოთა მცირე რაოდენობისა, რაც ცხადია განაპირობებდა საბჭოთა მაღალ დატვირთვასა და საქმიანობის ხარისხის სიმწირეს, საერთოდ არ არსებობდა სპეციფიკურად ქალთა საქმეების განმხილველი საბჭო. 2014 წლის 21 მაისს⁴⁸ და 28 მაისს⁴⁹ განხორციელებული ცვლილებებით საბჭოების რაოდენობა გაიზარდა ხუთამდე. თავდაპირველად, 21 მაისის ცვლილებებით, საბჭოების რაოდენობა გაიზარდა ოთხამდე და აღმოსავლეთ საქართველოში ფუნქციონირება დაიწყო მეორე ადგილობრივმა საბჭომაც, რომელიც გენდერული კუთვნილების მიუხედავად, განიხილავდა სრულწლოვან მსჯავრდებულთა საქმეებს. 28 მაისის ცვლილებების შემდეგ კი ამოქმედდა სრულწლოვან ქალ მსჯავრდებულთა საქმეების განმხილველი ადგილობრივი საბჭო. 2015 წლის 19 ოქტომბრიდან, როცა სასჯელაღსრულებისა და პრობაციის მინისტრის N138 ბრძანებით დამტკიცდა ადგილობრივი საბჭოების ახალი ტიპური დებულება, საბჭოების რაოდენობა გაიზარდა ექვსამდე, კერძოდ, აღმოსავლეთ საქართველოში ფუნქციონირება დაიწყო მესამე ადგილობრივმა საბჭომაც, რომელიც სრულწლოვანი მამაკაცების საქმეებს. სწორედ, ამ ტერიტორიული, გენდერული და ასაკობრივი განაწილებით საქმიანობენ ადგილობრივი საბჭოები დღესაც.

დამტკიცების შესახებ“ ადგილობრივი საბჭოებისთვის წარსადგენი მსჯავრდებულთა დახასიათების ფორმების სრულყოფის მიმართულებით ცვლილებები შევიდა 2014 წლის 16 იანვარსა და იმავე წლის 28 მაისს.

⁴⁶ საქართველოს სასჯელაღსრულების, პრობაციისა და იურიდიული დახმარების საკითხთა მინისტრის 2011 წლის 10 მაისის N82 ბრძანებით „ბრალდებულთა/მსჯავრდებულთა რეესტრებისა და პირადი საქმის წარმოების წესის დამტკიცების შესახებ“, დანართი N18.

⁴⁷ მუდმივმოქმედი კომისია გაუქმდა საქართველოს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის მინისტრის 2015 წლის 19 ოქტომბრის N138 ბრძანებით. ხსენებული ბრძანებით დამტკიცდა ადგილობრივი საბჭოების ახალი ტიპური დებულება, რომელიც აღარ ითვალისწინებდა მუდმივმოქმედი კომისიის არსებობას.

⁴⁸ საქართველოს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის მინისტრის N79 ბრძანება.

⁴⁹ საქართველოს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის მინისტრის N93 ბრძანება.

ერთ-ერთ მნიშვნელოვან სიახლედ უნდა დასახელდეს სასამართლოსთვის გაზრდილი უფლებამოსილება ადგილობრივი საბჭოს გადაწყვეტილებაზე საჩივრის განხილვის პროცესში. თუ სასამართლოს მხოლოდ საბჭოს დაუსაბუთებელი გადაწყვეტილების ბათილად ცნობისა და საკითხის განსახილველად უკან დაბრუნების უფლებამოსილება ჰქონდა, ადმინისტრაციულ საპროცესო კოდექსში შესული ცვლილებების შედეგად, დღეისთვის სასამართლო, მათ შორის, უფლებამოსილია ბათილად ცნოს ადგილობრივი საბჭოს გადაწყვეტილება და პირდაპირ დაავალოს საბჭოს მსჯავრდებულის სასჯელის მოხდისგან პირობით ვადამდე გათავისუფლება ან სასჯელის მოუხდელი ნაწილის უფრო მსუბუქი სახის სასჯელით შეცვლა.⁵⁰

მიუხედავად ხაზგასმული ცვლილებებისა, რომელიც ძირითადად დადებით ხასიათს ატარებს, სამწუხაროდ, კვლავ რჩება მნიშვნელოვანი გამოწვევები მსჯავრდებულების პირობით ვადამდე გათავისუფლებისა თუ სასჯელის უფრო მსუბუქი სახის სასჯელით შეცვლის მექანიზმის ეფექტიანი ფუნქციონირების წინაშე, კერძოდ: საბჭოს გადაწყვეტილებათა დასაბუთების პრობლემა, არათანმიმდევრული პრაქტიკა, რიგ შემთხვევებში მსჯავრდებულთა საქმების ზედაპირული თუ არასრულყოფილი შესწავლის პროცესი, სასამართლოში ბაჟის გადაუხდელობის გამო საჩივრების დახარვეზების ხშირი შემთხვევები და სხვა. სწორედ, ეს საკითხები გამოვლინდა მიმდინარე კვლევის ფარგლებში.

სტატისტიკა, ტენდენციები და ძირითადი მიგნებები

წინამდებარე სპეციალურ ანგარიშზე მუშაობის პროცესში საქართველოს სახალხო დამცველის აპარატმა ჯამში შეისწავლა ექვსივე ადგილობრივი საბჭოს მიერ 2018-2019 წლებში 1 413 საქმეზე მიღებული გადაწყვეტილება. აქედან 2018 წელს მიღებული 744 გადაწყვეტილებიდან:


- 704 შემთხვევა ეხებოდა პირობით ვადამდე გათავისუფლების საკითხს, ხოლო 40 ეხებოდა სასჯელის მოუხდელი ნაწილის უფრო მსუბუქი სახის სასჯელით შეცვლის შუამდგომლობის განხილვას;
- პირობით ვადამდე გათავისუფლების შესახებ 704 შუამდგომლობიდან დაკმაყოფილდა 77 შუამდგომლობა, რაც საერთო რაოდენობის დაახლოებით 11 %-ია;
- სასჯელის მოუხდელი ნაწილის უფრო მსუბუქი სახის სასჯელით შეცვლის შესახებ 40 შუამდგომლობიდან დაკმაყოფილდა 20 შუამდგომლობა. 20 შემთხვევაში ეთქვათ უარი;
- სასჯელის მოუხდელი ნაწილის უფრო მსუბუქი სახის სასჯელით შეცვლის შესახებ დაკმაყოფილებული 20 შემთხვევიდან 15 შემთხვევაში მსჯავრდებულს თავისუფლების აღკვეთა შეეცვალა შინა პატიმრობით, ხოლო 5 შემთხვევაში საზოგადოებისთვის სასარგებლო შრომა განესაზღვრა.

აქვე წარმოგიდგინთ თითოეული საბჭოს მიერ მიღებული გადაწყვეტილებების შედეგებს (იხ. დიაგრამა N1) :

⁵⁰ საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსი, მუხ. 27¹, ნაწ. 1.

- აღმოსავლეთ საქართველოს პირველი ადგილობრივი საბჭო - შესწავლილ იქნა 106 გადაწყვეტილება. აქედან 7 ეხებოდა სასჯელის მოუხდელი ნაწილის უფრო მსუბუქი სახის სასჯელით შეცვლის საკითხს. დაკმაყოფილდა შვიდივე შუამდგომლობა. 4 შემთხვევაში - სასჯელის მოუხდელი ნაწილი შეიცვალა შინა პატიმრობით, ხოლო 3 შემთხვევაში - საზოგადოებისათვის სასარგებლო შრომით. დანარჩენი 99 შუამდგომლობიდან დაკმაყოფილდა მხოლოდ 3 შუამდგომლობა სასჯელის მოხდისაგან პირობით ვადამდე გათავისუფლების შესახებ;
- აღმოსავლეთ საქართველოს მეორე ადგილობრივი საბჭო - შესწავლილ იქნა 199 გადაწყვეტილება. აქედან 9 ეხებოდა სასჯელის მოუხდელი ნაწილის უფრო მსუბუქი სახის სასჯელით შეცვლის საკითხს. ცხრიდან 7 შემთხვევაში შუამდგომლობა არ დაკმაყოფილდა, 2 შემთხვევაში სასჯელის მოუხდელი ნაწილი შეიცვალა შინა პატიმრობით. დანარჩენი 190 შემთხვევიდან დაკმაყოფილდა მხოლოდ 11 სასჯელის მოხდისაგან პირობით ვადამდე გათავისუფლების შესახებ შუამდგომლობა;
- აღმოსავლეთ საქართველოს მესამე ადგილობრივი საბჭო - შესწავლილ იქნა 215 გადაწყვეტილება. აქედან 20 ეხებოდა სასჯელის მოუხდელი ნაწილის უფრო მსუბუქი სახის სასჯელით შეცვლის საკითხს. დაკმაყოფილდა 8 შუამდგომლობა და სასჯელის მოუხდელი ნაწილი შეიცვალა შინა პატიმრობით. დანარჩენი 195 შემთხვევიდან დაკმაყოფილდა 20 შუამდგომლობა სასჯელის მოხდისაგან პირობით ვადამდე გათავისუფლების შესახებ;
- დასავლეთ საქართველოს ადგილობრივი საბჭო - შესწავლილ იქნა 167 გადაწყვეტილება. აქედან 4 შეეხებოდა სასჯელის მოუხდელი ნაწილის უფრო მსუბუქი სახის სასჯელით შეცვლის საკითხს. აქედან 1 არ დაკმაყოფილდა, 1 შემთხვევაში - სასჯელის მოუხდელი ნაწილი შეიცვალა შინა პატიმრობით და 2 შემთხვევაში - საზოგადოებისათვის სასარგებლო შრომით. დანარჩენი 163 შუამდგომლობიდან, რომელიც ეხებოდა პირობით ვადამდე გათავისუფლების საკითხს, დაკმაყოფილდა 31 შუამდგომლობა;
- არასრულწლოვანთა საქმეების განმხილველი ადგილობრივი საბჭო - შესწავლილ იქნა 13 გადაწყვეტილება. ყველა საქმე ეხებოდა პირობით ვადამდე გათავისუფლების საკითხს. დაკმაყოფილდა 1 შუამდგომლობა. არცერთი საქმე ეხებოდა სასჯელის მოუხდელი ნაწილის უფრო მსუბუქი სახის სასჯელით შეცვლის საკითხს;
- ქალ მსჯავრდებულთა საქმეების განმხილველი ადგილობრივი საბჭო - შესწავლილ იქნა 44 გადაწყვეტილება. ყველა მათგანი ეხებოდა პირობით ვადამდე გათავისუფლების საკითხს. დაკმაყოფილდა 11 შუამდგომლობა. არცერთი საქმე ეხებოდა სასჯელის მოუხდელი ნაწილის უფრო მსუბუქი სახის სასჯელით შეცვლის საკითხს.

დიაგრამა NI.



2019 წლის ივლისში სახალხო დამცველის აპარატმა დამატებით გამოითხოვა ინფორმაცია პენიტენციური სამსახურიდან სტატისტიკური მონაცემების შესახებ. გამოთხოვილი ინფორმაციის ანალიზი მიზნად ისახავდა 2018-2019 წლების დინამიკისა და უახლესი პრაქტიკის წარმოჩენას.


პენიტენციური სამსახურიდან მოწოდებული სტატისტიკური მონაცემები ასე გამოიყურება⁵¹ (იხ. დიაგრამა N2 და N3):

- პირობით ვადამდე გათავისუფლების შესახებ სამსახურის ადგილობრივ საბჭოებში 2018 წლის იანვარში სულ შევიდა 645 შუამდგომლობა, თებერვალში - 659, მარტში - 605, აპრილში - 650, მაისში - 663, ივნისში - 710, ივლისში - 658, აგვისტოში - 702, სექტემბერში - 678, ოქტომბერში - 674, ნოემბერში - 695, დეკემბერში - 738. ჯამში 2018 წელს - 8077 შუამდგომლობა შევიდა;
- 2018 წელს შესული შუამდგომლობებიდან დაკმაყოფილდა: იანვარში - 70, თებერვალში - 66, მარტში - 45, აპრილში - 27, მაისში - 35, ივნისში - 55, ივლისში - 79, აგვისტოში - 84, სექტემბერში - 78, ოქტომბერში - 91, ნოემბერში - 105, დეკემბერში - 86. სულ 2018 წელს დაკმაყოფილდა 821 შუამდგომლობა;
- პირობით ვადამდე გათავისუფლების შესახებ 2019 წელს ადგილობრივ საბჭოებში თვეების მიხედვით შევიდა: იანვარში - 748 შუამდგომლობა, თებერვალში - 640, მარტში - 620, აპრილში - 655, მაისში - 669, ივნისში - 603. სულ 2019 წელს (ივნისის ჩათვლით) შევიდა 3 935 შუამდგომლობა;


⁵¹ სპეციალური პენიტენციური სამსახურის ადგილობრივი საბჭოების სამსახურებრივი უზრუნველყოფის დეპარტამენტის N232305/01 წერილი.

- 2019 წელს შესული შუამდგომლობებიდან დაკმაყოფილდა: იანვარში - 98 შუამდგომლობა, თებერვალში - 181, მარტში - 128, აპრილში - 99, მაისში - 104, ივნისში - 85 შუამდგომლობა. სულ 2019 წელს დაკმაყოფილდა 695 შუამდგომლობა, ივნისის თვის ჩათვლით;
- სასჯელის მოუხდელი ნაწილის უფრო მსუბუქი სახის სასჯელით შინაპატიმრობით შეცვლის შესახებ ადგილობრივ საბჭოში 2018 წელს სულ შევიდა 1 161 შუამდგომლობა. აქედან: იანვარში - 131 შუამდგომლობა, თებერვალში - 198, მარტში - 83, აპრილში - 50, მაისში - 64, ივნისში - 41, ივლისში - 60, აგვისტოში - 70, სექტემბერში - 104, ოქტომბერში - 94, ნოემბერში - 100, დეკემბერში - 166;
- 2018 წელს სასჯელის მოუხდელი ნაწილის უფრო მსუბუქი სახის სასჯელით შეცვლის საკითხზე შესული შუამდგომლობებიდან სულ დაკმაყოფილდა 67 შუამდგომლობა. იანვარში - 4 შუამდგომლობა დაკმაყოფილდა, თებერვალში - 5, მარტში - 2, აპრილში - 0, მაისში - 2, ივნისში - 3, ივლისში - 4, აგვისტოში - 4, სექტემბერში - 6, ოქტომბერში - 12, ნოემბერში - 11, დეკემბერში - 14;
- სასჯელის მოუხდელი ნაწილის უფრო მსუბუქი სახის სასჯელით შინაპატიმრობით შეცვლის შესახებ ადგილობრივ საბჭოში 2019 წელს სულ შევიდა 680 შუამდგომლობა. აქედან იანვარში - 98, თებერვალში - 110, მარტში - 105, აპრილში - 110, მაისში - 130, ივნისში - 127;
- 2019 წელს სასჯელის მოუხდელი ნაწილის უფრო მსუბუქი სახის სასჯელით შეცვლის საკითხზე შესული შუამდგომლობებიდან სულ დაკმაყოფილდა 80 შუამდგომლობა. აქედან იანვარში - 9, თებერვალში - 10, მარტში - 15, აპრილში - 15, მაისში - 11, ივნისში - 20 შუამდგომლობა;
- სასჯელის მოუხდელი ნაწილის უფრო მსუბუქი სახის სასჯელით საზოგადოებისთვის სასარგებლო შრომით შეცვლის შესახებ ადგილობრივ საბჭოში 2018 წლის იანვარში სულ შევიდა - 31 შუამდგომლობა, თებერვალში - 22, მარტში - 17, აპრილში - 19, მაისში - 13, ივნისში - 10, ივლისში - 31, აგვისტოში - 20, სექტემბერში - 17, ოქტომბერში - 19, ნოემბერში - 19, დეკემბერში - 29. სულ 2018 წელს - 247 შუამდგომლობა;
- სასჯელის მოუხდელი ნაწილის უფრო მსუბუქი სახის სასჯელით საზოგადოებისთვის სასარგებლო შრომით შეცვლის შესახებ შუამდგომლობებიდან 2018 წლის იანვარში დაკმაყოფილდა - 2, თებერვალში - 3, მარტში - 0, აპრილში - 0, მაისში - 0, ივნისში - 0, ივლისში - 1, აგვისტოში - 0, სექტემბერში - 0, ოქტომბერში - 0, ნოემბერში - 4, დეკემბერში - 6. სულ 2018 წელს - 16 შუამდგომლობა;
- სასჯელის მოუხდელი ნაწილის უფრო მსუბუქი სახის სასჯელით საზოგადოებისთვის სასარგებლო შრომით შეცვლის შესახებ ადგილობრივ საბჭოში შევიდა 2019 წლის იანვარში - 17, თებერვალში - 21, მარტში - 30, აპრილში - 55, მაისში - 58, ივნისში - 42. სულ 2019 წელს - 223 შუამდგომლობა;
- სასჯელის მოუხდელი ნაწილის უფრო მსუბუქი სახის სასჯელით საზოგადოებისთვის სასარგებლო შრომით შეცვლის შესახებ შუამდგომლობებიდან დაკმაყოფილდა 2019 წლის იანვარში - 0, თებერვალში - 2, მარტში - 3, აპრილში - 4, მაისში - 8, ივნისში - 2 შუამდგომლობა. სულ 2019 წელს - 19 შუამდგომლობა.

დიაგრამა N2.



დიაგრამა N3.



როგორც აღინიშნა, სახალხო დამცველის აპარატი თბილისის საქალაქო სასამართლოში გაეცნო 56 საქმეს და დამატებით გაეცნო იუსტიციის სამინისტროს მიერ წარმოდგენილი სასამართლოს 39 გადაწყვეტილებას. ჯამში აპარატმა შეისწავლა 95 სასამართლო გადაწყვეტილება.

თბილისის საქალაქო სასამართლოს მიერ წარმოდგენილი 56 საქმიდან;

- 49 იყო 2018 წლის გადაწყვეტილება, ხოლო 7 - 2019 წლის;
- 56 შემთხვევიდან 20 სარჩელი დახარვეზდა;
- 20 შემთხვევიდან 16 შემთხვევაში ხარვეზის მიზეზი იყო ბაჟის გადაუხდელობა და გარკვეულ შემთხვევებში, ასევე, სასარჩელო მოთხოვნის არაჯეროვანად წარმოდგენა;
- 4 შემთხვევაში მოსარჩელემ გაიხმო სარჩელი;
- 56 საქმიდან სასამართლომ არსებითად იმსჯელა 32 სარჩელზე;
- 32 სარჩელიდან 27 სასამართლომ არ დააკმაყოფილა, 5 შემთხვევაში სასამართლომ ნაწილობრივ დააკმაყოფილა სარჩელი და დაუბრუნა საბჭოს გარემოებების დამატებითი და სრულყოფილი გამოკვლევისთვის და ახალი გადაწყვეტილების მიღების მიზნით.

საქართველოს სახალხო დამცველის აპარატმა ადგილობრივი საბჭოების სამსახურებრივი უზრუნველყოფის დეპარტამენტიდან მოიპოვა⁵² საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 27¹ მუხლის პირველი ნაწილის შესაბამისად გამოტანილი გადაწყვეტილებების შესახებ ინფორმაცია. კერძოდ, როგორც უკვე ითქვა, სასამართლო უფლებამოსილია ადგილობრივი საბჭოს გადაწყვეტილების თაობაზე შეტანილი საჩივრის განხილვის შედეგად მიიღოს ერთ-ერთი შემდეგი გადაწყვეტილება⁵³:

- ა) ძალაში დატოვოს ადგილობრივი საბჭოს უარყოფითი გადაწყვეტილება
- ბ) სადავო საკითხის გადაუწყვეტლად ბათილად ცნოს ადგილობრივი საბჭოს გადაწყვეტილება და დაავალოს მას სათანადო გარემოებების გამოკვლევისა და შეფასების შემდეგ ახალი აქტის გამოცემა
- გ) ბათილად ცნოს ადგილობრივი საბჭოს გადაწყვეტილება და დაავალოს მას მსჯავრდებულის სასჯელის მოხდისგან პირობით ვადამდე გათავისუფლების შესახებ ან მსჯავრდებულისათვის სასჯელის მოუხდელი ნაწილის უფრო მსუბუქი სახის სასჯელით შეცვლის შესახებ გადაწყვეტილების მიღება.

სასამართლო პრაქტიკის სრულყოფილად შესწავლის მიზნით, სახალხო დამცველის აპარატმა, ადგილობრივი საბჭოების სამსახურებრივი უზრუნველყოფის დეპარტამენტიდან გამოითხოვა დამატებითი ინფორმაცია, რომელიც კონკრეტულად შეეხებოდა სასამართლოს მიერ მიღებულ კონკრეტულად ისეთ გადაწყვეტილებებს, როდესაც სასამართლომ ბათილად

⁵² 2019 წლის 19 სექტემბრის N278636/01 წერილი.


⁵³ საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსი, მუხ. 27¹.

ცნო ადგილობრივი საბჭოს გადაწყვეტილება სადავო საკითხის გადაწყვეტლად უკან დაუბრუნა საკითხი დამატებითი განხილვის მიზნით და მეორე შემთხვევაში, როდესაც სასამართლომ ბათილად ცნო ადგილობრივი საბჭოს გადაწყვეტილება და დაავალა საბჭოს მსჯავრდებულის სასჯელის მოხდისაგან პირობით ვადამდე გათავისუფლების შესახებ ან მსჯავრდებულისათვის სასჯელის მოუხდელი ნაწილის უფრო მსუბუქი სახის სასჯელით შეცვლის შესახებ გადაწყვეტილების მიღება.

სახალხო დამცველის აპარატს ეცნობა, რომ 2018 წლის პირველი იანვრიდან 2019 წლის პირველი ივნისის ჩათვლით პერიოდში, თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიამ (იხ. დიაგრამა N5):

1. განიხილა ადგილობრივი საბჭოს მიერ მიღებული გადაწყვეტილებების თაობაზე შეტანილი 214 საჩივარი (54 საქმეზე გადაწყვეტილება სასამართლოს მიღებული არ ჰქონდა ინფორმაციის სახალხო დამცველის აპარატში წარმოდგენის მომენტისთვის) და 94-ჯერ ძალაში დატოვა ადგილობრივი საბჭოს გადაწყვეტილება ძალაში
2. ადგილობრივი საბჭოს მიერ მიღებული გადაწყვეტილების თაობაზე 57-ჯერ (ორმოცდაერთი 2018 წელს და თექვსმეტი 2019 წელს) სადავო საკითხის გადაწყვეტლად სასამართლომ ბათილად ცნოს ადგილობრივი საბჭოს გადაწყვეტილება და დაავალოს მას სათანადო გარემოებების გამოკვლევისა და შეფასების შემდეგ ახალი აქტის გამოცემა
3. 9-ჯერ სასამართლომ ბათილად ცნო ადგილობრივი საბჭოს გადაწყვეტილება და დაავალა ადგილობრივ საბჭოს მსჯავრდებულის სასჯელის მოხდისგან პირობით ვადამდე გათავისუფლების შესახებ გადაწყვეტილების მიღება.

დიაგრამა N5.



ადგილობრივი საბჭოების საქმიანობისა და სასამართლო პრაქტიკის ანალიზის შედეგად გამოიკვეთა რამდენიმე ძირითადი საკითხი:

- საბჭოს გადაწყვეტილებები დაუსაბუთებელია, არ ჩანს საბჭოს მოტივაცია, რატომ ანიჭებს კონკრეტულ კრიტერიუმს უფრო მეტ ღირებულებს და სხვას ნაკლებს
- საბჭოს უარყოფითი გადაწყვეტილებები, როგორც წესი, გამომდინარეობს მსჯავრდებულის მიერ ჩადენილი დანაშაულის ხასიათიდან და სიმძიმიდან
- საბჭოს დადებითი გადაწყვეტილებები ფორმალურ დასაბუთებასაც კი არ შეიცავს
- საბჭოს მსგავსი ფაქტობრივი მოცემულობის მქონე საქმეებში განსხვავებული გადაწყვეტილებები გამოაქვს
- საბჭოს შედარებით ჰუმანურად არის განწყობილი საკუთრების წინააღმდეგ მიმართული და ნარკოტიკული დანაშაულისთვის მსჯავრდებული პატიმრების მიმართ
- საბჭო დადებით გადაწყვეტილებებს იმ შემთხვევაში უფრო მარტივად იღებს, თუ მსჯავრდებულს მოსახდელად დარჩენილი აქვს მცირე ვადა
- დისციპლინური გადაცდომები ნეგატიურ გავლენას ახდენს მსჯავრდებულის გათავისუფლებისა თუ პირობით ვადამდე გათავისუფლების პროცესზე
- საბჭო, ხშირ შემთხვევაში, არ აქცევს ყურადღებას დისციპლინური გადაცდომის ჩადენის ხანდაზმულობას, გადაცდომის სიმძიმეს, დაკისრებული სახდელის სიმძიმეს და არც გადაცდომის შემდგომ პერიოდში, პატიმრის დადებითად შეცვლილ ქცევას
- ქალ მსჯავრდებულთა და არასრულწლოვანთა საქმეების განხილვის პროცესი გაცილებით უფრო სრულყოფილია. დეტალურად არის აღწერილი მსჯავრდებულთა პიროვნული მახასიათებლები, სამომავლო სურვილები, გეგმები და სხვა მხარდამჭერი ფაქტორები
- საბჭოს გადაწყვეტილებებში არსებითი ხასიათის უზუსტობები ფიქსირდება, რაც ხშირ შემთხვევაში, პატიმრისთვის საუარესო გადაწყვეტილების წინაპირობა ხდება
- არ არის განჭვრეტადი საბჭოს მიერ საქმის ზეპირი მოსმენით განხილვის მოტივაცია
- ზეპირი მოსმენა დადებით გავლენას ახდენს შუამდგომლობის განხილვის ბედზე
- სასჯელის მოუხდელი ნაწილის უფრო მსუბუქი სახის სასჯელით შეცვლის პროცესში საბჭოს აქვს იგივე ხარვეზები, რაც პირობით ვადამდე გათავისუფლების შესახებ შუამდგომლობის განხილვისას
- საბჭოს გადაწყვეტილებების დასაბუთების ხარისხი 2019 წელს 2018 წლის მსგავსია
- 2019 წელს პირობით ვადამდე გათავისუფლების სტატისტიკა 2018 წელთან შედარებით გაზრდილია დაახლოებით 7.5%-ით. 2018 წელს საბჭოში შესული 8 077 შუამდგომლობიდან დაკმაყოფილდა 821, ე.ი. 10.2%, ხოლო 2019 წლის 6 თვის განმავლობაში შესული იყო 3 935 შუამდგომლობა, საიდანაც დაკმაყოფილდა 695, რაც 17.7% შეადგენს⁵⁴
- ზრდის ტენდენციაა სასჯელის მოუხდელი ნაწილის უფრო მსუბუქი სახის სასჯელით შეცვლის მიმართულებითაც. 2019 წელს შინაპატიმრობის გამოყენების შემთხვევები

⁵⁴ ექვსთვიანი პერიოდის - ორივე წლის იანვარი-ივნისის პერიოდის - შედარების შემთხვევაში ზრდა არის 10.1%-იანი. თუ 2019 წლის პირველ ექვს თვეში 3 935 შუამდგომლობიდან დაკმაყოფილდა 695 შუამდგომლობა, 2018 წლის პირველ ექვს თვეში შესული 3 932 შუამდგომლობიდან დაკმაყოფილდა 298 შუამდგომლობა, რაც საერთო რაოდენობის 7.6%-ს შეადგენს

გაიზარდა 6%-ით. კერძოდ: 2018 წელს შინაპატიმრობის გამოყენების შესახებ სულ შევიდა 1 161 შუამდგომლობა, საიდანაც დაკმაყოფილდა 67, ანუ 5.8%. ხოლო 2019 წლის პირველ ექვს თვეში შესული იყო 680 შუამდგომლობა, საიდანაც დაკმაყოფილდა 80, ე.ი. 11.8%⁵⁵

- რაც შეეხება სასჯელის მოუხდელი ნაწილის საზოგადოებისთვის სასარგებლო შრომით შეცვლის შესახებ შუამდგომლობებს - ამ მიმართულებით 2018 წელს შესული იყო 247 შუამდგომლობა, საიდანაც დაკმაყოფილდა 16 შუამდგომლობა, რაც 6.5% წარმოადგენს, ხოლო 2019 წლის პირველ ექვს თვეში შესული იყო 223 შუამდგომლობა და აქედან დაკმაყოფილდა 19, რაც 8.5%-ია საერთო რაოდენობის. ამრიგად ამ მიმართულებითაც დაფიქსირდა 2%-იანი ზრდა⁵⁶
- სასამართლო პრაქტიკა არაერთგვაროვანია.

პრაქტიკაში გამოვლენილი ხარვეზები

1. გადაწყვეტილებათა დაუსაბუთებლობა

უარყოფითი გადაწყვეტილებები

ადგილობრივი საბჭოების შესწავლილი გადაწყვეტილებების ანალიზის შედეგად გამოვლენილ ხარვეზთაგან მნიშვნელოვანი ადგილი უკავია გადაწყვეტილებების დაუსაბუთებლობის პრობლემას. ადგილობრივი საბჭოების მიერ მიღებული გადაწყვეტილებები სასჯელის მოხდისაგან პირობით ვადამდე გათავისუფლებაზე უარის თქმის შესახებ ძირითადად შაბლონურ ხასიათს ატარებს და შეიცავს ფორმალურ მითითებას თუ რომელ კრიტერიუმებს დაეყრდნო საბჭო კონკრეტულ შემთხვევაში უარყოფითი გადაწყვეტილების მიღების პროცესში. აღნიშნული გადაწყვეტილებები არ შეიცავს მსჯელობას, თუ რა ფაქტორების გამო ვერ იქნა მიღწეული მსჯავრდებულის რესოციალიზაცია ან/და რა კონკრეტული გარემოებები წარმოშობს დასაბუთებულ ვარაუდს, რომ დადებითი გადაწყვეტილების მიღების შემთხვევაში, შესაძლოა საფრთხე შეექმნას საზოგადოების უსაფრთხოებას.

⁵⁵ ექვს თვიანი მონაცემების შედარების შემთხვევაში 2019 წლის მონაცემების ზრდა 10.7%-იანია. კერძოდ, თუ 2019 წლის პირველ ექვს თვეში დაკმაყოფილდა 680 შუამდგომლობიდან 80, 2018 წლის ანალოგიურ პერიოდში შესული იყო 567 შუამდგომლობა, საიდანაც დაკმაყოფილდა 16, რაც 1.1% შეადგენს და მნიშვნელოვნად ჩამორჩება 2019 წლის შედეგებს.

⁵⁶ ექვსი თვის მონაცემები კი ასე გამოიყურება: 2018 წლის იანვარ-ივნისში საბჭოში შესული იყო სულ 112 შუამდგომლობა, საიდანაც დაკმაყოფილდა 5, რაც 4.5%-ს შეადგენს. 2019 წლის ანალოგიურ პერიოდში 4%-იანი ზრდის ტენდენცია შეინიშნება.

მსგავსი მსჯელობისა და დასაბუთების არარსებობა განსაკუთრებით ბუნდოვანს ხდის პირობით ვადამდე გათავისუფლებაზე უარის თქმის შესახებ ისეთ გადაწყვეტილებებს, სადაც მსჯავრდებულის პიროვნება დადებითად ხასიათდება და იკვეთება სხვა არაერთი დადებითი მნიშვნელობის მქონე ფაქტორები. ასეთ შემთხვევებში შუამდგომლობის დაკმაყოფილებაზე უარის მოტივირება მხოლოდ დანაშაულის სიმძიმეზე და ხასიათზე მითითებით, ქმნის შთაბეჭდილებას, რომ ადგილობრივი საბჭო არ ამოწმებს და ყურადღებას არ აქცევს მსჯავრდებულის რესოციალიზაციის პროცესსა და შედეგებს, რაც მისი პირდაპირი ვალდებულებაა. მიუხედავად საბჭოს ვალდებულებისა იმსჯელოს და მხედველობაში მიიღოს ხუთი კრიტერიუმი, გადამწონი ყველაზე ხშირად მხოლოდ ერთი კრიტერიუმია - დანაშაულის ხასიათი.

საილუსტრაციოდ წარმოგიდგინთ ადგილობრივი საბჭოების რამდენიმე გადაწყვეტილებას, რომელიც ნათლად წარმოაჩენს თუ რა მიდგომას იყენებს საბჭო გადაწყვეტილების მიღებისას და რა საკითხებზე ამახვილებს უპირატესად ყურადღებას:

საქმე N1. 2018 წლის 9 ოქტომბერს სპეციალური პენიტენციური სამსახურის აღმოსავლეთ საქართველოს ადგილობრივმა საბჭომ ზეპირი მოსმენის გარეშე განიხილა შუამდგომლობა მსჯავრდებულის დარჩენილი სასჯელის შინაპატიმრობით შეცვლის შესახებ. გადაწყვეტილების მიხედვით, მსჯავრდებულს „ხელვაჩაურის რაიონული სასამართლოს 2010 წლის განაჩენით, საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 260-მუხლის მე-3 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით და ამავე კოდექსის 262-ე მუხლის მე-4 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით, სასჯელის სახედ და ზომად განესაზღვრა თავისუფლების აღკვეთა 25 წლის ვადით, დამატებით სასჯელად დაენიშნა ჯარიმა 10000 ლარის ოდენობით. ხელვაჩაურის რაიონული სასამართლოს 2013 წლის განჩინებით, „ამნისტიის შესახებ“ საქართველოს კანონის თანახმად, გათავისუფლდა საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 260-ე მუხლით დანიშნული სასჯელისაგან და განესაზღვრა თავისუფლების აღკვეთა 12 წლის ვადით... მსჯავრდებულის ესწრებოდა დაწესებულებაში გამართულ კულტურულ ღონისძიებებს... სასჯელის მოხდის პერიოდში დასჯილი არ ყოფილა... წახალისებულია ექვსჯერ... სასჯელის მოხდის პერიოდში სარეჟიმო კორპუსზე ყოფნის დროს რაიმე დარღვევაში შემჩნეული არ ყოფილა... მსჯავრდებულის დაწესებულების ადმინისტრაციისა და დაწესებულების მსჯავრდებულების მიმართ თავაზიანია. ნასამართლობის არმქონე... საკითხის განხილვისას საბჭომ გაითვალისწინა მსჯავრდებულის დამოკიდებულება თავისუფლების აღკვეთის ადმინისტრაციასთან და სხვა პიროვნული მახასიათებლები, ოჯახური პირობები, ქვევა სასჯელის მოხდის პერიოდში, ის გარემოება, რომ ნასამართლობის არმქონეა, წახალისებულია არაერთხელ, მონაწილეობა აქვს მიღებული დაწესებულებაში მიმდინარე სხვადასხვა კულტურულ ღონისძიებებში, თუმცა, საბჭომ ყურადღება გაამახვილა იმ ფაქტზე, რომ მსჯავრდებულის მიერ ჩადენილია ნარკოტიკული დანაშაული, რაც დიდი ოდენობით ნარკოტიკული საშუალების უკანონოდ შექმნასა და შენახვაში გამოიხატა. ვინაიდან, დარჩენილი სასჯელის შინაპატიმრობით შეცვლის მიზნებისათვის განსაკუთრებით უარყოფით როლს თამაშობს ჩადენილი დანაშაულის სიმძიმე და ხასიათი, საბჭომ ამ ეტაპზე მიიჩნია, რომ ამ კრიტერიუმების თანხმლები ნეგატიური მოსაზრებები ვერ გააბათილა და ვერ გადაწონა სხვა დადებითი კონტექსტის კრიტერიუმებმა“.

შეფასება: გადაწყვეტილებაში ნათლად ჩანს, რომ პირის დადებითი მახასიათებლების მიუხედავად, რომელიც არაერთი მიმართულებით არის წარმოჩენილი, უპირატესი ყურადღება ექცევა ჩადენილი დანაშაულის ბუნებას. არ არის ახსნილი, თუ რატომ ვერ გააბათილა სხვა დადებითი კონტექსტის კრიტერიუმები დანაშაულის ბუნების თანმხლებმა უარყოფითმა მოსაზრებებმა. წინა მაგალითის მსგავსად, ამ შემთხვევაშიც, საბჭომ გაითვალისწინა მხოლოდ ჩადენილი დანაშაულის ხასიათი.

საქმე N2. აღმოსავლეთ საქართველოს მეორე ადგილობრივმა საბჭომ 2019 წლის 01 მაისს უარი თქვა მსჯავრდებულის შუამდგომლობის დაკმაყოფილებაზე მისი მოუხდელი სასჯელის საზოგადოებისთვის სასარგებლო შრომით შეცვლის თაობაზე. პირს ჩადენილი ჰქონდა თაღლითობა და დოკუმენტის გაყალბება. მსჯავრდებულს ჰყავს მეუღლე და ორი შვილი. აქვს მათთან ხშირი სატელეფონო კომუნიკაცია და სარგებლობს პაემნის უფლებით. ოჯახის მატერიალური მდგომარეობა არის საშუალო. მოტივირებულია ცვლილებებისკენ. გათავისუფლების შემდეგ დაუბრუნდება ძველ სამსახურს. სარგებლობს ბიბლიოთეკით, აქტიურად ვარჯიშობს ტრენაჟორებზე, ამზადებს ხის ნაკეთობებს, ესწრება კულტურულ ღონისძიებებს, დადის დაწესებულების ეკლესიაში, არის მორწმუნე. აქვს სამუშაო გამოცდილება. საუბრობს სამომავლო გეგმებზე. ცხოვრებისეული უნარები ეხმარება განავითაროს მოქნილი დამოკიდებულება. ავლენს ინტერპერსონალური ურთიერთობის ნორმალურ ხარისხს. აწარმოებს ადეკვატურ კომუნიკაციას. პრობლემების მოგვარებისას უპირატესობას ანიჭებს დიალოგის ფორმას. გამომუშავებული აქვს თავისუფალი დროის მართვის უნარები. სასჯელის მოხდის პერიოდში დასჯილი არ ყოფილა. წახალისებულია ერთხელ - სანიმუშო ყოფაცქევისთვის გამოეცადა „მადლობა“ იცავს დაწესებულების დებულებას, დაწესებულების დღის განრიგსა და სამართლებრივ რეჟიმს, ასრულებს ადმინისტრაციის კანონიერ მოთხოვნებს. არის თავაზიანი, არ არის კონფლიქტური და აგრესიული. ნასამართლობის არმქონე.

შეფასება: საბჭოს მოტივაცია ამ შემთხვევაშიც არ არის დასაბუთებული, თუ რატომ მიაქცია ყურადღება მხოლოდ დანაშაულის ხასიათს და სიმძიმეს და რატომ გადაწონა ამ კრიტერიუმმა ყველა სხვა დადებითი მახასიათებელი, რის გამოც შეუძლებელი იქნებოდა მსჯავრდებულის მიერ მოუხდელი სასჯელი შეცვლილიყო უფრო მსუბუქი სახის სასჯელით.

საილუსტრაციოდ განხილული გადაწყვეტილებები შეიცავს დასაბუთებას იმის მიხედვით, თუ რა ფაქტორებმა განაპირობა კონკრეტული გადაწყვეტილების მიღება, თუმცა, დაუსაბუთებლობა სწორედ იმ ასპექტში ვლინდება, რომ მსჯავრდებულისთვის გაურკვეველი რჩება, რატომ ვერ აბათილებს პიროვნული მახასიათებლები ჩადენილი დანაშაულის მიმართ არსებულ ნეგატიურ ასპექტებს.

კანონმდებლობით, სასჯელის მოხდის ერთ-ერთი მიზანი მსჯავრდებულის რესოციალიზაციაა, რომლის პროგრესიც მისი ქმედებებიდან ვლინდება. თუ საბჭო თვლის, რომ მსჯავრდებულის მიერ გამოვლენილი ქცევა არ არის საკმარისი მისი რესოციალიზაციისთვის, მაშინ მან უნდა დაასაბუთოს გადაწყვეტილებაში, რატომ არ არის საკმარისი პირის მიერ უკვე მოხდილი სასჯელის ოდენობა, რატომ არ არის პირი ჯერ კიდევ რესოციალიზებული, მიუხედავად მისი გამოვლენილი პოზიტიური ქცევებისა.

განხილული გადაწყვეტილებების მსგავსი გადაწყვეტილებები ტოვებს პასუხგაუცემელ კითხვებს თითოეული მსჯავრდებულისთვის თუ რა შეიძლება მან გააკეთოს დამატებით სასჯელის მოხდის პერიოდში, კიდევ როგორ შეიძლება იმოქმედოს, რომ გარემოებები საკმარისად იქნეს მიჩნეული მისი პირობით ვადამდე გათავისუფლებისა თუ სასჯელის მოუხდელი ნაწილის უფრო მსუბუქი სახის სასჯელით შეცვლის პროცესში. ამგვარმა პროცესმა კი შესაძლოა, საბოლოოდ, გამოიწვიოს ადგილობრივი საბჭოს მიზნის⁵⁷ რეალიზების შეუძლებლობა და პირიქითაც, ინდიფერენტული გახადოს მსჯავრდებული რესოციალიზაციის პროცესისადმი.

ადგილობრივი საბჭოების გადაწყვეტილებების დაუსაბუთებლობის პრობლემაზე სახალხო დამცველს არაერთი პატიმარი მიმართავს. ადგილობრივი საბჭოები უარყოფითი გადაწყვეტილების მიღებისას ყველა შემთხვევაში მიუთითებენ დანაშაულის სიმძიმეზე და ხასიათზე, მაშინაც კი, როცა სხვა უარყოფითი მნიშვნელობის მქონე კრიტერიუმები (ნასამართლობა, წარსულში დანაშაულის ჩადენის ფაქტები, თავისუფლების აღკვეთის დაწესებულებაში მსჯავრდებულის ქცევა, დისციპლინური გადაცდომები და სხვა) სახეზე არ არის. მსგავს შემთხვევებში, ბუნდოვანი რჩება შუამდგომლობის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის მოტივი, ვინაიდან მხოლოდ დანაშაულის სიმძიმეზე და ხასიათზე მითითება ვერ დააკმაყოფილებს დასაბუთებული გადაწყვეტილების მიღების სტანდარტს იმ გარემოების გათვალისწინებით, რომ კანონმდებელი ითვალისწინებს მოცემული შეღავათის გამოყენების შესაძლებლობას იმ მსჯავრდებულისთვის, რომელმაც უკვე მოიხადა ჩადენილი დანაშაულისთვის განსაზღვრული სასჯელის კანონით დადგენილი ვადა⁵⁸.

მართალია, ადგილობრივი საბჭო წარმოადგენს ადმინისტრაციულ ორგანოს და იგი გადაწყვეტილებას იღებს დისკრეციული უფლებამოსილების ფარგლებში⁵⁹, თუმცა, ადგილობრივი საბჭოს მიერ მიღებული გადაწყვეტილება წარმოადგენს ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტს⁶⁰ და იგი უნდა შეიცავდეს წერილობით დასაბუთებას⁶¹. წერილობითი დასაბუთება კი მოითხოვს შინაარსობრივ დასაბუთებას – მთავარი არგუმენტები, რომელსაც აყრდნობს მსჯავრდებული მოთხოვნას, უნდა იყოს ნათლად პასუხგაცემული, რომ მისთვის ნათელი იყოს ადმინისტრაციული ორგანოს მიერ მიღებული გადაწყვეტილების მოტივაცია, რასაც იგი დისკრეციის საფუძველზე იყენებს.

⁵⁷ მინისტრის N320 ბრძანება, მუხ. 1, პუნქ. 2. საბჭოს ერთ-ერთი მიზანია მსჯავრდებულის რესოციალიზაციის ხელშეწყობა.

⁵⁸ საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსი, მუხ. 72, ნაწ. მე-3 და მე-4.

⁵⁹ საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-2 მუხლის „ლ“ ქვეპუნქტის თანახმად, დისკრეციული უფლებამოსილება არის უფლებამოსილება, რომელიც ადმინისტრაციულ ორგანოს ან თანამდებობის პირს ანიჭებს თავისუფლებას საჯარო და კერძო ინტერესების დაცვის საფუძველზე კანონმდებლობის შესაბამისი რამდენიმე გადაწყვეტილებიდან შეარჩიოს ყველაზე მისაღები გადაწყვეტილება;

⁶⁰ „საქართველოს იუსტიციის სამინისტროს სისტემაში შემავალი სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულების - სპეციალური პენიტენციური სამსახურის ადგილობრივი საბჭოების მიერ სასჯელის მოხდისაგან პირობით ვადამდე გათავისუფლების საკითხის განხილვისა და გადაწყვეტილების მიღების წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს იუსტიციის მინისტრის 2018 წლის 7 აგვისტოს N320 ბრძანების 22-ე მუხლის პირველი პუნქტი.

⁶¹ საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსი, მუხ. 53, ნაწ. 1.

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მიხედვით⁶², დისკრეციული უფლებამოსილების განხორციელებისას გამოცემული ადმინისტრაციული სამართლებრივი აქტით გათვალისწინებულმა ზომებმა არ შეიძლება გამოიწვიოს პირის კანონიერი უფლებებისა და ინტერესების დაუსაბუთებელი შეზღუდვა. ამრიგად, ეს საკანონდებლო ჩანაწერი პირდაპირ მოითხოვს ნებისმიერი ადმინისტრაციული ორგანოსგან, მათ შორის კოლეგიური ორგანოსგან (ამ შემთხვევაში - ადგილობრივი საბჭოები) მსჯავრდებულის მიმართ გამოტანილი ინდივიდუალური ადმინისტრაციული სამართლებრივი აქტი დაასაბუთოს. ადმინისტრაციული ორგანო ვალდებულია განახორციელოს დისკრეციული უფლებამოსილება მხოლოდ იმ მიზნით, რომლის მისაღწევადაც მინიჭებული აქვს ეს უფლებამოსილება.⁶³

დადებითი გადაწყვეტილებები

გადაწყვეტილების დასაბუთებულობა გულისხმობს დასაბუთების საჭიროებას ორივე შემთხვევაში – დადებითი ან უარყოფითი გადაწყვეტილების მიღებისას. სწორედ, გადაწყვეტილების დასაბუთებამ უნდა გამოიწვიოს ადმინისტრაციული ორგანოს მიერ არაერთგვაროვანი ან/და მიკერძოებული მიდგომის ეჭვი. მიუხედავად ამისა, უნდა აღინიშნოს, რომ ადგილობრივი საბჭოების მიერ მიღებულ გადაწყვეტილებათა დაუსაბუთებლობის პრობლემა იკვეთება არა მხოლოდ შუამდგომლობის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის შესახებ მიღებულ გადაწყვეტილებებში, პრობლემურია ასევე იმ გადაწყვეტილებათა დასაბუთებულობა, რომლითაც დაკმაყოფილდა შუამდგომლობები სასჯელის მოხდისაგან პირობით ვადამდე გათავისუფლების ან/და სასჯელის მოუხდელი ნაწილის უფრო მსუბუქი სახის სასჯელით შეცვლის შესახებ.

თუ შუამდგომლობის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის შესახებ გადაწყვეტილებები ფორმალურად მაინც შეიცავს მითითებას იმ კრიტერიუმებზე, რომელთა მხედველობაში მიღებითაც იღებს საბჭო გადაწყვეტილებას, შუამდგომლობის დაკმაყოფილების შესახებ მიღებული გადაწყვეტილებები, როგორც წესი, არ შეიცავს არანაირ ინფორმაციას⁶⁴, თუ რა კრიტერიუმების, რა დადებითი ფაქტორების გათვალისწინებით მივიდა ადგილობრივი საბჭო იმ დასკვნამდე, რომ მსჯავრდებული რესოციალიზირდა, მისი გათავისუფლება საზოგადოებისთვის არ წარმოადგენს საფრთხეს და ამდენად, აღარ არსებობს მსჯავრდებულის მიერ სასჯელის შემდგომი მოხდის საჭიროება:

საილუსტრაციოდ, ამ შემთხვევაშიც წარმოჩენილია რამდენიმე მაგალითი:

⁶² საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსი, მუხ. 7, ნაწ. 2.

⁶³ საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსი, მუხ. 6, ნაწ. 2.

⁶⁴ ადგილობრივი საბჭოების შესწავლილი გადაწყვეტილებებიდან, შუამდგომლობის დაკმაყოფილების შესახებ მიღებული ერთეული რაოდენობის გადაწყვეტილებები შეიცავს მითითებას იმ გარემოებებზე, რომელთა მხედველობაში მიღების შედეგადაც მოხდა გადაწყვეტილების მიღება.

საქმე N1. საქართველოს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სამინისტროს აღმოსავლეთ საქართველოს მეორე ადგილობრივი საბჭოს 2018 წლის 8 ივნისის გადაწყვეტილების თანახმად, მსჯავრდებული „გასამართლებულია 2017 წლის 7 მარტს, თბილისის საქალაქო სასამართლოს მიერ, საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 177-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით, ამავე მუხლის მე-3 ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტით; 67-ე მუხლის საფუძველზე გაუქმდეს თბილისის საქალაქო სასამართლოს 2016 წლის 29 ივლისის განაჩენით დანიშნული სასჯელის მოუხდელი ნაწილი და 59-ე მუხლის თანახმად, ბოლო განაჩენით დანიშნულმა სასჯელმა შთანთქოს წინა განაჩენით დანიშნული სასჯელის მოუხდელი ნაწილი და საბოლოოდ, განაჩენთა ერთობლიობით, განესაზღვრა თავისუფლების აღკვეთა 2 წლის ვადით, 3 წელი პირობითი, 3 წელი გამოსაცდელი ვადა... მსჯავრდებულის განმარტებით, დაზარალებულს მის მიმართ პრეტენზია არ გააჩნია, თუმცა დამადასტურებელი დოკუმენტი არ წარმოუდგენია... სასჯელის მოხდის პერიოდში არ მიუღია მონაწილეობა სოციალურ აქტივობებში... მსჯავრდებული დასჯილი ან წახალისებული არ ყოფილა... მსჯავრდებული იცავს სარეჟიმო მოთხოვნებსა და კანონით დაკისრებულ ვალდებულებებს... მსჯავრდებული არ არის აგრესიული და კონფლიქტური, მას ადმინისტრაციის თანამშრომლებთან და სხვა მსჯავრდებულებთან აქვს ნორმალური დამოკიდებულება... მსჯავრდებული არის ნასამართლობის მქონე: 2016 წლის 29 ივლისის თბილისის საქალაქო სასამართლოს განაჩენით, საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 177-ე მუხლის პირველი ნაწილით განესაზღვრა თავისუფლების აღკვეთა 1 წლის ვადით, რაც ჩაეთვალია პირობითად და გამოსაცდელ ვადად დაუდგინდა 1 წელი... საბჭომ ზეპირი მოსმენით განიხილა მსჯავრდებულის სასჯელის მოხდისაგან პირობით ვადამდე გათავისუფლების საკითხი, მართებულად ჩათვალია კრიტერიუმების მიხედვით საქმისათვის მნიშვნელობის მქონე გარემოებების შეფასება, მოუსმინა მსჯავრდებულს. საბჭომ იხელმძღვანელა საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის მე-12 და 72-ე მუხლებით, საქართველოს პატიმრობის კოდექსის 41-ე და 42-ე მუხლებით, ასევე, საქართველოს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სამინისტროს ადგილობრივი საბჭოების რაოდენობის, ტერიტორიული განსჯადობისა და ადგილობრივი საბჭოს ტიპური დებულებით და გადაწყვიტა: სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სამინისტროს აღმოსავლეთ საქართველოს ადგილობრივ საბჭოში შემოსული შუამდგომლობა მსჯავრდებულის პირობით ვადამდე გათავისუფლების თაობაზე, დაკმაყოფილდეს...”

შეფასება: ამ გადაწყვეტილებაში აღმოსავლეთის ადგილობრივი საბჭო არ ასაბუთებს, ამჯერად რატომ ვერ იქონია პიროვნულმა მახასიათებლებმა გადამწყვეტი უარყოფითი გავლენა შუამდგომლობის დაკმაყოფილებაზე, როდესაც პირი იყო ნასამართლევნი, წახალისებული არცერთხელ ყოფილა დაწესებულების ადმინისტრაციის მიერ. სავარაუდოდ მთავარი ფაქტორი არის დანაშაულის ხასიათი და არა პირის რესოციალიზაციის პროგრესი – როგორ იქცევა ის დაწესებულებაში, განიცადა თუ არა პოზიტიური ცვლილებები მისმა მიდგომებმა და ქცევებმა, რაც მისი შემდგომი იზოლაციის მიზანშეწონილობას ასუსტებს და ადარ ქმნის მისი თავისუფლების აღკვეთის საჭიროებას.

საქმე N2. აღმოსავლეთ საქართველოს მეორე ადგილობრივმა საბჭომ 2019 წლის 01 მაისს დააკმაყოფილა მსჯავრდებულის პირობით ვადამდე გათავისუფლების შესახებ შუამდგომლობა. მსჯავრდებული გასამართლებულია ქურდობის ორი ეპიზოდისთვის. წარსულში იყო ნასამართლევნი ყაჩაღობისთვის. სასჯელის მოხდის პერიოდში დასჯილი იყო ორჯერ. წახალისებული იყო ერთხელ. მონაწილეობდა სპორტულ და კულტურულ

აქტივობებში. სარგებლობს სპორტდარბაზით და ბიბლიოთეკით. ჩართული იყო საპილოტე პროგრამაში „მოდალადეთა ქცევის კორელაცია“. დაწესებულებაში ისწავლა და დასაქმდა პურის საცხობში, სადაც 7 თვე იმუშავა. საბჭომ გაათავისუფლა მსჯავრდებული, თუმცა, ფორმალური დასაბუთებაც კი არ დაურთო გადაწყვეტილებას.

შეფასება: სახალხო დამცველის აპარატს მიაჩნია, რომ მიუხედავად იმისა, რომ მისასალმებელია კონკრეტული პატიმრის პირობით ვადამდე გათავისუფლებისა თუ სასჯელის მოუხდელი ნაწილის უფრო მსუბუქი სახის სასჯელით შეცვლის გადაწყვეტილება, მაგრამ საბჭოს მაინც ეკისრება ვალდებულება დაასაბუთოს თავისი მოტივაცია, თუნდაც, იმ მიზნით, რომ ობიექტური დამკვირვებელი დარწმუნდეს საბჭოს საქმიანობის ობიექტურობაში, ასევე, დადებითი გადაწყვეტილებების დასაბუთება გასაგებს გახდის, მსჯავრდებულის რომელი ქცევა განაპირობებს საბჭოს დადებით დამოკიდებულებას, რაც შესაძლო წამახალისებელი და მისაბამი გახდეს სხვა პატიმრებისთვის.

საქმე N3. დასავლეთ საქართველოს ადგილობრივმა საბჭომ 2019 წლის 06 მაისს პირობით ვადამდე გაათავისუფლა მსჯავრდებული, რომელსაც ჩადენილი ჰქონდა ნარკოტიკული დანაშაული და სასჯელის მოხდის პერიოდში დამატებით ახალი დანაშაული, რაც გამოიხატა აკრძალული ბასრი ნაწიბურების მქონე საგნით სარგებლობაში. მსჯავრდებულს დაკისრებული ჰქონდა სასჯელის სახით ჯარიმა, რაც მისი ინფორმაციით არ იყო გადახდილი. ფსიქოლოგიურ-სარეაბილიტაციო ან სოციალურ აქტივობებში მონაწილეობა არ მიუღია. დისციპლინური სახით დასჯილი იყო ცხრაჯერ. აქედან რვაჯერ გამოყენებული იყო სამარტოო საკანში მოთავსება. წახალისებული არ ყოფილა. დაწესებულების თანამშრომლების მიმართ თავაზიანია. მოტივირებულია ქცევის შეცვლისკენ.

შეფასება: ამრიგად, N3 საქმეშიც N2 საქმის მსგავსად იყო მიღებული დადებითი გადაწყვეტილება, თუმცა, დასავლეთ საქართველოს ადგილობრივმა საბჭომ აღმოსავლეთ საქართველოს ადგილობრივი საბჭოს მსგავსად ფორმალურადაც კი არ დაასაბუთა დადებითი გადაწყვეტილების მოტივაცია. და მიუხედავად იმისა, რომ პირს ჰქონდა განაჩენთა ერთობლიობა და სასჯელის მოხდის პერიოდში, დაწესებულების რეჟიმისა და წესრიგის დარღვევის გამო, დასჯილი იყო დისციპლინური წესით ცხრაჯერ და აქედან რვაჯერ გამოყენებული იყო ყველაზე მკაცრი დისციპლინური სახდელი - სამარტოო საკანში მოთავსება, ამასთან არც ერთხელ არ ყოფილა წახალისებული - იგი მაინც გაათავისუფლეს და ამის არგუმენტაციის წარმოდგენა საბჭომ არ ჩათვალა საჭიროდ.

აქვე ხაზგასასმელია, რომ N4 საქმე განხილული იყო ზეპირი მოსმენით და ისევე, როგორც ზეპირი მოსმენით ჩატარებული განხილვებთან დაკავშირებულ ქვეთავში იყო საუბარი, შესაძლებელია, სწორედ, პატიმართან უშუალო გასაუბრებისა და პირადი შთაბეჭდილების შედეგი ყოფილიყო საბჭოს ჰუმანური დამოკიდებულება მსჯავრდებულის მიმართ.

როგორც უკვე აღინიშნა, გადაწყვეტილებათა დასაბუთებულობის პრინციპი თანაბრად სავალდებულოა როგორც შუამდგომლობის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის, ისე დაკმაყოფილების შესახებ გადაწყვეტილების მიღების შემთხვევაში. ხაზი უნდა გაესვას იმ გარემოებას, რომ გადაწყვეტილებათა მსგავსი სახის ფორმულირება წარმოშობს ბუნდოვანებისა და განჭვრეტადობის პრობლემას, ვინაიდან, მსჯავრდებულისთვის ან/და ობიექტური დამკვირვებლისთვის შეუძლებელია იმის აღქმა, თუ რა კრიტერიუმებისა და

კონკრეტული დადებითი ფაქტორების გათვალისწინებით მიიღო ადგილობრივმა საბჭომ გადაწყვეტილება. ზემოაღნიშნული გადაწყვეტილება არ შეიცავს ამგვარ კრიტიკიუმებსა და დადებით ფაქტორებს.

2. გადაწყვეტილებათა არაერთგვაროვანი ხასიათი

ადგილობრივი საბჭოების გადაწყვეტილებების შესწავლის პროცესში აგრეთვე გამოიკვეთა საბჭოების მხრიდან განსხვავებული მიდგომების ტენდენცია იდენტური მოცემულობის მქონე საქმეებში. მსგავსი მოცემულობის არსებობისას საბჭოებმა შეიძლება მიიღონ როგორც ერთმანეთისგან განსხვავებული გადაწყვეტილებები, ისე უშუალოდ კონკრეტულმა საბჭომ შეიძლება განსხვავებულად შეაფასოს მსგავსი ფაქტორები მოცემულობები და ერთ შემთხვევაში დადებითი, ხოლო მეორე შემთხვევაში უარყოფითი გადაწყვეტილება გამოიტანოს. მაგალითისთვის:

საქმე N1. სპეციალური პენიტენციური სამსახურის აღმოსავლეთ საქართველოს მესამე ადგილობრივი საბჭოს 2018 წლის 16 ოქტომბრის გადაწყვეტილების მიხედვით, „მსჯავრდებულ დ. მ.-ს, თბილისის საქალაქო სასამართლოს 2011 წლის განაჩენით, საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 19,109 მუხლის მე-2 ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტით სასჯელის ზომად განესაზღვრა თავისუფლების აღკვეთა 13 წლის ვადით, რასაც დაემატა წინა განაჩენით დანიშნული პირობითი მსჯავრი და საბოლოოდ, სასჯელის ზომად განესაზღვრა თავისუფლების აღკვეთა 14 წლის, 10 თვისა და 14 დღის ვადით... მსჯავრდებულის გადმოცემით, თავს არ ცნობს დამნაშავედ... ესწრება დაწესებულებაში გამართულ კულტურულ ღონისძიებებს... მსჯავრდებულის სასჯელის მოხდის პერიოდში წახალისებული არ ყოფილა, დასჯილია სამჯერ... მსჯავრდებულის სასჯელის მოხდის პერიოდში მართალია, დასჯილი იყო, მაგრამ მიუხედავად ამისა, ბოლო პერიოდში რაიმე სარეჟიმო მოთხოვნების დარღვევაში შემჩნეული არ ყოფილა... დაწესებულების ადმინისტრაციისა და სხვა მსჯავრდებულების მიმართ თავაზიანია... ნასამართლობის მქონე: თბილისის საქალაქო სასამართლოს 2010 წლის განაჩენით, საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 238¹ მუხლის პირველი ნაწილით, საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 273-ე მუხლით დანაშაულთა ერთობლიობით, განესაზღვრა ჯარიმა 4000 ლარის ოდენობით, რასაც დაემატა წინა განაჩენიდან სასჯელის მოუხდელი ნაწილი და საბოლოოდ, განაჩენთა ერთობლიობით განესაზღვრა ჯარიმა 4000 ლარის ოდენობით, 2 წელი და 1 თვე პირობით და გამოსაცდელ ვადად დაუდგინდა 3 წელი და 1 დღე... პატიმრობის კოდექსის 42-ე მუხლის მე-4 ნაწილის შესაბამისად, საბჭო ითვალისწინებს შუამდგომლობის განხილვისას სასჯელის მოხდის პერიოდში მსჯავრდებულის ქცევას, წარსულში დანაშაულის ჩადენის ფაქტებს, მსჯავრდებულის პიროვნებას, ოჯახურ მდგომარეობას, მის მიერ ჩადენილი დანაშაულის ხასიათს და სხვა გარემოებებს. საქმის მასალებით ირკვევა, რომ მსჯავრდებულ დ. მ.-ის ქცევა სასჯელის მოხდის დროს არის პოზიტიური. ამასთან, საქმის მასალების თანახმად, მართალია მსჯავრდებული დ. მ. სასჯელის მოხდის დროს დასჯილი იქნა სამჯერ, მაგრამ გასათვალისწინებელია ის გარემოება, რომ ბოლო საყვედური მას გამოეცხადა 2014 წელს, ხოლო მის შემდგომ რაიმე სახის სახდელი არ დაკისრებია. პირობით ვადამდე გათავისუფლებისას ერთ-ერთი მნიშვნელოვანი კრიტერიუმია

წარსულში ნასამართლობა. მართალია მსჯავრდებული დ. მ. წარსულში ნასამართლევი, მაგრამ გასათვალისწინებელია ის გარემოება, რომ იგი გასამართლებულია ნაკლებად მძიმე კატეგორიის დანაშაულებისთვის (საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 238¹ და 273-ე მუხლებით)... საქმის მასალების თანახმად, მსჯავრდებული დადებითი ავტორიტეტით სარგებლობს დაწესებულების თანამშრომლებთან და სხვა მსჯავრდებულებთან. აქტიურად მონაწილეობს სხვადასხვა სახის ღონისძიებებში... დანაშაულის ხასიათი ერთ-ერთი მნიშვნელოვანი კრიტერიუმია პირობით ვადამდე გათავისუფლებისას. თბილისის საქალაქო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა კოლეგიის 2011 წლის განაჩენით, დ. მ. ცნობილ იქნა დამნაშავედ საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 19,109-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული დანაშაულის ჩადენისათვის. მართალია, დ. მ.-ს ჩადენილი აქვს განსაკუთრებით მძიმე კატეგორიის დანაშაული, მაგრამ გასათვალისწინებელია ის გარემოება, რომ ჩადენილია დაუმთავრებელი დანაშაული, კერძოდ, დანაშაულის მცდელობა. ამასთან, აღსანიშნავია ისიც, რომ ზემოაღნიშნული დანაშაულისათვის დ. მ. სასჯელს იხდის 2010 წლიდან. საქმის მასალებიდან ირკვევა, რომ დაზარალებულს დ. მ.-ის მიმართ პრეტენზია არ გააჩნია და თანახმა იგი გათავისუფლდეს დარჩენილი სასჯელის მოხდისაგან... საბჭომ ზეპირი მოსმენით იმსჯელა „საქართველოს იუსტიციის სამინისტროს სისტემაში შემავალი სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულების - სპეციალური პენიტენციური სამსახურის ადგილობრივი საბჭოების მიერ სასჯელის მოხდისაგან პირობით ვადამდე გათავისუფლების საკითხის განხილვისა და გადაწყვეტილების მიღების წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს იუსტიციის მინისტრის 2018 წლის 7 აგვისტოს N320 ბრძანებით დამტკიცებული დებულების მე-13 მუხლით დადგენილი შეფასების კრიტერიუმებით, იხელმძღვანელა საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის მე-12 და 72-ე მუხლებით, პატიმრობის კოდექსის მე-40, 41-ე და 42-ე მუხლებითა და მიღებული ინფორმაციის საერთო ანალიზის საფუძველზე გადაწყვიტა: სპეციალური პენიტენციური სამსახურის აღმოსავლეთ საქართველოს მესამე ადგილობრივ საბჭოში შემოსული შუამდგომლობა მსჯავრდებულ დ. მ.-ის პირობით ვადამდე გათავისუფლების თაობაზე დაკმაყოფილდეს...“.

შეფასება: წარმოდგენილი მაგალითით ნათელია, რომ ამ შემთხვევაში, საბჭო, რომელიც ერთი მხრივ ყველა ფაქტორზე ამახვილებს ყურადღებას და წარმოადგენს დასაბუთებას, მეორე მხრივ, მიდგომას ცალსახად ცვლის: დანაშაულის ბუნებიდან, როგორც ეს წინა მაგალითებში წარმოჩინდა, აქცენტი პროვინულ მახასიათებლებზე გადააქვს და მიუხედავად იმისა, რომ მსჯავრდებული დაწესებულებაში ყოფნისას არაერთხელ იყო დასჯილი, მაინც თვლის მას რესოციალიზირებულად და ამდენად, მიზანშეწონილად მიიჩნევს მის პირობით ვადამდე გათავისუფლებას.

საქმე N2. მეორე მაგალითში თითქმის ანალოგიური ვითარების ფონზე განსხვავებული გადაწყვეტილება გამოაქვს დასავლეთ საქართველოს ადგილობრივ საბჭოს, კერძოდ, მისი 2018 წლის 6 ნოემბრის გადაწყვეტილების მიხედვით, „მსჯავრდებული გასამართლებულია 2013 წლის 17 დეკემბერს, ბათუმის საქალაქო სასამართლოს მიერ, საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 19,108-ე მუხლით და მიესაჯა 7 წლით თავისუფლების აღკვეთა... მსჯავრდებულის გადმოცემით, დაზარალებულს ზიანი აუნაზღაურდა, რაც დაკავშირებული იყო მკურნალობის ხარჯებთან. დაზარალებულს მის მიმართ პრეტენზია არ გააჩნია, თუმცა აღნიშნულის დამადასტურებელი დოკუმენტი ვერ წარმოადგინა... სასჯელის მოხდის პერიოდში მსჯავრდებულს სოციალურ აქტივობებში მონაწილეობა არ აქვს მიღებული...“.

დანაშაულს აღიარებს და ნანობს... სასჯელის მოხდის პერიოდში წახალისებული არ ყოფილა, ხოლო დასჯილია ორჯერ: 2013 წლის 4 ოქტომბერს, დირექტორის განკარგულებით გამოეცხადა საყვედური: 2016 წლის 23 ივნისს, დირექტორის განკარგულებით აეკრძალა ტელეფონით სარგებლობა 1 თვის ვადით. ამჟამად, მსჯავრდებული დაწესებულებაში არ არღვევს დაწესებულების დღის განრიგისა და დაწესებულების სამართლებრივი რეჟიმის მოთხოვნებს, დაწესებულების ადმინისტრაციის მოსამსახურეების მიმართ არის ნორმალურ დამოკიდებულებაში. წარსულში ნასამართლევი არ არის... საბჭომ საკითხის განხილვისას გაითვალისწინა მსჯავრდებულის ოჯახური პირობები, პიროვნული მახასიათებლები, მისი დამოკიდებულება თავისუფლების აღკვეთის დაწესებულების ადმინისტრაციასთან და ის გარემოება, რომ ნასამართლევი არ არის, თუმცა ყურადღება გაამახვილა იმ ფაქტზე, რომ ჩადენილია სიცოცხლის წინააღმდეგ მიმართული განსაკუთრებით მძიმე კატეგორიის დანაშაულის, კერძოდ, განზრახ მკვლელობის მცდელობა. მსჯავრდებულის ქცევამ გამოიწვია დისციპლინური ღონისძიების გამოყენების აუცილებლობა. ვინაიდან, სასჯელის მოხდისაგან პირობით ვადამდე გათავისუფლების მიზნებისათვის განსაკუთრებით უარყოფით როლს თამაშობს სწორედ ჩადენილი დანაშაულის სიმძიმე და დანაშაულის ხასიათი, ასევე, სასჯელის მოხდის პერიოდში დაკისრებული დისციპლინური სახდელები, საბჭომ ამ ეტაპზე მიიჩნია, რომ ამ კრიტერიუმების თანხმლები ნეგატიური მოსაზრებები ვერ გააბათილა და ვერ გადაწონა სხვა დადებითი კონტექსტის კრიტერიუმებმა...“

შეფასება: ამ შემთხვევაში პიროვნული მახასიათებლები და დანაშაულის სიმძიმე წინა შემთხვევისაგან ნაკლებად მკაცრია, კერძოდ, პირი არ არის ნასამართლევი, განსხვავებით წინა მაგალითში მოყვანილი მსჯავრდებულისა, სადაც პირი ორი დანაშაულისთვის იყო ნასამართლევი და ამ შემთხვევაში მკვლელობის მცდელობა არ არის დამამძიმებელ გარემოებებში ჩადენილი. მიუხედავად ამ მონაცემებისა, საბჭომ არ დააკმაყოფილა შუამდგომლობა.

განხილული გადაწყვეტილებების ურთიერთშედარება და ანალიზი ცხადყოფს, რომ ადგილობრივი საბჭოების გადაწყვეტილებები, რიგ შემთხვევებში განსხვავებულია მსგავსი მოცემულობის მქონე საქმეებში. ობიექტური დამკვირვებლისთვის განხილულ გადაწყვეტილებათა შინაარსის მიხედვით, აუხსნელი რჩება, თუ რა კონკრეტულ ფაქტორებზე დაყრდნობით მივიდა ადგილობრივი საბჭო ერთ შემთხვევაში იმ დასკვნამდე, რომ უარყოფითი კონტექსტის მქონე ფაქტორები, (ჩადენილი დანაშაულის სიმძიმე და ხასიათი, მსჯავრდებულის მიერ დაწესებულების დებულების დარღვევა, წარსულში დანაშაულის ჩადენის ფაქტები და სხვა) მოცემულ შემთხვევაში გადაწონა დადებითი კონტექსტის ფაქტორებმა, ხოლო სხვა - მსგავსი მოცემულობის მქონე საქმეებში რატომ ვერ გადაწონა უარყოფითი კონტექსტის მქონე ფაქტორები მსჯავრდებულის მხარეს არსებულმა სხვა დადებითი მნიშვნელობის მქონე გარემოებებმა. აღნიშნული ბუნდოვანება ცხადყოფს, რომ მოცემული გადაწყვეტილებები არ შეიცავს საკმარის მსჯელობას კონკრეტულ შემთხვევაში მიღებული გადაწყვეტილების დასაბუთების ნაწილში ან/და არ არსებობს ერთიანი სტანდარტი, რომლითაც უნდა ხელმძღვანელობდნენ ადგილობრივი საბჭოები იდენტური მოცემულობის მქონე შუამდგომლობების განხილვისას. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ განხილული ხარვეზი იკვეთება, ასევე უფრო მსუბუქი კატეგორიის დანაშაულებისთვის მსჯავრდებული პირების შუამდგომლობათა განხილვის პროცესშიც.

3. დანაშაულის ბუნებისა და სასჯელის დარჩენილი მცირე ვადის გავლენა პროცესზე

შესწავლილი გადაწყვეტილებების მიხედვით, ადგილობრივი საბჭოების მიერ, ძირითადად, კმაყოფილდება საკუთრების წინააღმდეგ მიმართული და ნარკოტიკული დანაშაულისთვის მსჯავრდებულ პირთა შუამდგომლობები. იშვიათად გვხვდება სიცოცხლის წინააღმდეგ და სხვა კატეგორიის დანაშაულისთვის მსჯავრდებულ პირთა შუამდგომლობის დაკმაყოფილების შემთხვევები. ასევე, იკვეთება ტენდენცია, რომ საბჭო დადებითად წყვეტს ისეთ შუამდგომლობებს, რომელიც ეხება ისეთ პატიმრებს, რომელთაც მოსახდელი სასჯელის მცირე ვადა აქვთ დარჩენილი.

საქმე N1. ერთ-ერთ შემთხვევაში, აღმოსავლეთ საქართველოს მესამე ადგილობრივმა საბჭომ, 2018 წლის 09 ოქტომბრის გადაწყვეტილებით, მსჯავრდებული გაათავისუფლა პირობით ვადამდე, რომელიც სასჯელს იხდიდა ქურდობისთვის. წარსულში ასევე ქურდობისთვის იყო ნასამართლევი. სასჯელის მოხდის პერიოდში დასჯილი იყო ორჯერ დისციპლინური წესით. წახალისებული არ ყოფილა. დაწესებულებაში ჩატარებულ სოციალურ აქტივობებში მონაწილეობა არ მიუღია.

შეფასება: მიუხედავად წარმოდგენილი ნეგატიური ასპექტებისა, საბჭომ მიიღო მსჯავრდებულის გათავისუფლების გადაწყვეტილება. სამწუხაროდ, დასაბუთება საბჭოს არ აქვს წარმოდგენილი და სრულებით გაუგებარია რა კრიტერიუმით ისარგებლა. შეიძლება გაჩნდეს ვარაუდი, რომ დანაშაულის ბუნება და მოსახდელი სასჯელის დარჩენილი მცირე ვადა (სასჯელის ვადის გასვლამდე 2 თვით ადრე მოხდა გათავისუფლება) იყო გამაძვირებელი ელემენტები საბჭოს დადებითი გადაწყვეტილებისთვის. ვარაუდის მიღმა კი ფაქტია, რომ ნეგატიური მახასიათებლების ფონზე, საბჭომ 2 თვით ადრე გაათავისუფლა მსჯავრდებული.

საქმე N2. აღმოსავლეთ საქართველოს მესამე ადგილობრივმა საბჭომ, 2018 წლის 09 ოქტომბრის გადაწყვეტილებით, გაათავისუფლა პირობით ვადამდე მსჯავრდებული, რომელიც სასჯელს იხდიდა ნარკოტიკული საშუალების უკანონო შეძენა-შენახვისთვის. მსჯავრდებულს სასჯელის მოხდის პერიოდში სოციალურ აქტივობებში მონაწილეობა არ მიუღია. არ ყოფილა დისციპლინური წესით დასჯილი, თუმცა, არც წახალისებული. განსაკუთრებით ყურადსაღებია, რომ პატიმარი წარსულში 3-ჯერ იყო ნასამართლევი. აქედან ორჯერ იყო ნარკოტიკული დანაშაულისთვის, ხოლო ერთხელ ქურდობისთვის. ნიშანდობლივია, რომ მსჯავრდებული ერთხელ უკვე იყო გათავისუფლებული პირობით ვადამდე, რის შემდეგაც კიდევ ორჯერ ჩაიდინა დანაშაული.

შეფასება: მიუხედავად არაერთი ნასამართლობისა და წარმოდგენილი ნეგატიური ასპექტებისა, ამ შემთხვევაშიც საბჭომ მიიღო მსჯავრდებულის გათავისუფლების გადაწყვეტილება (სასჯელის ვადის გასვლამდე 5 თვით ადრე მოხდა გათავისუფლება). სამწუხაროდ, დასაბუთება საბჭოს არც ამ გადაწყვეტილებაში აქვს წარმოდგენილი და ისევ არ ხდება იმის იდენტიფიცირება რა კრიტერიუმს დაეყრდნო გადაწყვეტილება არსებითად.

4. დისციპლინური გადაცდომის გავლენა გადაწყვეტილებაზე

საქმეთა ანალიზმა გამოავლინა, რომ მსჯავრდებულის დისციპლინური დარღვევები⁶⁵ განსაკუთრებულ ნეგატიურ გავლენას ახდენს პროცესზე. უარყოფითი გადაწყვეტილების მოტივაცია, დანაშაულის ხასიათის პარალელურად, არსებითად ეყრდნობა დისციპლინური გადაცდომების ფაქტებს. თუკი პატიმარს უფიქსირდება დისციპლინური წესით დასჯა, ამას საბჭო ყოველთვის იღებს მხედველობაში და არასოდეს მსჯელობს იმაზე, ეს დისციპლინური გადაცდომა ბოლო პერიოდში ჩადენილია თუ გაცილებით ადრე, წარსულში.

მიუხედავად იმისა, რომ მსჯავრდებულს შეიძლება ჰქონდეს ჩადენილი დისციპლინური გადაცდომა, მნიშვნელოვანია როდის ჩადინა მან ეს ქმედება, რა სიმძიმის დისციპლინური გადაცდომა იყო ჩადენილი, დისციპლინური გადაცდომის შემდეგ შეიცვალა თუ არა მისი ქცევა არსებითად, ჩაერთო თუ არა იგი სოციალურ და კულტურულ აქტივობებში, შეცვალა თუ არა დაწესებულების რეჟიმისა და წესრიგის მიმართ დამოკიდებულება, დაიმსახურა თუ არა წახალისება და სხვა.

დისციპლინურ სანქციაზე ფორმალური მითითება არ შეიძლება ჩაითვალოს მსჯავრდებულის პიროვნების სრულფასოვან გამოკვლევად.

წარმოგიდგინთ რამდენიმე შემთხვევას:

საქმე N1. სახალხო დამცველის აპარატმა მსჯავრდებულის მომართვის საფუძველზე, შეისწავლა დ.მ.-ს საქმე, რომელსაც აღმოსავლეთ საქართველოს მესამე ადგილობრივი საბჭოს 2018 წლის 30 მარტის N03/18-0506 გადაწყვეტილებით უარი ეთქვა პირობით ვადამდე გათავისუფლებაზე. დ.მ. სასჯელს იხდოდა 2010 წლის 04 ნოემბრიდან. სასჯელის ვადა გასდიოდა 2020 წლის 04 აგვისტოს. სასჯელის მოხდის პერიოდში დასჯილი იყო 3-ჯერ. ბოლოს 2014 წელს. საბჭომ უარი უთხრა გათავისუფლებაზე 2018 წელს. საბჭომ დანაშაულის ბუნებასთან ერთად განსაკუთრებული ყურადღება მიაქცია იმ ფაქტს, რომ მსჯავრდებული სასჯელის მოხდის პერიოდში დისციპლინური წესით დასჯილი იყო 3-ჯერ.

შეფასება: ამრიგად, საბჭომ მხედველობაში მიიღო მსჯავრდებულის დისციპლინური გადაცდომის ფაქტები. თუმცა, არ მიაქცია ყურადღება არც ჩადენილი დისციპლინური დარღვევის ხასიათს, ვითარებას და არც იმას, რომ ბოლო დისციპლინური გადაცდომიდან გასული იყო 3.5 წელი.

საქმე N2. 2018 წლის 30 აპრილს აღმოსავლეთ საქართველოს პირველმა ადგილობრივმა საბჭომ უარი თქვა ერთ-ერთი მსჯავრდებულის პირობით ვადამდე გათავისუფლებაზე და დანაშაულის ხასიათთან ერთად განსაკუთრებული მნიშვნელობა მიანიჭა დისციპლინური დასჯის ფაქტს. მსჯავრდებული სასჯელს იხდოდა 2009 წლის 13 იანვრიდან. სასჯელი სრულდებოდა 2019 წლის 28 თებერვალს. საბჭომ უარყოფითი გადაწყვეტილება მიიღო 2018 წელს. მიუთითა დისციპლინურ გადაცდომაზე. გადაცდომა კი ჩადენილი იყო 2011 წელს.

⁶⁵ თავის მხრივ, დისციპლინური სამართალწარმოების ხარვეზიანი პრაქტიკა გაანალიზებული და შეფასებულია საქართველოს სახალხო დამცველის 2019 წლის სპეციალურ ანგარიშში „პატიმრების მიმართ დისციპლინური სამართალწარმოების პრაქტიკა საქართველოში“. იხ. <<http://www.ombudsman.ge/res/docs/2019110509560299657.pdf>>

გამოცხადებული ჰქონდა „საყვედური“. ამასთან, მსჯავრდებული წახალისებული იყო 2017 წელს და გამოცხადებული ჰქონდა „მადლობა“.

შეფასება: მოცემული საქმე აჩვენებს, რომ საბჭომ უარყოფითი გადაწყვეტილების არგუმენტაცია მნიშვნელოვნად დააყრდნო პატიმრის მიერ ჩადენილი დისციპლინური გადაცდომის ფაქტს. მაშინ, როდესაც დისციპლინური გადაცდომა ჩადენილი იყო პირობით ვადამდე გათავისუფლებამდე დაახლოებით 6.5 წლით ადრე. ამასთან, როგორც ჩანს, დარღვევა არ იყო მძიმე, ვინაიდან პატიმრის მიმართ გამოყენებული იყო მხოლოდ და მხოლოდ „საყვედური“ და არა სამართლო საკანში მოთავსება ან სხვა მკაცრი სახდელი. თუმცა, საბჭოს არც ამ გადაცდომის ხასიათი გაუთვალისწინებია. ამასთან, ყურადღება არ მიექცა პატიმრის შემდგომ დადებით ქცევას და უფრო მეტიც, იმ ფაქტს, რომ მსჯავრდებულის უახლესი პერიოდის (2017 წ.) ქცევებმა დაიმსახურეს პენიტენციური დაწესებულების ხელმძღვანელობისგან წახალისება და გამოცხადდა „მადლობა“.

ამასთან კიდევ უფრო გაუგებარი ხდება დისციპლინურ გადაცდომებზე როგორც უარყოფითი გადაწყვეტილების მიღების საფუძველზე მითითება მაშინ, როდესაც არაერთი შემთხვევა არსებობს იმისა, რომ მსგავსი გადაცდომის არსებობის მიუხედავად საბჭომ მსჯავრდებულები გაათავისუფლა. მაგალითად:

საქმე N3. 2018 წლის 16 ოქტომბერს აღმოსავლეთ საქართველოს მესამე ადგილობრივმა საბჭომ დააკმაყოფილა დამამძიმებელ გარემოებებში განზრახ მკვლელობის მცდელობისთვის მსჯავრდებული პირი, რომელიც სასჯელის მოხდის პერიოდში არც ერთხელ ყოფილა წახალისებული, ხოლო დისციპლინური სახით დასჯილი იყო 3-ჯერ.

სამწუხაროდ, თავად დისციპლინური სამართალწარმოების პრაქტიკაც მნიშვნელოვანი ხარვეზებით ხასიათდება. პატიმრების დისციპლინური დასჯა არ ეფუძნება ნეიტრალურ მტკიცებულებებს, არ საბუთდება გამოყენებული სანქციის პროპორციულობა, არ ითვალისწინებენ პატიმრის შემამსუბუქებელ და დამამძიმებელ გარემოებებს, პატიმარს არ ეძლევა საკუთარი პოზიციისა და მტკიცებულებების წარმოდგენის შესაძლებლობა. სახალხო დამცველის აპარატმა შეისწავლა საქართველოს პენიტენციურ სისტემაში პატიმრების მიმართ დისციპლინური სამართალწარმოების პრაქტიკა, მარეგულირებელი ნორმატიული ბაზა და სპეციალურ ანგარიშში წარმოადგინა გამოვლენილი პრაქტიკული და საკანონმდებლო ხარვეზები.⁶⁶

5. მსჯავრდებულთა პროფილის ანალიზი

ადგილობრივი საბჭოების გადაწყვეტილებებში წარმოდგენილი ინფორმაცია, რომელიც ეფუძნება პენიტენციური დაწესებულების მიერ წარმოდგენილ დახასიათებებს, მსჯავრდებულთა შესახებ ძირითადად ამომწურავია და ამ მიმართულებით არ გამოკვეთილა არსებითი ხარვეზები. გადაწყვეტილებებში, მსჯავრდებულის დემოგრაფიული მონაცემების, ჩადენილი დანაშაულისა და სხვა პირადი მონაცემების გარდა, წარმოდგენილია ინფორმაცია მისი ოჯახური მდგომარეობისა და ოჯახის წევრების მიმართ ამჟამინდელი

⁶⁶ იხ. <<http://www.ombudsman.ge/res/docs/2019110509560299657.pdf>>

დამოკიდებულების, სამომავლო მიზნების, რისკ-ფაქტორებისა და დამცავი ფაქტორების, ჩადენილი დანაშაულის მიმართ დამოკიდებულების, სასჯელის მოხდის პერიოდში დისციპლინური სახდელის გამოყენების/წახალისების და ნასამართლობის/წარსულში დანაშაულის ჩადენის შესახებ საკმარისად დეტალური ინფორმაცია. წარმოდგენილი ინფორმაცია იძლევა მსჯავრდებულის პიროვნების შეფასების შესაძლებლობას.

ზემოაღნიშნულის მიუხედავად, უნდა აღინიშნოს, რომ ამ მიმართულებით გამოვლინდა განსხვავებული მიდგომები ადგილობრივი საბჭოების მიხედვით. მაგალითისთვის, ქალ მსჯავრდებულთა და არასრულწლოვანთა საქმეების განმხილველი, აგრეთვე, ნაწილობრივ, აღმოსავლეთ საქართველოს მეორე ადგილობრივი საბჭოს გადაწყვეტილებებში წარმოდგენილია მსჯავრდებულის ოჯახისა და სოციალური გარემოს რისკებისა და საჭიროებების შესახებ ვრცელი ინფორმაცია, რასაც თან ერთვის სოციალური მუშაკის შესაბამისი დასკვნა. დასკვნაში წარმოდგენილია ოჯახის სოციალური გარემოს მზაობის შესახებ მსჯავრდებულის შესაძლო დაბრუნების მიმართ, ოჯახის წევრთა დამოკიდებულების შესახებ მსჯავრდებულის მიერ ჩადენილი დანაშაულის მიმართ, მსჯავრდებულზე დამოკიდებული პირების საჭიროებების და გათავისუფლების შემდეგ მსჯავრდებულის სავარაუდო შემოსავლის წყაროს შესახებ დეტალური ინფორმაცია. სხვა ადგილობრივი საბჭოების გადაწყვეტილებები არ შეიცავს ანალოგიურ სრულყოფილ ინფორმაციას ოჯახისა და იმ სოციალური გარემოს შესახებ, რომელშიც უნდა დაბრუნდეს მსჯავრდებული შესაძლო გათავისუფლების შემთხვევაში.

სამწუხაროა, რომ დღეის მდგომარეობით, თავად საკანონმდებლო ჩარჩო ტოვებს მსგავსი არაერთგაროვანი პრაქტიკის განვითარებისთვის გარკვეულ სივრცეს, რომელზეც საუბარი საკანონმდებლო ხარვეზების თავში იქნება დეტალურად. თუმცა, ეს მაინც არ გამოირიცხავს იმის შესაძლებლობას, რომ დღესაც საბჭოებმა სრულყოფილად ასახონ და შემდეგ იმსჯელონ იმ ინფორმაციაზე, რაც მათ მიეწოდათ მსჯავრდებულის პირადი პროფილის შესახებ.

6. არსებითი ხასიათის უზუსტობები

ადგილობრივი საბჭოების მიერ მიღებულ გადაწყვეტილებებში გამოვლინდა არსებითი ხასიათის უზუსტობები, რაც გამოიხატა ადგილობრივი საბჭოების მიერ სასჯელის მოხდისაგან პირობით ვადამდე გათავისუფლების თაობაზე შუამდგომლობის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის შესახებ გადაწყვეტილების დასაბუთებისას უარყოფითი მნიშვნელობის მქონე ისეთი ფაქტორების მითითებაში, რომლებიც მოცემულ გადაწყვეტილებებში ასახული მსჯავრდებულის პირადი მონაცემების მიხედვით არ დასტურდება. აღნიშნული ხარვეზი მიუთითებს ზედაპირულობაზე, რომელიც თან ახლავს შუამდგომლობების განხილვის პროცესს და ცალკეულ შემთხვევებში, როგორც ქვემოთაც დავინახავთ, შესაძლოა არსებითად დამაზიანებელი ეფექტი იქონიოს მსჯავრდებულის მიმართ.

საქმე N1. ერთ საქმეში სპეციალური პენიტენციური სამსახურის აღმოსავლეთ საქართველოს მესამე ადგილობრივმა საბჭომ 2018 წლის 9 ოქტომბერს, ზეპირი მოსმენის გარეშე განიხილა შუამდგომლობა მსჯავრდებულის სასჯელის მოხდისაგან პირობით ვადამდე გათავისუფლების შესახებ. აღნიშნულ გადაწყვეტილებაში აღწერილობითი ნაწილი მსჯავრდებულის მონაცემების შესახებ ეწინააღმდეგება გადაწყვეტილების სამოტივაციო ნაწილს, სადაც საბჭო მსჯელობს, თუ რამ განაპირობა შუამდგომლობის დაკმაყოფილებაზე უარის თქმა და რაც ყველაზე მეტად საყურადღებოა და ზემოთ ასევე აღინიშნა, არის ის, რომ ფაქტობრივი გარემოებების შეცდომა მსჯავრდებულის საუარესოდაა დაშვებული: აღნიშნული ხარვეზიანი ფაქტობრივი გარემოება მითითებულია უარყოფითი გადაწყვეტილების მიღების ერთ-ერთ განმაპირობებელ გარემოებად.

გადაწყვეტილებაში მსჯავრდებულის სხვა პირად მონაცემებთან ერთად ვკითხულობთ, რომ სასჯელის მოხდის პერიოდში იგი წახალისებულია ერთხელ: დირექტორის განკარგულებით მიეცა დამატებითი ხანმოკლე პაემანი. სარეჟიმო კორპუსზე ყოფნის დროს რაიმე დარღვევაში შემჩნეული არ ყოფილა. დაწესებულების ადმინისტრაციისა და სხვა მსჯავრდებულთა მიმართ თავაზიანია და სხვა. **მიუხედავად იმისა, რომ მსჯავრდებულის მიმართ დისციპლინური სახდელის გამოყენების შესახებ ინფორმაცია არ მოიპოვება, საბჭომ გადაწყვეტილების დასაბუთებისას მიუთითა, რომ „საბჭომ გაითვალისწინა მსჯავრდებულის დამოკიდებულება თავისუფლების აღკვეთის ადმინისტრაციასთან და სხვა პიროვნული მახასიათებლები, ოჯახური პირობები, ის გარემოება, რომ მსჯავრდებული ნასამართლობის არმქონეა, წახალისებულია ერთხელ, თუმცა საბჭომ ყურადღება გაამახვილა იმ გარემოებაზე, რომ მის მიერ ჩადენილია სამეწარმეო ან სხვა ეკონომიკური საქმიანობის წინააღმდეგ მიმართული დანაშაული, რაც გამოიხატა განსაკუთრებით დიდი ოდენობით ყალბი აქციზური მარკის დამზადებასა და გასაღებაში. საბჭომ, ასევე ყურადღება გაამახვილა იმ გარემოებებზე, რომ მსჯავრდებულს სასჯელის მოხდის პერიოდში სოციალურ აქტივობებში მონაწილეობა არ მიუღია, დასჯილია დისციპლინური წესით. ვინაიდან, სასჯელის მოხდისაგან პირობით ვადამდე გათავისუფლების მიზნებისათვის განსაკუთრებით უარყოფით როლს თამაშობს ჩადენილი დანაშაულის სიმძიმე და ხასიათი, ის გარემოება, რომ მსჯავრდებულს სასჯელის მოხდის პერიოდში სოციალურ აქტივობებში მონაწილეობა არ მიუღია, დასჯილია, საბჭომ ამ ეტაპზე მიიჩნია, რომ ამ კრიტერიუმის თანმხლები ნეგატიური მოსაზრებები ვერ გააბათილა და ვერ გადაწონა სხვა დადებითი კონტექსტის კრიტერიუმებმა.“**

საქმე N2. ანალოგიური ხარვეზი იკვეთება სპეციალური პენიტენციური სამსახურის აღმოსავლეთ საქართველოს მესამე ადგილობრივი საბჭოს 2018 წლის 9 ოქტომბრის გადაწყვეტილებაში, სადაც მითითებულია, რომ სასჯელის მოხდის პერიოდში მსჯავრდებულის მიმართ **დისციპლინური სახდელი გამოყენებული არ ყოფილა.** თუმცა საბჭო, შუამდგომლობის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის დასაბუთებისას მიუთითებს, რომ „საბჭომ ასევე ყურადღება გაამახვილა იმ გარემოებაზე, რომ მსჯავრდებული სასჯელის მოხდის პერიოდში **დასჯილია დისციპლინური წესით...“**

საქმე N3. შუამდგომლობის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის შესახებ გადაწყვეტილების დასაბუთებისას ნასამართლობის მითითებით მნიშვნელოვანი ხარვეზი გამოიკვეთა სპეციალური პენიტენციური სამსახურის აღმოსავლეთ საქართველოს მესამე ადგილობრივი საბჭოს კიდევ ერთ გადაწყვეტილებაში, სადაც შესაბამის გრაფაში - **„წარსულში დანაშაულის**

ჩადენის ფაქტები, ნასამართლობა (საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის მუხლი, გათავისუფლების თარიღი და საფუძველი) (ასეთი ინფორმაციის არსებობისას)“; მითითებულია - „არმქონე“: თუმცა, ხსენებული გადაწყვეტილების დასაბუთების ნაწილში ვკითხულობთ, რომ სხვა გარემოებებთან ერთად, „საბჭომ ყურადღება გაამახვილა იმ გარემოებაზე, რომ მსჯავრდებული ნასამართლევა...“.

საქმე N4. არსებითი ხასიათის ხარვეზი გამოიკვეთა აგრეთვე სპეციალური პენიტენციური სამსახურის აღმოსავლეთ საქართველოს პირველი ადგილობრივი საბჭოს 2018 წლის 22 ნოემბრის გადაწყვეტილებაში, რომლითაც პენიტენციური დეპარტამენტის N9 დაწესებულებაში განთავსებულ მსჯავრდებულ გ. ო.-ს უარი ეთქვა მოსახდელად დარჩენილი სასჯელის შინა პატიმრობით შეცვლის შესახებ შუამდგომლობის დაკმაყოფილებაზე. საკითხის განხილვისას წარმომებული მასალების მიხედვით⁶⁷, 2018 წლის 18 მაისის მსჯავრდებულთა საშიშროების რისკების შეფასების გუნდის სხდომის ოქმში მითითებულია, რომ მსჯავრდებულ გ. ო.-ს სხვა პენიტენციურ დაწესებულებაში განთავსება, სადაც სასჯელს იხდის მსჯავრდებულთა დიდი რაოდენობა, გ. ო.-ს უსაფრთხოებისთვის არ არის მიზანშეწონილი და დაუდგინა საშიშროების მომეტებული რისკი, რის საფუძველზეც, საქართველოს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სამინისტროს პენიტენციური დეპარტამენტის დირექტორის ბრძანებით, სასჯელის მოხდა განესაზღვრა N9 დახურული ტიპის თავისუფლების აღკვეთის დაწესებულებაში. ადგილობრივმა საბჭომ, უარყოფითი გადაწყვეტილების დასაბუთებისას, სხვა გარემოებებთან ერთად მიუთითა, რომ „საბჭომ მხედველობაში მიიღო ის ფაქტორიც, რომ საშიშროების რისკის შეფასების გუნდის მიერ, მსჯავრდებულს განესაზღვრა მომეტებული საშიშროების რისკი.“ თუმცა, საბჭოს არ უმსჯელია იმ გარემოებებზე, რის საფუძველზეც განესაზღვრა გ. ო.-ს საშიშროების მომეტებული რისკი და აღნიშნული მიიჩნია უარყოფითი მნიშვნელობის მქონე ფაქტორად.

შეფასება: N4 საქმეში აღნიშნული ხარვეზი უფრო მეტად იმაში გამოიხატა, რომ სრულყოფილად არ იქნა შესწავლილი საბჭოს მიერ მსჯავრდებულის შესახებ არსებული მნიშვნელოვანი გარემოებები, რადგანაც საბჭომ რისკის შეფასების არგუმენტაციას, რაც ამ შემთხვევაში მსჯავრდებულის საშიშროებას რეალურად გამორიცხავდა, არ მიაქცია ყურადღება მსჯელობის დროს, რომლის გაანალიზებაც წარმოდგენილი დოკუმენტის სრულყოფილი შესწავლის შედეგად იქნებოდა შესაძლებელი.

საქმე N5. ცალკე უნდა აღინიშნოს საქმე, სადაც სპეციალური პენიტენციური სამსახურის დასავლეთ საქართველოს ადგილობრივმა საბჭომ შუამდგომლობის დაკმაყოფილებაზე უარის თქმა, სხვა ფაქტორებთან ერთად დაასაბუთა ისეთი ქმედებისათვის გამოწვეული ნასამართლობით, რომელიც შუამდგომლობის განხილვის მომენტისთვის დეკრემინალიზებული იყო და არ წარმოადგენდა დანაშაულს. კერძოდ, აღნიშნული გადაწყვეტილების მიხედვით, მსჯავრდებული „გასამართლებულია საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 120 მუხლით, 238¹ მუხლის პირველი და მეორე ნაწილებით, 273¹ მუხლის პირველი ნაწილით და შთანთქმით მიესაჯა 1 წლით და 6 თვით თავისუფლების აღკვეთა. საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 67-ე მუხლის თანახმად, გაუქმდა მის მიმართ თბილისის საქალაქო სასამართლოს 2017 წლის 18 მაისის განაჩენით, საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის

⁶⁷ მასალები აპარატში წარმოდგენილ იქნა სპეციალური პენიტენციური სამსახურის იურიდიული დეპარტამენტის 2018 წლის 17 დეკემბრის MOC 2 18 01105878 წერილით.

180-ე მუხლის მეორე ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტით, 273-ე მუხლებით დანიშნული პირობით სასჯელი 4 წლით თავისუფლების აღკვეთა და ჯარიმა 1000 ლარი (რასაც თავის მხრივ დამატებული ჰქონდა 2015 წლის 11 დეკემბრის განაჩენით, საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 273-ე მუხლით დანიშნული სასჯელი)...”.

შეფასება: წარმოდგენილ გადაწყვეტილებაში არსებული საქმის ფაბულის მიხედვით, მსჯავრდებულს, რომელიც წარსულში ნასამართლევ იყო ნარკოტიკული საშუალების უკანონო მოხმარებისათვის, 2016 წლის 23 ოქტომბერს ჩატარებული ნარკოლოგიური შემოწმებით დაუდგინდა ნარკოტიკული საშუალება „ტეტრაჰიდროკანაბინოლის“ (მარიხუანას) ექიმის დანიშნულების გარეშე უკანონოდ მოხმარება. საბჭომ არ დააკმაყოფილა შუამდგომლობა მსჯავრდებულის სასჯელის მოხდისაგან პირობით ვადამდე გათავისუფლების შესახებ და უარყოფითი მნიშვნელობის მქონე სხვა გარემოებებთან ერთად ყურადღება გაამახვილა იმ ფაქტზე, რომ „პირობითი მსჯავრის მოქმედების პერიოდში ჩადენილია ... ნარკოტიკული საშუალების ექიმის დანიშნულების გარეშე უკანონოდ მოხმარება“.

საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2017 წლის 30 ნოემბრის 1/13/732 გადაწყვეტილებით არაკონსტიტუციურად იქნა ცნობილი საქართველოს კონსტიტუციის მე-16 მუხლთან მიმართებით საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 273-ე მუხლის სიტყვების „ექიმის დანიშნულების გარეშე უკანონოდ მოხმარება“ ის ნორმატიული შინაარსი, რომელიც ითვალისწინებს სისხლისსამართლებრივ პასუხისმგებლობას „ნარკოტიკული საშუალებების, ფსიქოტროპული ნივთიერებების, პრეკურსორებისა და ნარკოლოგიური დახმარების შესახებ“ საქართველოს კანონის დანართი №2-ის 92-ე პარიზონტალურ გრაფაში განსაზღვრული ნარკოტიკული საშუალება მარიხუანის მოხმარებისთვის. არაკონსტიტუციური ნორმა ძალადაკარგულად იქნა ცნობილი ამ გადაწყვეტილების საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს ვებგვერდზე გამოქვეყნების მომენტიდან. ადგილობრივი საბჭოს ხსენებული გადაწყვეტილება მიღებული აქვს 2018 წლის 13 ნოემბერს. ცხადია, რომ მოცემული დროისთვის ნარკოტიკული საშუალება მარიხუანას ექიმის დანიშნულების გარეშე მოხმარება აღარ წარმოადგენდა დანაშაულს და ადგილობრივ საბჭოს, მოცემული ქმედების ჩადენაზე მითითებით არ უნდა გაემყარებინა შუამდგომლობის დაკმაყოფილებაზე უარის თქმა. საბჭოს სწორედ იმიტომ აქვს იმის შეფასების ვალდებულება, თუ რა გარემოებებში იქნა ჩადენილი დანაშაული, რომ თუ არსებობს რაიმე დამატებითი გარემოება, რაც ამძიმებს ან ამსუბუქებს პირობით ვადამდე გათავისუფლების პროცესში, მსჯავრდებულის მდგომარეობას, ეს საბჭომ მხედველობაში უნდა მიიღოს.

საქმე №6. საქართველოს სახალხო დამცველის აპარატმა, ინდივიდუალური მომართვის საფუძველზე, შეისწავლა კიდევ ერთი მსჯავრდებულის დ.მ.-ს საქმე, რომლის პირობით ვადამდე გათავისუფლების შუამდგომლობა აღმოსავლეთ საქართველოს მესამე ადგილობრივმა საბჭომ 2018 წლის 30 მარტის N03/18-0506 გადაწყვეტილებით არ დააკმაყოფილა. საბჭოს მოცემული გადაწყვეტილებაც ხასიათდებოდა როგორც ტექნიკური, ისე მნიშვნელოვანი შინაარსობრივი ხარვეზებით: 1. განაჩენის მიხედვით, მსჯავრდებულის მიმართ სასჯელის სახით ჯარიმა გამოყენებული არ ყოფილა. საბჭოს გადაწყვეტილებაში კი მითითებულია, რომ მსჯავრდებულს დაკისრებული ჰქონდა ჯარიმა (თავისუფლების აღკვეთასთან ერთად); 2. დ.მ.-ს მიმართ განაჩენი გამოტანილია 2011 წლის 13 ივლისს, მაშინ, როდესაც ადგილობრივი საბჭოს გადაწყვეტილებაში მითითებულია 2011 წლის 13 ივნისი; 3. განაჩენის თანახმად - დ.მ. მიეპარა მძინარე გ.გ.-ს, ჯოხით მრავლობითი დაზიანებები მიაყენა გ.გ.-ს თავისა და მკლავის არეში, ხოლო, მას შემდეგ, რაც ამ უკანასკნელმა სცადა, გაქცეულიყო, დაედევნა მას დანის

გამოყენებით, მრავლობითი დაზიანებები მიაყენა მარცხენა დუნდულისა და წელის არეში. გ.გ. თავდაცვის მიზნით, გაიქცა მამის - ი.გ.-ს ოთახისაკენ. ი.გ.-მ სცადა, შვილი დაეცვა დ.მ.-სგან, რა დროსაც გაუფრთხილებლობით მოხვდა ი.გ.-სთვის მოქნეული დანა, რითაც მიაღწა ჯანმრთელობის მსუბუქი ხარისხის დაზიანება. საბჭოს გადაწყვეტილებაში კი მითითებულია, რომ დ.მ. მიეპარა მძინარე გ.გ.-ს, ჯოხით მრავლობითი დაზიანებები მიაყენა თავისა და მკლავის არეში, რამდენჯერმე ჩაარტყა თანნაქონი დანა.

ზემოხსენებული ხარვეზები ცხადყოფს, რომ ადგილობრივი საბჭოების მიერ რიგ შემთხვევებში, არ ხდება მსჯავრდებულის პირადი საქმის მასალების საფუძვლიანი შესწავლა/შეფასება. ხაზი უნდა გაესვას იმ გარემოებასაც, რომ განხილულ საქმეებში, ადგილობრივი საბჭოების მიერ დაშვებული შეცდომები არსებითი ხასიათისაა, რადგან საბჭოს მიერ უარყოფით ფაქტორებზე (დისციპლინური სახდელი, ნასამართლობა, საშიშროების რისკის სახე, დეკრიმინალიზებულ ქმედებაზე უარყოფით კონტექსტში ყურადღების გამახვილება) დაყრდნობით შუამდგომლობის დაკმაყოფილებაზე უარის თქმით გაუარესდა მსჯავრდებულის სამართლებრივი მდგომარეობა. მსგავსი ხარვეზების დაშვება, ბუნებრივია გამოიწვევს მსჯავრდებულის სამართლიან უკმაყოფილებას და წარმოშობს სამართლებრივი დავის საფუძველს ზემდგომ ინსტანციაში.

7. ზეპირი მოსმენის დანიშვნის პრაქტიკა

საქმეთა შესწავლის შედეგებმა ცხადყო, რომ საბჭო არ ასაბუთებს თავის დისკრეციული უფლებამოსილების გამოყენების შედეგად, ზეპირი მოსმენის ჩატარების შესახებ გადაწყვეტილების მიღების მოტივაციას.

კანონმდებლობის მიხედვით, თუ საბჭო საჭიროდ მიიჩნევს მსჯავრდებულისაგან მიიღოს დამატებითი ინფორმაცია მისი სასჯელის მოხდისაგან პირობით ვადამდე გათავისუფლების საკითხის გადასაწყვეტად, იგი ატარებს ზეპირ მოსმენას.⁶⁸ მიუხედავად ამისა, საბჭოს ხსენებული გადაწყვეტილებები არ არის დასაბუთებული და გაუგებარი რჩება, თუ რა საკითხის შესახებ სურს საბჭოს დამატებითი ინფორმაციის მიღება მსჯავრდებულისაგან. საბჭოს ინტერესს წარმოადგენს მსჯავრდებულის პიროვნულ მახასიათებლებზე პირადი შთაბეჭდილების შექმნა, მისი დამოკიდებულების გამორკვევა ჩადენილ დანაშაულთან დაკავშირებით, მისი სამომავლო გეგმებისა და მიზნების შესახებ ინფორმაციის მიღება თუ სხვა.

მაგალითად:

საქმე N1. 2018 წლის 30 მაისს აღმოსავლეთ საქართველოს მეორე ადგილობრივმა საბჭომ განიხილა მსჯავრდებულის საქმე⁶⁹, რომელსაც ჰქონდა განაჩენთა ერთობლიობა. ჩადენილი ჰქონდა ცეცხლსასროლი იარაღის მართლსაწინააღმდეგოდ დაუფლება, დეზერტირობა და

⁶⁸ პატიმრობის კოდექსი, მუხ. 42. ნაწ. 5.

⁶⁹ აღმოსავლეთ საქართველოს მეორე ადგილობრივი საბჭო. 2018 წლის 30 მაისის N02/18-0825 გადაწყვეტილება.

ჯანმრთელობის განზრახ მსუბუქი დაზიანება. სასჯელის მოხდის პერიოდში წახალისებული არ ყოფილა. დისციპლინური წესით დასჯილი იყო ერთხელ. წარსულში იყო ნასამართლევნი.

საბჭომ შუამდგომლობა განიხილა ზეპირი მოსმენის გარეშე და მიიღო გადაწყვეტილება საქმე დაშვებულ ყოფილიყო ზეპირ მოსმენაზე.

საბჭომ ეს საქმე 2018 წლის 8 ივნისს განიხილა ზეპირი მოსმენით⁷⁰ და გაათავისუფლა მსჯავრდებული პირობით ვადამდე.

საქმე N2. 2018 წლის 30 მაისს აღმოსავლეთ საქართველოს მეორე ადგილობრივმა საბჭომ ზეპირი მოსმენის გარეშე განიხილა მსჯავრდებულის საქმე⁷¹, რომელიც სასჯელს იხდიდა ქურდობისთვის. წარსულში ნასამართლევნი იყო ისევ ქურდობისთვის. დანიშნული ჰქონდა პირობითი მსჯავრი და პირობითი მსჯავრის პერიოდში ჩადენილი ჰქონდა ახალი ქურდობის ფაქტი. საბოლოოდ სასჯელს იხდიდა განაჩენთა ერთობლიობით. სასჯელის მოხდის პერიოდში სოციალურ აქტივობებში მონაწილეობა არ მიუღია. დასჯილი ან წახალისებული არ ყოფილა.

საბჭომ შუამდგომლობა განიხილა ზეპირი მოსმენის გარეშე და მიიღო გადაწყვეტილება საქმე დაშვებულ ყოფილიყო ზეპირ მოსმენაზე.

ეს საქმე ზეპირი მოსმენით განხილულ იქნა 2018 წლის 8 ივნისს⁷² და გაათავისუფლა მსჯავრდებული პირობით ვადამდე.

შეფასება: ზეპირი მოსმენის გარეშე შუამდგომლობის განხილვისას არ ჩანს, თუ რატომ მიიღო საბჭომ ზეპირი მოსმენის ჩატარების საჭიროების გადაწყვეტილება. გადაწყვეტილებაში არ არის მითითებული ის საკითხები, რაზეც უშუალოდ პატიმრისგან დამატებითი ინფორმაციის მიღების აუცილებლობა დადგა დღის წესრიგში.

ბუნდოვანი რჩება რა მიზეზით და მოტივაციით იღებს ხოლმე რიგ შემთხვევებში საბჭო, ზეპირი მოსმენის გარეშე საკითხის განხილვისას, გადაწყვეტილებას ზეპირი მოსმენის დანიშვნის თაობაზე. თუ ზეპირი მოსმენა ტარდება იმ მოტივაციით, რომ საბჭომ რეალურად მიიღოს დამატებითი ინფორმაცია უშუალოდ მსჯავრდებულისაგან, უნდა ჩანდეს ზეპირი მოსმენის გადაწყვეტილებებში ეს ინფორმაცია შესაბამისი დასაბუთებით.

8. ზეპირი მოსმენის გავლენა საქმის შედეგებზე

სახალხო დამცველის აპარატისთვის ასევე მნიშვნელოვანი იყო, გამოგვერკვია ზეპირი მოსმენის გავლენა შუამდგომლობის განხილვის ბედზე. ამ მიზნით შევარჩიეთ მაქსიმალურად მსგავსი გარემოებების მქონე საქმეები. საქმეთა ანალიზი ცხადყოფს, რომ ანალოგიური დანაშაულის ჩამდენი პირების პირობით ვადამდე გაათავისუფლების საკითხი განსხვავებულად წყდება იმის მიხედვით, შუამდგომლობა განხილულია ზეპირი მოსმენით თუ ზეპირი

⁷⁰ აღმოსავლეთ საქართველოს მეორე ადგილობრივი საბჭო. 2018 წლის 08 ივნისის N02/18/ზ-043 გადაწყვეტილება.

⁷¹ აღმოსავლეთ საქართველოს მეორე ადგილობრივი საბჭო. 2018 წლის 30 მაისის N02/18-0876 გადაწყვეტილება.

⁷² აღმოსავლეთ საქართველოს მეორე ადგილობრივი საბჭო. 2018 წლის 08 ივნისის N02/18/ზ-046 გადაწყვეტილება.

მოსმენის გარეშე. ცხადია, ზეპირი მოსმენით უპირატესად დგება მსჯავრდებულისთვის პოზიტიური შედეგი.

საილუსტრაციოდ გთავაზობთ ორ ფაქტობრივად ანალოგიურ შემთხვევას:

***საქმე N1.** 2018 წლის 09 ოქტომბერს აღმოსავლეთ საქართველოს მესამე ადგილობრივმა საბჭომ, ზეპირი მოსმენის გარეშე, განიხილა მსჯავრდებულის საქმე, რომელსაც ჩადენილი ჰქონდა ქურდობა. დაზარალებულს მიადგა 80 ლარის მატერიალური ზიანი. თავისუფლება აღკვეთილი ჰქონდა 1 წლით. სასჯელის მოხდა დაიწყო 2018 წლის 09 მარტს. სრულდებოდა 2019 წლის 09 მარტს (დარჩენილი ჰქონდა 5 თვე). სასჯელს იხდიდა ნახევრად ღია ტიპის N15 დაწესებულებაში. მსჯავრდებულმა დაზარალებულს ზარალი აუნაზღაურა. თავს გრძნობს დამნაშავედ. ინანიებს ჩადენილ დანაშაულს. სასჯელის მოხდის პერიოდში მონაწილეობა არ მიუღია დაწესებულებაში მიმდინარე სოციალურ აქტივობებში. წახალისებული ან დასჯილი არ ყოფილა. ადმინისტრაციისა და მსჯავრდებულების მიმართ თავაზიანია. განაჩენის მიხედვით - ნასამართლობა გაქარწყლებულია.*

საბჭომ ამ მსჯავრდებულის შესახებ შუამდგომლობა გადაწყვიტა უარყოფითად და მიუთითა, რომ განსაკუთრებული ყურადღება მიაქცია დანაშაულის სიმძიმეს და ხასიათს, ასევე, იმას, რომ მსჯავრდებულს სოციალურ აქტივობებში მონაწილეობა არ მიუღია.

***საქმე N2.** 2018 წლის 16 ოქტომბერს აღმოსავლეთ საქართველოს მესამე ადგილობრივმა საბჭომ, ზეპირი მოსმენით, განიხილა მსჯავრდებულის საქმე, რომელსაც ჩადენილი ჰქონდა ქურდობა. ორი ეპიზოდი. დაზარალებულებს მიადგათ 8 835 ლარისა და 1 550 ლარის ქონებრივი ზიანი. თავისუფლება აღკვეთილი ჰქონდა 5 წლის ვადით, საიდანაც 3 წელი განესაზღვრა პენიტენციურ დაწესებულებაში მოხდით, ხოლო 2 წელი ჩაეთვალა პირობით გამოსაცდელი ვადით. სასჯელის მოხდა დაიწყო 2016 წლის 10 მარტს. სრულდებოდა 2019 წლის 10 მარტს (დარჩენილი ჰქონდა დაახლოებით 5 თვე). სასჯელს იხდიდა ნახევრად ღია ტიპის N15 დაწესებულებაში. მსჯავრდებულმა დაზარალებულს ზიანი აუნაზღაურა. თავს გრძნობს დამნაშავედ. სასჯელის მოხდის პერიოდში მონაწილეობა არ მიუღია დაწესებულებაში მიმდინარე სოციალურ აქტივობებში. წახალისებული ან დასჯილი არ ყოფილა. ადმინისტრაციისა და მსჯავრდებულების მიმართ თავაზიანია. განაჩენის მიხედვით - ნასამართლობის არმქონე (წინა ნასამართლობის დროს შეწყალებით იყო გათავისუფლებული და ხანდაზმულობის გამო ნასამართლობა გაქარწყლებული ჰქონდა. შესაბამისად, ითვლება ნასამართლობის არმქონედ).*

საბჭომ ამ მსჯავრდებულის შესახებ შუამდგომლობა გადაწყვიტა დადებითად. დასაბუთება არ წარმოადგინა გადაწყვეტილებაში.

შეფასება: განხილული ორი საქმე, წარმოადგენს ფაქტობრივად იდენტურ შემთხვევებს. უფრო მეტიც, საქმე N2-ის ფაქტობრივი მოცემულობა მცირედით უფრო მძიმედ ხასიათდება, თუ მხედველობაში მივიღებთ დაზარალებულისთვის მიყენებული ზიანის ოდენობას, ჩადენილი დანაშაულის რაოდენობას (ორი ეპიზოდი) და მსჯავრდებულისთვის შეფარდებული სასჯელის ზომას. მიუხედავად ამისა, N2 საქმეზე საბჭომ მიიღო დადებითი გადაწყვეტილება და გაათავისუფლა მსჯავრდებული პირობით ვადამდე, საქმე N1-სგან განსხვავებით, სადაც საბჭო მიუთითებდა, დანაშაულის სიმძიმესა და ხასიათზე, ასევე, იმაზე, რომ მსჯავრდებულს სოციალურ

აქტივობებში მონაწილეობა არ მიუღია. ნიშანდობლივია, რომ საქმე N2-ში ამ იდენტურ გარემოებებზე საბჭოს ყურადღება საერთოდ არ შეჩერებულა.

ამასთან, საბჭოს არ გამოუკვლევია იყო თუ არა კონკრეტულ დაწესებულებაში შეთავაზებული სოციალური აქტივობები კონკრეტული პატიმრებისთვის და ხომ არ არსებობდა ამ მიმართულებით გასათვალისწინებელი რაიმე ობიექტური გარემოება.

საქმე N2-ში მსჯავრდებულის საქმე საბჭომ ზეპირი მოსმენით განიხილა, რამაც, როგორც ჩანს, არსებითი გავლენა მოახდინა საბჭოს წევრების შინაგან რწმენაზე და მიიღეს დადებითი გადაწყვეტილება, საქმე N1-სგან განსხვავებით, რომელიც საბჭომ ზეპირი მოსმენის გარეშე განიხილა.

9. ზეპირი სხდომების მონიტორინგის შედეგები

როგორც უკვე აღინიშნა, საქართველოს სახალხო დამცველის რწმუნებულები ესწრებოდნენ ადგილობრივი საბჭოების (ექვსივე საბჭოს) მიერ მსჯავრდებულთა სასჯელის მოხდისაგან პირობით ვადამდე გათავისუფლების ან/და სასჯელის მოუხდელი ნაწილის უფრო მსუბუქი სახის სასჯელით შეცვლის შესახებ შუამდგომლობების განხილვას ზეპირი მოსმენის სხდომებს. მოცემული საკითხების განხილვაზე დაკვირვებით, გამოვლინდა როგორც დადებითი, ისე უარყოფითი ხასიათის ტენდენციები.

ზეპირი სხდომების მონიტორინგით, ყველაზე სრულყოფილი ზეპირი მოსმენა ჩატარდა სპეციალური პენიტენციური სამსახურის არასრულწლოვანთა საქმეების განმხილველი ადგილობრივი საბჭოს მიერ.

პოზიტიურად საყურადღებო იყო ის გარემოება, რომ არსებითი ყურადღება დაუთმო საბჭომ არასრულწლოვანის რესოციალიზაციის ასპექტის შესწავლას. კერძოდ, არასრულწლოვან მსჯავრდებულ გ.ო.-სთან გასაუბრებამდე, ადგილობრივი საბჭოს წევრები გაესაუბრნენ სოციალურ მუშაკს და ფსიქოლოგს, რომლებისგანაც მიიღეს მნიშვნელოვანი ინფორმაცია არასრულწლოვანი გ.ო.-ს ოჯახის წევრებისა და ჩადენილი დანაშაულის მიმართ მისი დამოკიდებულების შესახებ. უშუალოდ არასრულწლოვან გ.ო.-სთან გასაუბრება მიმდინარეობდა პოზიტიურ გარემოში, საბჭოს წევრები გამოხატავდნენ კეთილგანწყობას მსჯავრდებულის მიმართ, რაც არსებითაც მნიშვნელოვანია არასრულწლოვანისთვის მისი მენტალური განვითარების მოცემულ ეტაპზე. საბჭოს წევრების მიერ დასმული შეკითხვები შეეხებოდა მსჯავრდებულის მიერ პენიტენციურ დაწესებულებაში განვლილ სარეაბილიტაციო და საგანმანათლებლო პროგრამებს, მიღებულ ცოდნას, გათავისუფლების შემთხვევაში სოციალურ მუშაკებთან თანამშრომლობის მზაობას, სამომავლო გეგმებს, მიზნებსა და ინტერესებს. საბჭოს წევრების მიერ დასმული იყო ღია კითხვები, რაც მსჯავრდებულს უბიძგებდა ესაუბრა ღიად და ამომწურავად წამოჭრილი საკითხის ირგვლივ. ასევე, საბჭოს წევრებმა არასრულწლოვანს მიაწოდეს დეტალური ინფორმაცია შესაძლო გათავისუფლების შემთხვევაში მისი მოვალეობების შესახებ, კითხვები დაუსვეს

არასრულწლოვანი მსჯავრდებულის ინტერსების დამცველ ადვოკატს და მოისმინეს მისი აზრი მსჯავრდებულის სასჯელის მოხდისგან პირობით ვადამდე გათავისუფლების შესახებ.

ძირითადად, ანალოგიური დადებითი ტენდენციები გამოიკვეთა ქალ მსჯავრდებულთა საქმეების განმხილველი ადგილობრივი საბჭოს მიერ შუამდგომლობების ზეპირი მოსმენით გამართულ სხდომაზე. გამონაკლისს წარმოადგენს ის გარემოება, რომ საბჭოს წევრები არ გასაუბრებიან სოციალურ მუშაკს და ფსიქოლოგს. თუმცა, უნდა აღინიშნოს, რომ საბჭოს მიერ მიღებული გადაწყვეტილებების თანახმად, საბჭოს გააჩნია მსჯავრდებულის ოჯახის შესახებ ინფორმაცია. ასევე, აღწერილია მსჯავრდებულთა ფსიქო-პორტრეტი.

მიმოხილული დადებითი ტენდენციების ფონზე, შედარებით ნაკლებად ინფორმაციული და ფორმალური იყო სპეციალური პენიტენციური სამსახურის აღმოსავლეთ საქართველოს პირველი ადგილობრივი საბჭოს მიერ ზეპირი მოსმენით ჩატარებული სხდომა, სადაც მსჯავრდებულის მიმართ დასმული შეკითხვები, ძირითადად შეეხებოდა მხოლოდ ჩადენილი დანაშაულის ფაქტობრივ გარემოებებს. საბჭოს წევრთაგან აქტიური იყო მხოლოდ საბჭოს თავმჯდომარე, ხოლო საბჭოს ზოგიერთი წევრი საერთოდ არ ჩართულა არცერთ მსჯავრდებულთან გასაუბრებაში. ხსენებულ საბჭოს სხდომაზე, დადებითი იყო ის გარემოება, რომ გასაუბრების დაწყებამდე მსჯავრდებულებს აცნობდნენ პენიტენციური დაწესებულების მიერ საბჭოში წარდგენილ დახასიათებას მათ შესახებ, რის შემდეგაც მსჯავრდებულებს ეძლეოდათ შენიშვნების გამოთქმის შესაძლებლობა დახასიათებაში არსებული შესაძლო უზუსტობების თაობაზე.

რაც შეეხება სპეციალური პენიტენციური სამსახურის აღმოსავლეთ საქართველოს მეორე, მესამე და დასავლეთ საქართველოს ადგილობრივ საბჭოებს, მათ მიერ გამართული ზეპირი მოსმენის სხდომები ჩატარდა არსებითი ხარვეზების გარეშე და ძირითადად იყო დამაკმაყოფილებელი. მსჯავრდებულებს შეეძლოთ თავისუფლად წარმოედგინათ თავიანთი პოზიციები, არგუმენტაცია. საბჭოს წევრების დამოკიდებულება მათ მიმართ, როგორც წესი, იყო ნეიტრალური. საბჭოს ინტერესს მხოლოდ ჩადენილი დანაშაულის გარემოებები არ წარმოადგენდა და უშუალოდ მსჯავრდებულის პიროვნებასაც მიემართებოდა. გარკვეულ შემთხვევებში დასავლეთ საქართველოს ადგილობრივი საბჭო უფრო მეტად ინტერესდებოდა დანაშაულის ჩადენის გარემოებებით და ნაკლებ ყურადღებას უთმობდა მსჯავრდებულის პიროვნებას.

ხაზგასასმელია ის გარემოება, რომ ზეპირი განხილვის პროცესის დაკვირვების შედეგად ვერ ხდებოდა იმის იდენტიფიცირება, თუ კონკრეტულად რა საკითხზე სურდა საბჭოს დამატებითი ინფორმაციის მიღება მსჯავრდებულისაგან; რა ინფორმაცია დააკლდა ზეპირი მოსმენის გარეშე შუამდგომლობის განხილვისას, რის გამოც ზეპირ მოსმენაზე განსახილველად გადადეს შუამდგომლობა; არ ჰქონდათ წინასწარ შემუშავებული შეკითხვები შესაფასებელი კრიტერიუმების ფარგლებში რომელიმე კონკრეტულ ასპექტზე ან სხვა.

ამ ნაწილის შეჯამების სახით შეიძლება ითქვას, რომ არასრულწლოვანთა და ქალ მსჯავრდებულთა საქმეების ზეპირი განხილვები ბევრად სრულყოფილი იყო სრულწლოვან მამაკაც მსჯავრდებულთა საქმეების მოსმენებთან შედარებით. თუმცა, ამ უკანასკნელთა შემთხვევაშიც ზეპირი მოსმენა გაცილებით მეტ შესაძლებლობას აძლევდა მსჯავრდებულებს ესაუბრათ თავიანთ თავზე, მათ მიერ სასჯელის მოხდის პერიოდში განვლილ გზასა და სამომავლო გეგმებზე, ვიდრე იმ მსჯავრდებულების შემთხვევები, რომელთა საქმეების განხილვა ზეპირი მოსმენის გარეშე ჩატარდა და საერთოდ არ მიეცათ საბჭოს წევრების წინაშე საკუთარი პოზიციის დაფიქსირების შესაძლებლობა.

10. სასჯელის უფრო მსუბუქი სახის სასჯელით შეცვლის პრაქტიკა

საქმეთა შესწავლის შედეგებმა არ გამოკვეთა რაიმე კონკრეტული სპეციფიური მიდგომა, რაც განასხვავებდა სასჯელის უფრო მსუბუქი სახის სასჯელით შეცვლის პრაქტიკას პირობით ვადამდე გათავისუფლების საკითხის განხილვის პროცესისგან, გარდა იმისა, რომ სასჯელის შეცვლის საკითხი, საკანონმდებლო მოთხოვნის⁷³ შესაბამისად, ყოველთვის გადაწყდა ზეპირი მოსმენით. საბჭოს მიერ განხილული საქმეების შესწავლის შედეგად შეუძლებელია კონკრეტული მიდგომების სისტემატიზირება და იმაზე მსჯელობა თუ რა განაპირობებს ძირითადად საბჭოს დადებით თუ უარყოფით გადაწყვეტილებებს.

სასჯელის უფრო მსუბუქი სახის სასჯელით შეცვლის გადაწყვეტილებები, აღწერილობითი ნაწილის შემდეგ, ყოველთვის შეიცავს შეჯამებას თუ რა კრიტერიუმებს დაეყრდნო საბჭო უარყოფითი გადაწყვეტილების მიღების პროცესში, თუმცა, დადებითი და უარყოფითი ასპექტების ურთიერთშეჯერება და ამ მიმართულებით მოტივაცია ყოველთვის მკაფიოდ არ არის წარმოდგენილი.

იგივე არ შეიძლება ითქვას დადებით გადაწყვეტილებებზე. ამ შემთხვევაში გადაწყვეტილებები მხოლოდ აღწერილობით ნაწილს შეიცავს და კონკრეტული მოტივაცია წარმოდგენილი საერთოდ არ არის.

სასჯელის უფრო მსუბუქი სახის სასჯელით შეცვლის პროცესში საბჭოს არათანმიმდევრული პრაქტიკის საილუსტრაციოდ შემოგთავაზებთ რამდენიმე საქმეს:

საქმე NI. აღმოსავლეთ საქართველოს მეორე ადგილობრივმა საბჭომ 2018 წლის 27 დეკემბერს არ დააკმაყოფილა მსჯავრდებულ თ.ს.-ს შუამდგომლობა დარჩენილი სასჯელის საზოგადოებისთვის სასარგებლო შრომით შეცვლის თაობაზე. მსჯავრდებული სასჯელის მოხდის პერიოდში დისციპლინური წესით დასჯილი არ ყოფილა. იცავდა სარეჟიმო მოთხოვნებსა და კანონით დაკისრებულ ვალდებულებებს. არ არის აგრესიული ან კონფლიქტური. ნორმალური დამოკიდებულება აქვს ადმინისტრაციის თანამშრომლებთან და სხვა მსჯავრდებულებთან. წარსულში ნასამართლობა არ ჰქონია. მიუხედავად ამისა, მას ჩადენილი ჰქონდა განზრახ მკვლელობის მცდელობა, რაც გადამწყვეტი აღმოჩნდა

⁷³ პატიმრობის კოდექსი, მუხ. 43, ნაწ. 5 და მინისტრის N320 ბრძანება, მუხ. 7, პუნქ. 7.

ადგილობრივი საბჭოსთვის, რომელმაც განმარტა, რომ ჩადენილია ძალადობრივი ხასიათის დანაშაული, რაც მომეტებული საფრთხის შემცველის საზოგადოებრივი უსაფრთხოებისთვის და სწორედ, ამის გამო ეთქვა მსჯავრდებულს უარი სასჯელის მოუხდელი ნაწილის უფრო მსუბუქი სახის სასჯელით შეცვლის შუამდგომლობის დაკმაყოფილებაზე.

შეფასება: ჩადენილი დანაშაულის ძალადობრივი ხასიათი სხვა შემთხვევაში არ გახდა უარყოფითი გადაწყვეტილების მიღების საფუძველი. განსხვავებული პრაქტიკის წარმოსაჩენად წარმოგიდგინებ შემდეგ საქმე:

საქმე N2. 2018 წლის 31 დეკემბერს აღმოსავლეთ საქართველოს პირველმა ადგილობრივმა საბჭომ დააკმაყოფილა მსჯავრდებულ დ.ი.-ს შუამდგომლობა დარჩენილი სასჯელის შინაპატიმრობით შეცვლის თაობაზე. დ.ი. იყო საქართველოს შსს განსაკუთრებით მნიშვნელოვანი ობიექტების დაცვის პოლიციელი. ურთიერთშელაპარაკების ნიადაგზე განიზრახა ერთ-ერთი მოქალაქის მკვლელობა, ამ მიზნით დაჭრა და მიიშალა შემთხვევის ადგილიდან, რის შემდეგაც მოქალაქე მიყენებული დაზიანებების შედეგად სავადმყოფოში გარდაიცვალა. მიუხედავად იმისა, რომ დ.ი. მსჯავრდებულ იქნა განსაკუთრებით მძიმე კატეგორიის დანაშაულისთვის, დამატებითი სასჯელის სახით დანიშნული ჯარიმა არ გადაუხდია და დანაშაული იყო ამ შემთხვევაშიც ძალადობრივი ხასიათის, ეს ფაქტორი ამ შემთხვევაში არ ყოფილა საბჭოსთვის შემაკავებელი ფაქტორი და წინა საქმისგან განსხვავებით, დააკმაყოფილა მსჯავრდებულის შუამდგომლობა.

შედარებისთვის წარმოგიდგინებ კიდევ ორ საქმეს. ორივე შემთხვევა შეეხებოდა ყაჩაღობისთვის მსჯავრდებული პირების შუამდგომლობის განხილვას, რომელთაგან ერთი დაკმაყოფილდა, მეორეს კი ეთქვა უარი:

საქმე N3. აღმოსავლეთ საქართველოს მესამე ადგილობრივმა საბჭომ 2018 წლის 28 დეკემბრის გადაწყვეტილებით დააკმაყოფილა მსჯავრდებულ მ.ქ.-ს შუამდგომლობა სასჯელის მოუხდელი ნაწილის შინაპატიმრობით შეცვლის თაობაზე. მ.ქ. პასუხისგებაში იყო მიცემული ჯანმრთელობის განზრახ მძიმე დაზიანებისა და ყაჩაღობისთვის. ყაჩაღობა ჩადენილი იყო ჯგუფურად.

სხვა საქმეში კი ჯგუფურად ჩადენილი ყაჩაღობა გახდა ფაქტობრივად გადაწყვეტი გარემოება საიმისოდ, რომ არ დაეკმაყოფილებინათ მსჯავრდებულის შუამდგომლობა სასჯელის დარჩენილი ნაწილის შინაპატიმრობით შეცვლაზე, კერძოდ:

საქმე N4. აღმოსავლეთ საქართველოს მესამე ადგილობრივმა საბჭომ 2018 წლის 28 დეკემბერს უარი ეთქვა მსჯავრდებულ გ.მ.-ს შუამდგომლობის (შინაპატიმრობის გამოყენებაზე) დაკმაყოფილებაზე. ეს პირი მსჯავრდებული იყო ჯგუფური ყაჩაღობისთვის. სასჯელის მოხდის პერიოდში კი ერთხელ იყო დასჯილი დისციპლინური წესით (შეეზღუდა კუთვნილი სატელეფონო საუბრის უფლება).

შეფასება: N4 საქმე N3 საქმისგან განსხვავდება იმით, რომ გ.მ.-ს მიმართ, მ.ქ.-სგან განსხვავებით, ერთხელ გამოყენებული იყო დისციპლინური დასჯა, რაც მის მხარეს დამატებით ნეგატიურ მახასიათებლად შეიძლება მივიჩნიოთ. თუმცა, იმავე დროს, მას ჰქონდა ის დადებითი მახასიათებელიც, რომ მას მ.ქ.-სგან განსხვავებით, არ ჰქონდა ჩადენილი დამატებითი ჯანმრთელობის განზრახ მძიმე დაზიანება. N4

საქმეში საბჭომ ძირითადი მოტივაცია დააყრდნო მსჯავრდებულის მიერ ჩადენილი დანაშაულის ძალადობრივ ხასიათს და მსჯავრდებულის ერთ დისციპლინურ გადაცდომას, მაშინ როცა N3 საქმეში არ შეფასებულა დანაშაულთა ერთობლიობის ფაქტი.

სასამართლო პრაქტიკა

2018-2019 წლების სასამართლო პრაქტიკის შესწავლის მიზნით სახალხო დამცველის აპარატი ჯამში გაეცნო სასამართლოს 95 გადაწყვეტილებას. აქედან:

- 24 შუამდგომლობა დაახარვეზა და სასამართლომ არ განიხილა არსებითად
- 27 შუამდგომლობა არ დააკმაყოფილა და ძალაში დატოვა ადგილობრივი საბჭოს გადაწყვეტილება
- 44 შემთხვევაში ბათილად ცნო ადგილობრივი საბჭოების გადაწყვეტილებები
- ხსენებული 44-დან 36 შემთხვევაში საბჭოს გადაწყვეტილება ბათილად ცნო და დაუბრუნა დამატებითი განხილვისა და დასაბუთებული გადაწყვეტილების გამოტანის მიზნით, ხოლო 8 შემთხვევაში თავად გადაწყვიტა საკითხი, ბათილად ცნო ადგილობრივი საბჭოების გადაწყვეტილებები და დაავალა საბჭოებს მსჯავრდებულების პირობით ვადამდე გათავისუფლება.

წინამდებარე თავში სწორედ იმ 71 საქმეზე გვექნება მსჯელობა, სადაც სასამართლომ არსებითად განიხილა შუამდგომლობები და განსხვავებული გადაწყვეტილებები მიიღო. სასამართლოს განმარტებები და დამოკიდებულება განსხვავებულია საბჭოს დისკრეციული უფლებამოსილების შეფასებისას, კერძოდ:

- რიგ შემთხვევებში სასამართლო მიიჩნევს, რომ საბჭოს მიერ დისკრეციული უფლებამოსილების გამოყენებით გამოცემული აქტი ვერ აკმაყოფილებს საბჭოს დანიშნულების მიზანს - მსჯავრდებულის რესოციალიზაციის ხელშეწყობა - რის გამოც თავად სასამართლო იწყებს მსჯელობას პატიმრის პირობით ვადამდე გათავისუფლების მიზანშეწონილობაზე და იღებს მსჯავრდებულის გათავისუფლების გადაწყვეტილებას
- რიგ შემთხვევებში კი სასამართლო აცხადებს, რომ საბჭოს დისკრეციული უფლებამოსილებით გამოტანილი გადაწყვეტილების მიზანშეწონილობის საკითხზე მსჯელობა აღემატება მის კომპეტენციას

პირველ რიგში მიმოვიხილოთ სასამართლოს პრაქტიკა, როცა იგი ბათილად ცნობს ადგილობრივი საბჭოების უარყოფით გადაწყვეტილებებს და გადაწყვეტილება გამოაქვს საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 27¹ მუხლის პირველი ნაწილის „გ“ ქვეპუნქტის შესაბამისად. სულ ასეთი 8 გადაწყვეტილება იყო შესწავლილი სახალხო დამცველის აპარატის მიერ. სასამართლომ ამ გადაწყვეტილებებში განმარტა, რომ საბჭოს დისკრეციული უფლებამოსილება წარმოადგენს სამართლებრივად შეუბოჭილ თავისუფლებას და თუ სახეზე არის მოცემულობა, რომელიც ადასტურებს მსჯავრდებულის რესოციალიზაციას, იგი მიზანშეწონილად მიიჩნევს მსჯავრდებულის გათავისუფლებას.

საქმე N1. თბილისის საქალაქო სასამართლომ 2018 წლის 20 დეკემბერს გამოიტანა გადაწყვეტილება⁷⁴, რომლითაც დააკმაყოფილა მსჯავრდებულ ვ.შ.-ს სარჩელი სრულად - ბათილად ცნო აღმოსავლეთ საქართველოს მესამე ადგილობრივი საბჭოს 2018 წლის 4 ივლისის N03/18-1103 გადაწყვეტილება და დაავალა მას გამოეცა ახალი ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი ვ.შ.-ს პირობით ვადამდე გათავისუფლების შესახებ. სასამართლომ განმარტა, რომ „ადმინისტრაციული ორგანოს დისკრეციული უფლებამოსილება წარმოადგენს ადმინისტრაციული ორგანოს სამართლებრივად შეზოჭილ თავისუფლებას, ვინაიდან აღნიშნული ისეთი უფლებამოსილებაა, რომელიც ერთის მხრივ, კანონმდებლობით არ არის შეზღუდული კონკრეტული მოქსერიგებით, თუმცა შეზღუდულია კანონით დადგენილი ნორმის მიზნითა და ფარგლებით. ამასთან, იმ გარემოების გათვალისწინებით, რომ დისკრეციული უფლებამოსილების ფარგლებში მიღებული გადაწყვეტილების სრული სასამართლო კონტროლი გამოიწვევდა ადმინისტრაციული ორგანოს საქმიანობის არაეფექტურობას, სასამართლო კონტროლის მოცულობა შეზღუდულია იმ გარემოებების შემოწებით, არსებობდა თუ არა დაშვებული შეცდომა დისკრეციული უფლებამოსილების განხორციელებაში და ამგვარი შეცდომის თავიდან აცილების შემთხვევაში, სხვაგვარი გადაწყვეტილების მიღების ალბათობა.“ იქვე სასამართლომ განმარტა, რომ „დისკრეციული უფლებამოსილების განხორციელებისას გამოცემული ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით გათვალისწინებულმა ზომებმა არ შეიძლება გამოიწვიოს პირის კანონიერი უფლებებისა და ინტერესების დაუსაბუთებელი შეზღუდვა. მოცემული დანაწესი, სასამართლოს მოსაზრებით, აუცილებლად გულისხმობს დისკრეციული უფლებამოსილების ფარგლებში მიღებული გადაწყვეტილების დასაბუთების სავალდებულობას, ვინაიდან აღნიშნულით არის შესაძლებელი, გაირკვეს, მიღებულ იქნა თუ არა უშეცდომო გადაწყვეტილება.“ სასამართლო განმარტავს, რომ „საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის შესაბამისად, ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის დასაბუთების კანონისმიერი ვალდებულება განპირობებულია იმ გარემოებით, რომ ადმინისტრაციული ორგანო შეზოჭოს სამართლით და მოაქციოს თვითკონტროლის ფარგლებში, რამდენადაც გადაწყვეტილების მიღება უნდა ეფუძნებოდეს კონკრეტულ გარემოებებს და ფაქტებს, სწორედ რომელთა შეფასებასაც ადმინისტრაციული ორგანო მიჰყავს საკითხის ამ თუ იმ გადაწყვეტამდე. გარდა აღნიშნულისა, გადაწყვეტილების დასაბუთება აუცილებელია ადრესატისათვის, რათა შეაფასოს მისი მართლზომიერება, დარწმუნდეს მის კანონშესაბამისობაში, ხოლო უფლების დარღვევის განცდის შემთხვევაში ისარგებლოს გასაჩივრების შესაძლებლობით, მას უნდა შეეძლოს იცოდეს რა არგუმენტით უნდა დაუპირისპირდეს მიღებულ გადაწყვეტილებას, რასაც დასაბუთების გარეშე გადაწყვეტილების მიღების პირობებში, მოკლებულია. აგრეთვე, დასაბუთებული აქტის გამოცემა აადვილებს საჩივრის ან სარჩელის განმხილველი ორგანოების მიერ მისი კანონიერებისა და მიზანშეწონილობის გადამოწმების პროცესს.“ სასამართლომ მიიჩნია, რომ გასაჩივრებული აქტი არ შეიცავდა საკმარის მოტივაციას ადმინისტრაციული ორგანოს მიერ სადავო საკითხის უარყოფითად გადაწყვეტის მიზეზთან დაკავშირებით და მიუთითა: „საკითხის განხილვისას საბჭომ გაითვალისწინა მსჯავრდებულის დამოკიდებულება თავისუფლების აღკვეთის დაწესებულების ადმინისტრაციასთან და სხვა პიროვნული მახასიათებლები, ოჯახური პირობები, ის გარემოება, რომ მსჯავრდებულს მონაწილეობა აქვს მიღებული კულტურულ ღონისძიებებში და სასამართლობის არმქონეა, თუმცა ყურადღება გაამახვილა მსჯავრდებულის მიერ წარსულში დანაშაულის ჩადენის

⁷⁴ საქმე N3/5188-18.

ფაქტზე. იმ გარემოებაზე, რომ მის მიერ ჩადენილია მძიმე კატეგორიის დანაშაული⁷⁵, რამაც ადამიანის სიცოცხლის მოსპობა გამოიწვია. სასამართლო განმარტავს, რომ საკითხის განხილვისას ადმინისტრაციული ორგანო ვალდებული იყო სრულფასოვნად გამოეყენებინა მინიჭებული უფლებამოსილება და გამოეცემული ადმინისტრაციული-სამართლებრივი აქტის დასაბუთებაში მიეთითებინა ყველა ის ფაქტობრივი გარემოება, რომელსაც არსებითი მნიშვნელობა ჰქონდა საკითხის უარყოფითად გადაწყვეტისათვის.“ საბჭოს ხასიათთან მიმართებაში სასამართლო ყურადღებას მიაქცევს ადგილობრივი საბჭოს დებულებას და განმარტავს, რომ „საბჭოს მიზანია მსჯავრდებულის რესოციალიზაციის ხელშეწყობა. სასამართლოს მიაჩნია, რომ საბჭოს მიერ მსჯავრდებულის პირობით ვადამდე გათავისუფლების შუამდგომლობის განხილვისას ყურადღება უნდა იქნას გამახვილებული არის თუ არა მიღწეული სასჯელის მიზანი... სასჯელის მიზანია სამართლიანობის აღდგენა, ახალი დანაშაულის თავიდან აცილება და დამნაშავეს რესოციალიზაცია. სასამართლო მიიჩნევს, რომ რესოციალიზაცია გულისხმობს დამნაშავეს კანონმორჩილ მოქალაქედ გადაქცევის მიზანმიმართულ პროცესს, დესოციალიზებული პიროვნების ხელახალ სოციალიზაციას, მისი შემდგომი თავისუფალი ცხოვრებისთვის მომზადებას. ამასთან, დამნაშავეს რესოციალიზაცია თავისთავად კავშირშია ახალი დანაშაულის პრევენციის მიზანთან, ანუ თუ მოხდება დამნაშავეს რესოციალიზაცია, თავისთავად შემცირდება განმეორებითი დანაშაულის ჩადენის რისკიც. სასჯელის მიზნის მიღწევასთან მიმართებაში სასამართლოს მნიშვნელოვნად მიაჩნია ის გარემოება, რომ ვ.შ. პენიტენციურ დაწესებულებებში ყოფნის პერიოდში ხასიათდება დადებითად, იცავს დაწესებულების დებულებას, დაწესებულების დღის განრიგსა და სამართლებრივ რეჟიმს, ასრულებს ადმინისტრაციის კანონიერ მოთხოვნებს. დანაშაულის შეფასებისას ადეკვატურია. ვლინდება პასუხისმგებლობის განცდა. არ არის კონფლიქტური და აგრესიული. იგი მზაობას ავლენს თვითგანვითარებისკენ. განთავისუფლების შემდეგ გეგმავს მუშაობის გაგრძელებას, დანაშაულს აღიარებს არა მხოლოდ სამართლებრივი თვალსაზრისით, არამედ გულწრფელად განიცდის და ინანიებს კიდეც. სასჯელის მოხდის პერიოდში მონაწილეობა აქვს მიღებული კულტურულ ღონისძიებებში. ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, სასამართლო მიიჩნევს, რომ გასაჩივრებული ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი, რომლითაც მოსარჩელეს უარი ეთქვა პირობით ვადამდე გათავისუფლების თაობაზე, გამოეცემულია პატიმრობის კოდექსის სახელმძღვანელო პრინციპის - რესოციალიზაციის ხელშეწყობითა და საზოგადოებრივი უსაფრთხოების დაცვის ბალანსის უზღუდველყოფით, რაც სარჩელის დაკმაყოფილების საფუძველს წარმოადგენს.“

შეფასება: ზემოაღნიშნული გადაწყვეტილების ძირითადი მოტივაციის სრულად ასახვა ანგარიშში ემსახურება იმ მიზანს, რომ მკითხველისთვის გასაგები იყოს სასამართლოს პოზიცია იმასთან დაკავშირებით თუ რა მიაჩნია მას ადგილობრივი საბჭოს დისკრეციული უფლებამოსილების ფარგლების დარღვევად. კერძოდ, სასამართლოს მართებული პოზიციით, ადგილობრივმა საბჭომ თანაბარი ყურადღება უნდა მიაქციოს ყველა კრიტერიუმს და გადაწყვეტილების მიღების პროცესში უპირველესად იხელმძღვანელოს მსჯავრდებულის რესოციალიზაციის ხარისხით.

ვინაიდან სხვა 7 გადაწყვეტილებაც ანალოგიური სულისკვეთების მატარებელია, მათი დეტალური მიმოხილვის საჭიროება არ დგას.

მეორე რიგში წარმოდგენილი იქნება ერთ-ერთი ისეთი საქმე, სადაც სასამართლომ გადაწყვეტილება გამოიტანა საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 27¹

⁷⁵ საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსი, მუხ. 276, ნაწ. 5.

მუხლის პირველი ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტის შესაბამისად. ამ შემთხვევაში სასამართლომ ბათილად ცნო საბჭოს გადაწყვეტილება და დაავალა მას ხელმეორედ თავად გამოეკვლია გარემოებები და მიეღო ახალი გადაწყვეტილება. მსგავსი 36 გადაწყვეტილება შეისწავლა სახალხო დამცველის აპარატმა. ამ შემთხვევებში ადგილობრივ საბჭოს დარჩა თავისუფლება მიეღო ისევ უარყოფითი გადაწყვეტილება, მხოლოდ დამატებითი დასაბუთების წარმოდგენის შემდეგ. ამ საქმეებში სასამართლომ არ მიიჩნია საბჭოს პოზიცია დასაბუთებულად და მიუთითა მას დაეცვა სწორი ბალანსი პატიმრის რესოციალიზაციის ხელშეწყობასა და საზოგადოებრივ უსაფრთხოებას შორის.

საქმე N2. მსჯავრდებული უ.ტ. მსჯავრდებულია სსკ-ის 178-ე მუხლით გათვალისწინებული დანაშაულისთვის. წახალისებულია. ესწრება კულტურულ ღონისძიებებს. წარსულში ნასამართლევა. ადგილობრივმა საბჭომ ყურადღება გაამახვილა დანაშაულის სიმძიმეზე და წარსულში ნასამართლობაზე და უარი უთხრა მსჯავრდებულს პირობით ვადამდე გათავისუფლებაზე. სასამართლომ ნაწილობრივ დააკმაყოფილა მსჯავრდებულის საჩივარი და დაავალა საბჭოს ყველა გარემოების გამოკვლევს შემდეგ მიიღოს ახალი გადაწყვეტილება. დასაბუთებაში მიუთითა, რომ საბჭოს მიზანია პატიმრის რესოციალიზაციის ხელშეწყობა და ევალუა სწორი ბალანსის დაცვა რესოციალიზაციის ხელშეწყობასა და საზოგადოებრივ უსაფრთხოების მიზნებს შორის.⁷⁶

შეფასება: მიუხედავად იმისა, რომ სასამართლომ ეჭვი შეიტანა მსჯავრდებულის შემდგომი იზოლაციის მიზანშეწონილობაში, ვინაიდან პატიმარი დადებითად ხასიათდებოდა სასჯელის მოხდის პერიოდში, ამ შემთხვევაში სასამართლომ თავად არ მიიღო მსჯავრდებულის პირობით ვადამდე გათავისუფლების საჭიროებაზე გადაწყვეტილება და სწორი ბალანსის დაცვა ისევ ადგილობრივ საბჭოს დაავალა.

მესამე რიგში წარმოდგენილი იქნება ერთ-ერთი ისეთი საქმე, სადაც სასამართლომ გადაწყვეტილება გამოიტანა საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 27¹ მუხლის პირველი ნაწილის „ა“ ქვეპუნქტის შესაბამისად, რაც გულისხმობს საბჭოს გადაწყვეტილების ძალაში დატოვების შესახებ. სახალხო დამცველის აპარატმა მსგავსი კატეგორიის 27 გადაწყვეტილება შეისწავლა. ამ შემთხვევებში სასამართლო განმარტავს, რომ მსჯავრდებულის პირობით ვადამდე გათავისუფლების მიზანშეწონილობის შეფასება არ წარმოადგენს სასამართლოს კომპეტენციას. ამ შემთხვევაში სასამართლო ამოწმებს ფორმალურ კანონიერებას და ძალაში ტოვებს საბჭოს უარყოფით გადაწყვეტილებებს.

საქმე N3. მსჯავრდებულ ა.ფ.-ს უარი ეთქვა პირობით ვადამდე გათავისუფლებაზე. მსჯავრდებულია სსკ-ის 260-ე მუხლით. მონაწილეობას ეკლესიის მშენებლობაში. დასჯილი არ არის. წახალისებულია. არ არის კონფლიქტური. წარსულში ნასამართლევა. წარსულში ნასამართლობისა და ჩადენილი დანაშაულის სიმძიმის გამო მას უარი ეთქვა პირობით ვადამდე გათავისუფლებაზე. სასამართლომ მისი საჩივარი არ დააკმაყოფილა და ძალაში დატოვა ადგილობრივი საბჭოს გადაწყვეტილება და განმარტა, რომ იგი ვერ შეაფასებდა მსჯავრდებულის პირობით ვადამდე გათავისუფლების მიზანშეწონილობას.⁷⁷

⁷⁶ საქმე N3/512-19, 2019 წ.

⁷⁷ საქმე N3/806-18.

შეფასება: სასამართლომ ამ შემთხვევაში არ მიაქცია ყურადღება სასჯელის მოხდის პერიოდში მსჯავრდებულის მიერ გამოვლენილ ქცევას და ჩათვალა, რომ რესოციალიზაციის ხარისხის შეფასება აღემატებოდა მის უფლებამოსილებას.

აქვე დამატებით წარმოვადგენთ ერთ საქმეს, რომელიც N1 საქმის მსგავსად, შეიძლება გამოვყოთ როგორც კარგი საილუსტრაციო მაგალითი, როდესაც სასამართლო - ამ შემთხვევაში სააპელაციო სასამართლოც - მაღალი სტანდარტით უდგება საბჭოს გადაწყვეტილების შეფასებას და აუცილებლად მიაჩნია სასჯელის მიზნების მიღწევის ხარისხის გაანალიზება.

საქმე N4. მსჯავრდებულ კ.ც.-სთან დაკავშირებით სახალხო დამცველის აპარატს გადაეცა როგორც პირველი, ისე მეორე ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილებები, რომლებშიც წარმოდგენილი იყო მეტად მნიშვნელოვანი მსჯელობა, რასაც ასევე წარმოგიდგენთ საილუსტრაციოდ: პირი მსჯავრდებული იყო სსკ-ის 236-ე მუხლით და უარი ეთქვა პირობით ვადამდე გათავისუფლებაზე. საბჭომ ყურადღება გაამახვილა დანაშაულის ხასიათზე, წარსულში ნასამართლობაზე და სოციალურ აქტივობებში მონაწილეობის არქონაზე. სასამართლომ მიიჩნია, რომ არ არის საკმარისი მოტივაცია უარყოფითი გადაწყვეტილების მისაღებად. საბჭოს გადაწყვეტილება დაუსაბუთებელია, რადგან არ არის შეფასებული მსჯავრდებულთან მიმართებაში მიღწეულია თუ არა სასჯელის მიზანი - რესოციალიზაცია. სასამართლომ უკან დაუბრუნა საბჭოს საქმე, ყველა გარემოების გამოკვლევის შემდეგ ახალი აქტის მიღების მიზნით. ეს გადაწყვეტილება გასაჩივრდა სააპელაციო სასამართლოში. სააპელაციომ ძალაში დატოვა პირველი ინსტანციის გადაწყვეტილება და განავითარა ამგვარი მსჯელობა: საბჭომ დებულებით გათვალისწინებული კრიტერიუმებიდან შეაფასა მხოლოდ ორი - დანაშაულის ხასიათი და წარსულში დანაშაულის ჩადენის ფაქტები. არ შეფასებულა დანარჩენი სამი კრიტერიუმი - მიეთითა მხოლოდ, რომ სადავო საკითხის გადაწყვეტისას ყურადღება მიაქცია ადმინისტრაციასთან მსჯავრდებულის დამოკიდებულებას და სხვა პიროვნულ მახასიათებლებს, ოჯახურ პირობებს, მის ქცევას სასჯელის მოხდის პერიოდში, თუმცა არ არის დასაბუთებული რა გარემოებები მოიკვლია და რა შეფასება მისცა ამ კრიტერიუმებს, რომელთა შეფასებაც თანაბარმნიშვნელოვანია საკითხის გადაწყვეტისათვის... საბჭო ვალდებული იყო დასაბუთებაში მიეთითებინა ყველა ის ფაქტობრივი გარემოება, რომელსაც არსებითი მნიშვნელობა ჰქონდა საკითხის უარყოფითად გადასაწყვეტად, რაც შესაძლებელს გახდიდა შეფასებულიყო კ.ც.-სთან მიმართებით მიღწეული იყო თუ არა სასჯელის მიზანი - ახალი დანაშაულის თავიდან აცილება და მსჯავრდებულის რესოციალიზაცია. სასამართლო განსაკუთრებულ ყურადღებას ამახვილებს, რომ მოსარჩელეს არ მიუღია მონაწილეობა სოციალურ აქტივობებში, თუმცა რას მოიაზრებს და რა არის ასეთ აქტივობებში მოსარჩელის მხრიდან მონაწილეობის არ მიღების მიზეზი, მითითებული არ არის, ამგვარი შეფასების გარეშე უარყოფითი გადაწყვეტილების საფუძველად მიუთითებს.⁷⁸

წარმოდგენილი გადაწყვეტილებებისა და სახალხო დამცველის აპარატის მიერ სასამართლოს მიერ სხვა არსებითად განხილული საქმეები შესწავლის შედეგები ცხადყოფს, რომ სასამართლო პრაქტიკა არაერთგვაროვანია და გარკვეულწილად ბუნდოვანი:

- იმ 27 საქმეში, სადაც გადაწყვეტილება ეყრდნობოდა საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 27¹ მუხლის პირველი ნაწილის „ა“ ქვეპუნქტს, სასამართლო თავის როლს ხედავს საბჭოს გადაწყვეტილების მხოლოდ

⁷⁸ საქმე N3/339-18.

ფორმალური კანონიერების შემოწმებაში და მსჯავრდებულის გათავისუფლების მიზანშეწონილობის შეფასების კონტექსტში თავს უფლებამოსილად არ მიიჩნევს

- სხვა 44 საქმის შემთხვევაში (36 შემთხვევაში ბათილად ცნო და დაუბრუნა დამატებით გამოსაკვლევად, 8 შემთხვევაში ბათილად ცნო და პირდაპირ დაავალა პატიმრის გათავისუფლება), სადაც საბჭოს გადაწყვეტილებები ბათილად ცნო სასამართლომ არ არის წარმოდგენილი მკაფიო ტექსტი იმასთან დაკავშირებით, თუ რა შემთხვევებში თვლის თავს სასამართლო უფლებამოსილად გადაწყვიტოს მსჯავრდებულის პირობით ვადამდე გათავისუფლების მიზანშეწონილობის საკითხი.

რეალურად, ადმინისტრაციულ საპროცესო კოდექსში 27¹ მუხლის პირველი ნაწილის „გ“ ქვეპუნქტის დამატება თავის თავში გულისხმობს სწორედ იმას, რომ სასამართლოს კომპეტენციას ნამდვილად განეკუთვნება მსჯავრდებულის პირობით ვადამდე გათავისუფლებისა თუ სასჯელის მოუხდელი ნაწილის უფრო მსუბუქი სახის სასჯელით შეცვლის მიზანშეწონილობის შემოწმება. ეს რეგულაცია სასამართლოს ანიჭებს მსჯავრდებულის რესოციალიზაციის ხარისხის შემოწმების, დადგენის უფლებამოსილებას და საკმარისი საფუძველების არსებობის შემთხვევაში პატიმრის მიმართ დადებითი გადაწყვეტილების გამოტანის შესაძლებლობას. ამავე მუხლის „ბ“ ქვეპუნქტი კი სასამართლომ მხოლოდ ისეთ შემთხვევებში უნდა გამოიყენოს, როდესაც უბრალოდ არასაკმარისი ინფორმაციის, არგუმენტაციის, მოტივაციის, დასაბუთების შემცველია საბჭოს გადაწყვეტილება და საბჭოს გადაწყვეტილებიდან შეუძლებელია დადგინდეს მსჯავრდებულის რესოციალიზაციის ხარისხი. მუხლის „ა“ ქვეპუნქტი კი გულისხმობს იმას, რომ სასამართლომ უნდა შეამოწმოს საბჭოს გადაწყვეტილების როგორც მატერიალური, ისე ფორმალური მხარე და თუ ჩათვლის, რომ საბჭოს გადაწყვეტილება დასაბუთებულია და შეესაბამება კანონით დადგენილ მოთხოვნებს (ფორმალური კომპონენტი) და იმავდროულად, მსჯავრდებულის რესოციალიზაციის ხარისხი არ არის იმგვარი, რომ საფრთხეს არ უქმნიდეს საზოგადოებრივი უსაფრთხოების მიზანს (მატერიალური კომპონენტი), ძალაში უნდა დატოვოს საბჭოს გადაწყვეტილება.

საკანონმდებლო ხარვეზები

კანონმდებლობის ანალიზის შედეგად გამოიკვეთა რამდენიმე ძირითადი ხარვეზი, რომელიც არსებითად ხელს უშლის ამ მექანიზმის გამართულ ფუნქციონირებას და ეს პრაქტიკის ანალიზმაც წარმოაჩინა. შესაბამისად, წინამდებარე თავი ფოკუსირებული იქნება ორ საკვანძო საკითხზე, რომელთა გადაჭრაც პრიორიტეტად უნდა იქცეს.

1. შეფასების კრიტერიუმები

წლების მანძილზე მსჯავრდებულის შეფასების კრიტერიუმების არასრულყოფილი ჩამონათვალი, მნიშვნელოვანწილად განაპირობებს საბჭოების საქმიანობის დაბალ ეფექტურობას. საბჭო სულ ხუთი კრიტერიუმით⁷⁹ ხელმძღვანელობს:

- დანაშაულის ხასიათი
- მსჯავრდებულის ქცევა სასჯელის მოხდის პერიოდში
- მსჯავრდებულის მიერ წარსულში დანაშაულის ჩადენის ფაქტები, ნასამართლობა
- ოჯახური პირობები
- მსჯავრდებულის პიროვნება

ამ კრიტერიუმებში შემავალი ასპექტების ანალიზი ტოვებს განცდას, რომ განსაკუთრებით მამაკაც მსჯავრდებულთა⁸⁰ საქმეების განმხილველი ადგილობრივი საბჭოები მხედველობაში იღებენ მხოლოდ პირის მიერ ჩადენილი დანაშაულების (მიმდინარე და წარსულის) ხასიათს და რაოდენობას, ასევე, სასჯელის მოხდის პერიოდში მსჯავრდებულის ქცევას. საბჭოს ყურადღების მიღმა რჩება პატიმრის ცხოვრების პირობები მსჯავრდებამდე პერიოდში, რამაც შეიძლება არსებითი ბიძგი მისცა მას კონკრეტული დანაშაულის ჩადენისთვის, ასევე, მისი განათლება, სამუშაო გამოცდილება, მოტივაცია ცვლილებებისკენ, მისი გეგმები, მიზნები, სურვილები.

მიუხედავად იმისა, რომ კრიტერიუმებში მითითებულია, რომ საბჭომ უნდა შეაფასოს მსჯავრდებულის პიროვნება, იქვე ამ კრიტერიუმის შეფასების ფარგლებიც არის გაწერილი, რაც სიტყვა-სიტყვითი განმარტების საფუძველზე, ტოვებს მსჯავრდებულის პიროვნების შეფასების ვიწრო სივრცეს.

კერძოდ, ნორმატიული აქტის მიხედვით⁸¹, მსჯავრდებულის პიროვნების შეფასებისას საბჭომ ყურადღება უნდა მიაქციოს მსჯავრდებულის დამოკიდებულებას ჩადენილ დანაშაულთან, დაწესებულების მოსამსახურებთან და სხვა მსჯავრდებულებთან, ინფორმაცია სასჯელის მოხდის პერიოდში სოციალურ აქტივობებში მიღებული მონაწილეობის შესახებ, საჭიროებს თუ არა განსაკუთრებულ ზედამხედველობას დაწესებულების ხელმძღვანელობის მხრიდან და სხვა მნიშვნელოვანი საკითხები, რაც პიროვნების შეფასების შესაძლებლობას იძლევა.

ამ მოცემულობით, ძირითადი ყურადღება მიემართება პიროვნების მახასიათებლებს უშუალოდ სასჯელის მოხდის პერიოდში და არ მახვილდება სასჯელის მოხდის დაწყებამდე პერიოდზე ან სამომავლო პერსპექტივებზე.

⁷⁹ მინისტრის N320 ბრძანება, მუხ. 13, პუნქტ. 1.

⁸⁰ მინისტრის N320 ბრძანება დამატებით რეგულაციას შეიცავს ქალ და არასრულწლოვანთა საქმეების განხილვის პროცესთან დაკავშირებით და ითვალისწინებს მათ სპეციფიურ საჭიროებებს. იხ. ბრძანების მუხ. 21. ასევე, მუხ. 4, პუნქტი 9; მუხ. 16, პუნქტი 6; მუხ. 17, პუნქტი 7.

⁸¹ მინისტრის N320 ბრძანება, მუხ. 13, პუნქტ. 1, ქვეპ. „ე“.

ნიშანდობლივია ისიც, რომ საქართველოს სასჯელაღსრულების, პრობაციისა და იურიდიული დახმარების საკითხთა მინისტრის 2011 წლის 10 მაისის N82 ბრძანებით - „ბრალდებულთა/მსჯავრდებულთა რეესტრებისა და პირადი საქმის წარმოების წესის დამტკიცების შესახებ“, დანართი N18⁸² - დამტკიცებულია ადგილობრივი საბჭოსთვის წარსადგენი მსჯავრდებულის დახასიათების ფორმა, გაცილებით სრულყოფილ ინფორმაციას მოიცავს, ვიდრე საბჭოსთვის განხილვის პროცესისთვის დადგენილი კრიტერიუმები. თუმცა, საბჭოს გაწერილი კრიტერიუმების ფარგლებში თითქოს არ ევალუა ყველა გარემოების მხედველობაში მიღება, რაც საბოლოოდ ახალისებს საბჭოებს უპირატესი ყურადღება ისევ და ისევ მსჯავრდებულის მიერ ჩადენილ დანაშაულს, დანაშაულის ბუნებასა და რაოდენობას მიაქციოს.

2. ზეპირი მოსმენა

უკვე აღინიშნა, რომ საბჭო შუამდგომლობას განიხილავს ზეპირი მოსმენით ან ზეპირი მოსმენის გარეშე. თუ საკითხი ეხება სასჯელის მოუხდელი ნაწილის უფრო მსუბუქი სახის სასჯელით შეცვლას, იგი ყოველთვის ზეპირი მოსმენით განიხილება. თუმცა, თუ შუამდგომლობა ეხება პირობით ვადამდე გათავისუფლებას, იგი შეიძლება განიხილოს ზეპირი მოსმენის ან ზეპირი მოსმენის გარეშე.

პატიმრობის კოდექსი ამ საკითხს არეგულირებს იმგვარად, რომ თუ საბჭო საჭიროდ მიიჩნევს, მსჯავრდებულისაგან მიიღოს დამატებითი ინფორმაცია მისი სასჯელის მოხდისგან პირობით ვადამდე გათავისუფლების საკითხის გადასაწყვეტად, იგი ატარებს ზეპირ მოსმენას.⁸³

მიუხედავად ამ ჩანაწერისა, კანონმდებლობა არ განსაზღვრავს იმ წინაპირობებს, თუ როდის და რა შემთხვევებში არის მიზანშეწონილი პატიმრისგან დამატებითი ინფორმაციის მიღება. ამ საკითხთან დაკავშირებით საბჭოს სუბიექტური ან თვითნებური გადაწყვეტილებების მიღების პრევენციისთვის და იმის ხელშეწყობისთვის, რომ ყველა პატიმარს მინიმალური რაოდენობით მაინც ჰქონდეს საბჭოს წინაშე უშუალოდ წარდგომისა და საკუთარი ინტერესების პირადად დაცვის შესაძლებლობა, მკაფიოდ უნდა იყოს გაწერილი კრიტერიუმები.

მოქმედი რეგულაციები ფაქტობრივად იძლევა იმის საშუალებას, რომ კონკრეტულ მსჯავრდებულს სასჯელის მოხდის სრული პერიოდის განმავლობაში არცერთხელ არ მიეცეს საბჭოს წინაშე წარდგომისა და თავისი პოზიციის დაფიქსირების შესაძლებლობა. რეალურად წლების მანძილზე⁸⁴, მთელი ეს პროცესი შეიძლება ისე ჩატარდეს, რომ თავად მსჯავრდებული მუდამ ნომინალური ფიგურა იყოს, რომლის აქტიური ჩართულობის გარეშეც დგება მისი

⁸²იხ. საქართველოს სასჯელაღსრულების, პრობაციისა და იურიდიული დახმარების საკითხთა მინისტრის 2011 წლის 10 მაისის N82 ბრძანებით „ბრალდებულთა/მსჯავრდებულთა რეესტრებისა და პირადი საქმის წარმოების წესის დამტკიცების შესახებ“, მუხ. 12, პუნქ. 12¹.

⁸³ პატიმრობის კოდექსი, მუხ. 42, ნაწ. 5.

⁸⁴ ვინაიდან საბჭო საკითხს განიხილავს კანონით დადგენილი პერიოდულობით სავალდებულო წესით. მინისტრის N320 ბრძანება, მუხ. 21, პუნქ. 1 და მუხ. 23.

დახასიათება დაწესებულების მხრიდან და შემდეგ საბჭო მისი ჩართულობის გარეშე იღებს მისი გათავისუფლების ან გათავისუფლებაზე უარის თქმის გადაწყვეტილებას.

მნიშვნელოვანია საბჭოს წევრებს, პირველწყაროსგან - მსჯავრდებულისგან უშუალოდ და პირდაპირ ჰქონდეთ ინფორმაცია მიღებული და მასზე წარმოდგენა შექმნილი. კანონმდებლობა, სასურველია იცნობდეს, მინიმალური რაოდენობითა და ინტენსივობით ზეპირი მოსმენის ჩატარების წესს, თუნდაც, პირველადი ე.წ. გაცნობითი ზეპირი მოსმენა, როცა პირველად დგება ვადა მსჯავრდებულის საქმის განხილვის შესახებ და შემდეგ რაღაც გონივრული პერიოდულობით ზეპირი მოსმენის სავალდებულო ჩატარების რეგულაციას. შესაძლებელია გათვალისწინებულ იქნას იმგვარი რეგულაციაც, რომ რამდენიმე უარის გადაწყვეტილების შემდგომ ხდებოდეს პირის ერთხელ მაინც ზეპირი მოსმენით წარდგენა. შეიძლება გარკვეული „ბონუს“ სისტემის მოფიქრებდა და იმ პირს მიეცეს საბჭოს წინაშე ზეპირ სხდომაზე წარდგენის შესაძლებლობა, რომელიც დასჯილი არ ყოფილა დისციპლინურად.

დასკვნა

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, ნათელია, რომ როგორც პირობით ვადამდე გათავისუფლებისა და სასჯელის მოუხდელი ნაწილის უფრო მსუბუქი სახის სასჯელით შეცვლის საკითხის ადგილობრივ საბჭოებში განხილვის ეტაპი, ისე ადგილობრივი საბჭოების გადაწყვეტილებების სასამართლოში გასაჩივრებისა და სასამართლოში განხილვის ეტაპები მნიშვნელოვანი ხარვეზებით ხასიათდება.

დასკვნის სახით წარმოგიდგენთ იმ პრაქტიკული პრობლემების შესახებ შეჯამებულ ინფორმაციას, რომლის გამოსწორება არ საჭიროებს საკანონმდებლო ან სხვაგვარი ცვლილებების განხორციელებას:

- ადგილობრივმა საბჭოებმა უნდა დაასაბუთონ გადაწყვეტილებები, მიუთითონ კონკრეტულ მოტივაციაზე თუ რატომ მიანიჭეს კონკრეტულ შემთხვევაში გარკვეულ კრიტერიუმებს უპირატესი მნიშვნელობა
- საბჭომ უნდა დაასაბუთოს როგორც უარყოფითი ისე დადებითი გადაწყვეტილებები
- მსგავსი ფაქტობრივი მოცემულობის მქონე საქმეებში პირობით ვადამდე გათავისუფლებისა თუ სასჯელის უფრო მსუბუქი სახის სასჯელით შეცვლის პრაქტიკა უნდა იყოს ერთგვაროვანი
- ნეგატიური ფაქტორების, მათ შორის, დისციპლინური გადაცდომების არსებობის ფაქტი სრულყოფილად უნდა იქნეს გამოკვლეული და შეფასებული, კერძოდ: შეფასდეს ხანდაზმულობა, მისი გავლენა მსჯავრდებულის რესოციალიზაციის ხარისხზე, დისციპლინური გადაცდომის სიმძიმე, ქცევის გაუმჯობესების შემდგომი დინამიკა
- გამოკვლეულ იქნეს ის გარემოება, შეეძლო თუ არა მსჯავრდებულს გაეგო რეაბილიტაცია-რესოციალიზაციის/სოციალური პროგრამები სასჯელის მოხდის პერიოდში. შესთავაზეს თუ არა მას დაწესებულებაში პროგრამებში მონაწილეობა (იყო

თუ არა კონკრეტულ დაწესებულებაში შესაბამისი პროგრამები და მათში ჩართვის შესაძლებლობა) და უარი განაცხადა თუ არა მონაწილეობაზე პატიმარმა

- განსაკუთრებული ყურადღებით იქნეს შესწავლილი თითოეული საქმე, რათა თუნდაც ტექნიკურად დაშვებულმა შეცდომებმა არსებითი გავლენა არ მოახდინოს გადაწყვეტილების მიღების პროცესზე და არ გახდეს პატიმრისთვის საუარესო გადაწყვეტილების მიღების წინაპირობა
- დამკვიდრდეს ერთგვაროვანი სასამართლო პრაქტიკა, რომელიც იდენტურად განმარტავს ადგილობრივი საბჭოების დისკრეციული უფლებამოსილების ფარგლებსა და სასამართლოს მხრიდან საბჭოს დისკრეციული უფლებამოსილებით მიღებული გადაწყვეტილების მიზანშეწონილობის შეფასების წესს.

რეკომენდაციები

საქართველოს პარლამენტს:

- შევიდეს ცვლილებები პატიმრობის კოდექსში და განისაზღვროს ადგილობრივი საბჭოს მიერ ზეპირი მოსმენების ჩატარების სავალდებულო კრიტერიუმები. ამავდროულად, ადგილობრივ საბჭოს შეუწარმუნდეს უფლებამოსილება, საჭიროების შემთხვევაში დამატებით ჩაატაროს ზეპირი განხილვა.
- განისაზღვროს სასამართლოს ვალდებულება გაათავისუფლოს პატიმარი ბაჟის გადახდის ვალდებულებისგან, თუ პატიმარი წარმოადგენს საბანკო ამონაწერს პენიტენციურ სისტემაში ყოფნის პერიოდში მისი ფინანსური ბრუნვის შესახებ, რაც დაადასტურებს იმ ფაქტს, რომ ბოლო ნახევარი წლის განმავლობაში მისი საშუალო ყოველთვიური შემოსავალი 100 ლარზე ნაკლები იყო

იუსტიციის მინისტრს:

- შევიდეს ცვლილება საქართველოს იუსტიციის მინისტრის 2018 წლის 7 აგვისტოს N320 ბრძანებაში „საქართველოს იუსტიციის სამინისტროს სისტემაში შემავალი სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულებების - სპეციალური პენიტენციური სამსახურის ადგილობრივი საბჭოების მიერ სასჯელის მოხდისაგან პირობით ვადამდე გათავისუფლების საკითხის განხილვისა და გადაწყვეტილების მიღების წესის დამტკიცების შესახებ“ და დადგენილ შეფასების კრიტერიუმებს დაემატოს ისეთი ელემენტები, რომელიც მიემართება მსჯავრდებულის სამომავლო გეგმებს, პერსპექტივებს, შესაძლებლობებს და სხვა საკითხებს.